ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

ისევ გამოშვება

არდასახელები ნომერი

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა 1903-1905წ.წ. აღდგენილია 1989 წელს 9 ივნისი 2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვა რედაქციისაგან

სახელმწიფოსათვის, რომლის პოლიტიკური წყობა მის შინაგან ძალთა თანაფარდობას ასახავს დაახლოებით მაინც, საგარეო-პოლიტიკური და საშინაო-პოლიტიკური ამოცანებიც დაახლოებით ტოლი მნიშვნელობისაა. შესაბამისად, საგარეო-პოლიტიკური საჭიროებები და კურსი განაპირობებს საშინაო პოლიტიკის კურსს და პირუკუ: საშინაო ამოცანები და კურსი განაპირობებს საგარეო პოლიტიკის კურსს. თუ ქვეყანა ეკონომიკურად და პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად თვითკმარია და სახიფათო მეზობლები არ ჰყავს, მაშინ შესაძლებელია, რომ მისთვის საგარეო-პოლიტიკური ამოცანები დიდი ხნით აქტუალობადაკარგული იყოს. თუ, პირიქით, იგი გარედან მუდმივი ხიფათის მდგომარეობაშია, მაშინ ბუნებრივია, რომ მისი შინაგანი ცხოვრებაც (და არა მხოლოდ მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი) თავდაცვის ამოცანაზე იყოს აგებული, ანუ მის *შინაგან ვითარებას მთლიანად* /და არა მხოლოდ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს/ თავდაცვის ეს საგარეო ამოცანა განსაზღვრავდეს. პირველი ვითარების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ აშშ პირველ მსოფლიო ომამდე, მეორისად - გერმანია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელშიც საგარეო-პოლიტიკური ამოცანის სიმწვავემ - ომში დამარცხებისათვის რევანშის აღების და ეკონომიკური განვითარების თავისუფალ სივრცეში გასვლის საჭიროებამ - განაპირობა რევანშისტული მიმართულების გამარჯვება ჰიტლერიზმის სახით. საქართველოს ისტორიაში ბუნებრივია, რომ, განვითარებული შუასაუკუნეების /10-12 საუკუნეები/ და გვიანი შუა საუკუნეების დროიდან მაინც, საგარეო-პოლიტიკური ამოცანების პრიმატი სუფევდეს. ასეც არის. სახელდობრ, შინაგანი სოციალური პრობლემები ისტორიის ამ მონაკვეთში არსებითად მიჩქმალულია ზოგადეროვნული თავდაცვის ამოცანის წინაშე. მაგრამ ამ დებულების აბსოლუტიზაცია ჩვენი ისტორიისათვის შეცდომა იქნებოდა: საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორიაშიც შინაგანი ამოცანები განსაზღვრავდა თავის მხრივ საგარეო-პოლიტიკურ მოქმედებას. დავასახელებთ ერთ მაგალითს: საქართველოში, მუსლიმანი მეზობელი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არსებობდა მიწის საკუთრება და გარანტირებული მემკვიდრეობითობა ამ საკუთრებაზე, რაც საშუალებას იძლეოდა მრავალწლიანი კულტურების განვითარებისათვის, და ზოგადად, ქმნიდა ქართულ ცხოვრების წესს. მუსლიმან მეზობლებში ეს ასე არ იყო ან თითქმის არ იყო: იქ მიწა „ალლაჰისა“ იყო და მისი დამმუშავებელი მეურნე რამდენიმე წლის მანძილზე ერთ ნაკვეთზე იყო მიმაგრებული, შემდეგ რამდენსამე წელს - სხვაზე და ა. შ.. ქართველი ერის უნიკალური გამძლეობა ამ მუსლიმან საზოგადოებათა აგრესიის წინაშე, როგორც დღეს ისტორიისათვის ცნობილია, ამ ქართული ცხოვრების წესისა და ამ შინაგანი ვითარების დაცვის მოტივითაც საზრდოობდა და არა მხოლოდ სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვის მაღალი მოტივებით. ამიტომ იყო - და არა მხოლოდ რელიგიური მოსაზრებების გამო, - რომ მაჰმადიანი დამპყრობლები საქართველოში არა მხოლოდ ვენახების, არამედ ბაღების აჩეხვასაც ლამობდნენ, რათა ქართველებისათვის მიწის დაცვის მოტივი დაეკარგვინებინათ. ამიტომ უცხო დამპყრობლებისათვის კომპრომისული დაქვემდებარების საზღვარი საქართველოში ისტორიულად იქ გადიოდა, საიდანაც იწყებოდა, ამ საზღვრის გადალახვის შემთხვევაში, საკუთარი ცხოვრების წესის მოშლა, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მიწის საკუთრების ინსტიტუტის მოშლის სახით. ვასალობის აღიარება და ხარკის მიცემა ამ საკუთარი წესის შენარჩუნებას უთავსდებოდა, მასზე მეტი ხარისხი კომპრომისისა - აღარა. ამიტომ არის, რომ უცხო შემოსევებისადმი საქართველოს დამორჩილების ხარისხი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე ამ ფორმებზე შორს არ წასულა.

როგორია და როგორი უნდა იყოს საქართველოს საშინაო ამოცანებისა და საგარეო ამოცანების ურთიერთმიმართება მათი მნიშვნეველოვნობის თვალსაზრისით დღეს?

დღეს საქართველოს საკუთარი შინაგანი სოციალური და, მით უმეტეს, ეკონომიკური წყობა არა აქვს: საქართველოში ეკონომიკურადაც და სოციალურადაც დღეს სუფევს ტიპიური აღმოსავლური დესპოტიის– სოციალიზმდამყნილი რუსული დესპოტიის –დატოვებული წყობა, ანუ იმგვარი მდგომარეობა, როცა არ არსებობს საზოგადოებაში არავითარი ე.წ. საზოგადოებრივი ძალები, მით უფრო – ის ჯანსაღი ძალა, რომელსაც „საშუალო კლასი“ ეწოდება, არამედ არსებობს მხოლოდ უფორმო მასა ადამიანებისა და მასზე მომჯდარი „მმართველი კასტა“, რომელსაც, თავის მხრივ, მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო საკუთრების უფლება და კანონსაწინააღმდეგო წესით გამდიდრების შესაძლებლობა აქვს დატოვებული. ამ კასტის ყოველი წევრი წამის უმალ მოსპობას ექვემდებარება, თაჯისი დაგროვილი მემკვიდრეობითურთ, ხელისუფლების უმაჯოფილების შემთხვევაში. ეს ფენა თავისი უზომო სოციალური მადითა და მტაცებლური ჩვევებით, რომელიც, ცნობილ სიტყვათა პარაფრაზი რომ ვიხმაროთ, კოღოს მოწველის და აქლემს გადაყლაპავს, მხოლოდ ლიქნისუნარიანობისა და უცხო ბატონებისადმი მორჩილების წყალობითღა არსებობს დღესაც. ასევე არსებობს, ძველებურადვე, უზარმაზარი მასა, რომელიც ტრადიციულად მის ბედს შეჰნატრის და მის ადგილზე დადგომის შემთხვევის გამოჩენას ელოდება. ასეთ ვითარებაში ქვეყნის გადარჩენისა და წინსვლისთვის გამოსადეგ ერთადერთ ბერკეტს წარმოადგენს მხოლოდ ნაწილობრივღა შერჩენილი მენტალიტეტი (სულისკვეთება), – აზრთა წყობა და ღირებულებათა იერარქია, რომელსაც კვებავს, ერთის მხრივ, ეროვნული იდეა (ეს ეროვნული იდეა სიცოცხლისუნარიანია და გაძლიერების ტენდენციის მატარებელია გლობალიზაციის მოჩვენებითი ზედაპირული პროცესის ფონზე), მეორეს მხრივ მსოფლიოდან მომდინარე ინფორმაციის ნაკადი, საიდანაც ჩანს, რომ არსებობს და, მაშასადამე, შესაძლებელია, რომ ჩვენთანაც არსებობდეს ცხოვრების უკეთესი სოციალური ფორმები, ვიდრე ის, რასაც დღეს ჩვენს გარშემო ვხედავთ. ანუ არსებობს საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც თავისი ხარისხით შეუდარებლად უფრო მაღლა დგას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე (საზოგადოებრივ რეალობაზე საერთოდ) და ცდილობს ეს უკანასკნელი თავის თავზე მოირგოს.

ამრიგად, საქართველოს შინაგანი მდგომარეობა დღეს პირწმინდა სტაგნაციის მდგომარეობაა, რომელშიც, რეალურად, ერთადერთი პრობლემა – ამ სტაგნაციიდან გამოსვლის, მისი დაძლევის პრობლემა – არსებობს. საგარეო მდგომარეობა, პირიქით, დღესაც – ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის, ნებისმიერ ეპოქასა და ნებისმიერ ქვეყანაში, – მოიცავს აუარებელ ძველსა და ახალ-ახალ პრობლემებს, რომლებიც ეხება სტრატეგიულ ორიენტაციებს და კავშირებს, სამხედრო პოტენციალის მიმართებებს მეზობლების პოტენციალთან და არამეზობლების პოტენციალთან, ძალთა თანაფარდობისა და ინტერესთა სტრუქტურის ევოლუციის პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთობებში და ა. შ.. ნიშნავს თუ არა ეს, რომ დღეს საქართველოსათვის საგარეო პოლიტიკას პრიმატი აქვს (და უნდა ჰქონდეს) საშინაოზე, ანუ საშინაო პოლიტიკის კურსი უნდა ირჩეოდეს იმის მიხედვით, თუ რომელ საგარეოს ავირჩევთ? ან ნიშნავს თუ არა იმას მაინც, რომ საგარეო კურსი უნდა ავირჩიოთ შინაგანი მდგომარეობისგან დამოუკიდებლად და ამ მდგომარეობით განპირობებული საშინაო კურსისაგან დამოუკიდებლად? დიახ, ნიშნავს, მაგრამ მხოლოდ ერთი შენიშვნით: საგარეო კურსის განსაზღვრაში არსებითად უნდა იყოს გათვალისწინებული ისიც, თუ რომელი <u>საგარეო კურსი რა საშუალებებს შეგვიქმნის ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო საშინაო კურსის განხორციელებაში.</u>

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზეთმა „საქართველომ“ თითქმის ერთი წლის წინ მიჰმართა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, ჯგუფებს, პოლიტიკით დაინტერესებულსა და მასში მეტნაკლებად ჩახედულ პირებს თხოვნით, მოგვაწოდონ საგარეო პოლიტიკის თავისი ხედვა, კომპიუტერის 2-3 გვერდის მოცულობით, რათა სხვადასხვა ხედვათა შეჯერება და მათი დისკუტირება გახდეს შესაძლებელი. საგარეო-პოლიტიკურ ამოცანათა და პრობლემათა თვალგადაუწვდომელი სიმრავლის გათვალისწინებით, ჩვენი თხოვნა შევზღუდეთ ორი ყველაზე ფართოდ დისკუტირებული საკითხით: როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში და როგორი უნდა იყოს იგი რუსეთთან მიმართებაში? ამ ორი კითხვის შერჩევაში ვიხელმძღვანელეთ შემდეგი მოსაზრებებითაც: 15 წლის წინათ დამთავრებულ ცივ ომში გაიმარჯვა არა დასავლეთმა რუსეთზე და არა ორგანიზაციის დასავლურმა პრინციპმა (თავისუფალმა ეკონომიკამ და პოლიტიკურმა წყობამ) რუსულზე (არათავისუფალზე), არამედ <u>დასავლეთმა თავისი ბუნებრივი წყობითურთ (თავისუფალი ეკონომიკითურთ და დემოკრატიითურთ) გაიმარჯვა რუსეთზე მისი ბუნებრივი წყობითურთ (სოციალიზმითურთ).</u> ანუ: კომბინაციამ „დასავლეთის პოტენციალი პლუს დასავლური წყობა“ გაიმარჯვა კომბინაციაზე „რუსეთის პოტენციალი პლუს რუსული წყობა“. იმის ფიქრი, რომ დაპირისპირების ეს შინაარსი შეიცვლება (ანუ იმის მოლოდინი, რომ რუსეთი ხელს აიღებს, დაპირისპირების გამწვავების პირობებში, ტოტალიტარიზმზე) და არა თავისუფალი ეკონომიკის იმ ელემენტების გამოყენებაზე, რომლებიც ასე თუ ისე დაუშვა თავის სახელმწიფოში) გულუბრყვილობა იქნება. ამიტომ საგარეო კურსის არჩევანებზე მსჯელობისას საჭიროა იმის გათვალისწინებაც, როგორ და რამდენად ერგება აშშ-სა და რუსეთის შინაგანი ორგანიზაციის პრინციპები (რომელთა რაგვარობაც პარტნერი ქვეყნების შიგნით მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მათს პოლიტიკაზე სხვა ქვეყნების მიმართ. მაგალითად, აშშ-სათვის ძნელია მოკავშირეობა იმ ქვეყნებთან, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს არ ცნობს) საქართველოს იმ მთავარ შინაგან ამოცანას, რომელიც ვახსენეთ. ამ ფაქტორის პარალელურად უნდა გავითვალისწინოთ მისი საპირისპირო ფაქტორიც: პარტნერისა და მოკავშირის არჩევაში <u>ძირითადი</u> მოტივი მაინც მუდამ სტრატეგიული ინტერესი იქნება და არა ის, თუ ვის ვისი მსგავსი შინაგანი წყობა აქვს.

ჩვენმა მიმართვამ სადღეისოდ ძალიან მწირი მოსავალი მოგვცა. თავისი ხედვა მოგვაწოდეს მხოლოდ იმათ, ვის მასალებსაც წინამდებარე პუბლიკაციაში ხედავთ. ზოგი ადრესატი, როგორც ჩანს, არ ფიქრობს აღძრულ საკითხებზე, ზოგი ფიქრობს (ან სხვის ნაფიქრს მიჰყვება), მაგრამ მისი ფიქრის შედეგი იმ შინაარსისა და მიმართულებისაა, რომლის ღიად გაცხადებაც დამოუკიდებელ ქვეყანაში ძნელია. ზოგიც აპირებს თავისი აზრის მოწოდებას, რასაც ჩვენ მადლიერებით ვეღით.

ვაპირებდით „საქართველოს“ ეს სპეციალური ნომერი მთლიანად საგარეო პოლიტიკის თემისადმი მიგვეძღვნა. ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო ამავე ნომერში ვიწყებთ მეორე საგანგებო თემის – საქართველოს <u>ფედერალიზაციის</u> თემის განხილვასაც, რომელიც დღეს საქართველოს წინააღმდეგ ერთერთ ძირითად იდეოლოგიურ დივერსიად მიგვაჩნია.

საქართველოს“ რედაქცია

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ძირითადი პრინციპები საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფეროში

სხვა სახელმწიფოსთან საქართველოს ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეყრდნობოდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ პრინციპებს. ჩვენი მიზანია ყველასთან მივაღწიოთ მეგობრულ და ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობას. ეს ეხება რუსეთსაც, მაგრამ მასთან ამგვარი ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლება მოიქცევა ისე, როგორც დიდი ხნის წინ უნდა მოქცეულიყო: გაიყვანს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარებსა და ბაზებს და ამას გააკეთებს საკუთარი ინიციატივითა და სურვილით, და არა დასავლეთიდან დაწოლის გამო, საქართველოს გამოიყვანს ე.წ. დ.ს.თ-დან, საერთაშორისო მასშტაბით სრულიად მკაფიო კვალიფიკაციას მისცემს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილების ოკუპაციას და მითვისების მცდელობას. ე.წ. „სამშვიდობო“ ჯარების დაუყოვნებელი გაყვანა უნდა მოხდეს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდანაც, რაც სრულიად რეალურია.

რუსეთის ფაქტორის შესახებ ფართო საზოგადოებაში შენარჩუნებულია სრულიად ანაქრონისტული შეხედულება, რომელსაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება მისი წინამორბედის მსგავსად შეგნებულად ამყარებს და ავრცელებს. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ რუსეთთან მაინც ვერაფერს გავხდებით, ამიტომ ის არ უნდა გავაღიზიანოთ და მის მიმართ რაც შეიძლება მორჩილად უნდა მოვიქცეთ. სინამდვილეში, დღევანდელ პირობებში რუსეთის ფაქტორი სრულიადაც აღარაა დაუძლეველი. დღეს რუსეთს „დე იურე“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბევრი აღარაფერი შეუძლია, – რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმწიფო სათანადოდ იქცევა. რა თქმა უნდა, რუსეთს შენარჩუნებული აქვს იმპერიული მიზნები, მაგრამ დღეს მათი განხორციელება მას <u>მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ხელით შეუძლია.</u> საქართველოს ხელისუფლების სათანადო ნებისა და

ქმედებათა შემთხვევაში იგი დიდი ხნის წინ იქნებოდა იძულებული გაეყვანა თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან. აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შედეგადაა ოკუპირებული და საქართველოს ხელისუფლების მიერვე აქვს მინიჭებული აქ შემოყვანილ საოკუპაციო ჯარს სამშვიდობოთა სტატუსი. ამგვარად, საქართველო უნდა მოიქცეს რუსეთთან, უბრალოდ, ისე, როგორც ეს დამოუკიდებელ ქვეყანას შეეფერება. ამის შედეგად რუსეთი არამცთუ უფრო საშიში და აგრესიული არ გახდება, არამედ საქმე სრულიად პირიქითაა: იგი იძულებული შეიქმნება შეეგუოს შექმნილ მდგომარეობას და შესაბამისი ურთიერთობა დაამყაროს საქართველოსთან. ხოლო, როდესაც იგი უპრინციპო დათმობებს და მონურ დამოკიდებულებას ხედება, პირიქით, უფრო მეტს ინდომებს და უფრო მეტ დაწოლასაც ახდენს იქ, სადაც ეს გასდის.

ასე რომ, თუ საქართველო გაიყვანს რუსეთის ჯარებსა და ბაზებს საქართველოს ტერიტორიიდან, გამოვა დსთ-დან, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რუსეთის როლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და ამ პრობლემებს მოაგვარებს თავისი შესაძლებლობებით, რუსეთი იძულებული გახდება მიიღოს შექმნილი ვითარება და მოეპყროს საქართველოს სათანადო პატივისცემით. ეს რუსეთთან და ზოგადად აგრესორთან მოპყრობის ისტორიულად აპრობირებული მეთოდია. საპირისპირო მოქმედების შედეგებიც ემპირიულადაა ცნობილი. აბსოლუტურად მიუღებელია რუსეთის ბაზების ნაცვლად რუსეთ-საქართველოს რაღაც საერთო ანტიტერორისტული ცენტრების შექმნის იდეა, რაც ფაქტიურად რუსეთის სამხედრო ყოფნის შენარჩუნებაა და თანაც ისეთი ფორმით, რომელიც რუსეთს სხვადასხვა პროვოკაციული ქმედების ფართო შესაძლებლობებს მისცემს.

დასალეთის ქვეყნები და კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველომ, რა თქმა უნდა, უნდა განიხილოს, როგორც მოკავშირე, მეგობრულად განწყობილი ქვეყნები, მაგრამ მათთან დამოკიდებულებაშიც უნდა გამოირიცხოს ქვეშევრდომული სინდრომი და პოლიტიკა უნდა იყოს დამოუკიდებელი ქვეყნისთვის შესაფერისი, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, და არა მმართველი გუნდის ანგარებით ნაკარნახევ ინტერესებს, რაც ტიპიურია დღევანდელი საქართველოს მმართველი ძალისთვის.

საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ისეთი ფასეულობების რეალური და არა ბუტაფორიული დამკვიდრება, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტები, კერძო ინიციატივაზე და საკუთრებაზე აგებული, და არა დღევანდელი ტიპის მაფიოზური ეკონომიკა.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოკავშირეობისა, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღმოჩნდეს აქტიურად ჩათრეული საერთაშორისო კონფლიქტებში. საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას საქართველოს ქცევა სამხედრო მოქმედებების პოლიგონად. საქართველოსთვის, მით უფრო მის დღევანდელ მდგომარეობაში, უაღესად არაგონივრული და სრულიად არააუცილებელია, მიიპყროს მუსულმანური ექსტრემიზმის აგრესია, მით უფრო, რომ ამით მოხერხებულად შეიძლება ისარგებლოს რუსეთმა. თეორია, რომ თითქოს საქართველოს დღეს უშუალოდ ემუქრება საერთაშორისო ტერორიზმი და მასთან საბრძოლველად საქართველომ ან რუსეთთან ერთად ანტიტერორისტული ცენტრები უნდა შექმნას, ან ამერიკასთან ერთად ომი გამოუცხადოს ისლამურ ქვეყნებს, ან გააკეთოს ეს ორივე ერთად, აბსოლუტურად მცდარია, ისლამური ტერორიზმი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მიუღებელი მოვლენაა, როგორც საერთო-საკაცობრიო გაგებით, ასევე ჩვენთვისაც, მაგრამ სიცრუეა, თითქოს ამ ტერორიზმის პრობლემა საქართველოში არსებობდეს, და <u>სიბრიყვეა მისი ხელოვნურად ჩვენსკენ მოპატიჟება.</u> აბსოლუტურად არასწორია, თითქოს ამერიკასთან ხელსაყრელი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ასეთი საფასურის გაღება იყოს საჭირო. ამერიკას თავისი ინტერესები აქვს საქართველოში და მას ეს ინტერესები მაშინაც ექნება, თუ საქართველო მაინცდამაინც ფიზიკურ მონაწილეობას არ მიიღებს მის მიერ წარმოებულ საქართველოს და, საბოლოო ჯამში, თვით ამერიკის ინტერესებისთვისაც უცხო საომარ მოქმედებებში და საკუთარ საქმეებს მიჰხედავს.

ნატოში გაწევრიანებას ჩვენ არ განვიხილავთ, როგორც თვითმიზანს და რაღაც აღთქმულ ქვეყანაში მოხვედრას, როგორც ამას ზოგი სახავს. როდესაც თვით ნატო თანახმა იქნება ჩვენს მიღებაზე, ეს უნდა გადაწყდეს ვითარების და საჭიროების მიხედვით და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მნიშნელოვანწილად სავარაუდოა, რომ ამ ინტერესებისთვის ნატოში შესვლა ხელსაყრელი აღმოჩნედეს. რაც შეეხება ევროკავშირს, რომელიც დღეს აგრეთვე არაა მზად ჩვენი მიღებისთვის, ჩვენ უნდა მოვიქცეთ იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით განვითარდება ეს ერთობა – ზომიერი ინტეგრაციისკენ, რაც, ვფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნება, თუ სახელმწიფოთა და ერთა თვითმყოფადობის მოშლისკენ, რაც მიუღებელია.

ახლა, რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემათა ინტერნაციონალიზაციას, რაც როგორც ხელისუფლების, ასევე დღეს ოპოზიციის სახელით მოქმედი ძალების მიერ წარმოდგენილია, როგორც თავისთავად ცხადი აუცილებლობა და დიდად სასურველი მოვლენა. ჩვენ, პირიქით, ინტერნაციონალიზაცია იმ გაგებით, რომლითაც ეს დღეს საქართველოში იგულისხმება, სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია. საქართველოსთვის სრულიად მცდარია პრობლემის მოგვარების მოლოდინი უცხო სახელმწიფოების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების (როგორიცაა გაერო, ეუთო) მხრიდან, მით უფრო რუსეთის მიერ. გარდა იმისა რომ საკუთარი უძლურებისა და სხვისი ხელის შემყურეობის მენტალიტეტი ერისთვის თავისთავად აბსოლუტურად ანტისახელწიფოებრივი და ზიანის მომტანია, გარეშე სახელმწიფოებმა, რომც დავუშვათ ამ საკითხში მათი ინტერესების დამთხვევა ჩვენთან, არ შეიძლება იცოდნენ ზუსტად, როგორი სახელმწიფოებრივი მოწყობა არის საქართველოს ინტერესში, და არც მათი ინტერესები ემთხვევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენსას. რაც შეეხება რუსეთს, რომლის შეკვეთითაც და მონაწილეობითაც განხორციელდა ამ ტერიტორიის ოკუპაცია, მის ინტერესში, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ არის ამ საკითხის ისეთი მოგვარება, როგორიც შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო ინტერესში. ეს პრობლემები უნდა მოაგვაროს მხოლოდ თავად საქართველომ და ეს შესაბამისი სახელისუფლო ნების შემთხვევაში სრულიად რეალურია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საკითხი გადაიჭრას ჩვენი სახელმწიფო ინტერესებიდან გმომდინარე. პრობლემის ინტერნაციონალიზაცია უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ეთნოწმენდისა და გენოციდის და, საერთოდ, რუსეთის როლის საერთაშორისო მასშტაბით დაფიქსირებაში, რაც არამცთუ მიზანშეწონილი, არამედ აბსოლუტურად აუცილებელია და პრობლემის მოგვარების ნაწილია. ამ მიმართულებით არც წინა და არც ამჟამინდელ ხელისუფლებას, ფაქტიურად, არაფერი არ გაუკეთებია, პირიქით, წარმოსახავენ პრობლემას, როგორც ეთნიკონფლიქტს, რომელშიც რუსეთი მშვიდობისმყოფელი და მომრიგებელია.

P.S. იმისათვის, რომ ასეთი საგარეო პოლიტიკა განხორციელდეს და ამგვარი პოლიტიკის განმახორციელებელი ხელისუფლება სხვა სახელმწიფოებმა საქართველოში აიტანონ, მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლებაში მოსული ძალა ვერ გადალახავს პრინციპების რაღაც ერთოლიობას, რადგან ქართული საზოგადოება მას ამის საშუალებას არ მისცემს. სამწუხაროდ, დღეს ეს ასე არ არის.

თამარ ჩხეიძე

საქართველოს სარუსეთო და საამერიკო პოლიტიკა

საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკის ანალიზს იმ შემაშფოთებელ დასკვნამდე მივყავართ, რომ გაუფასურებას განიცდის ე. წ. <u>ამერიკული იდეა.</u> ეს ტენდენცია საზოგადოებაში ავტომატურად აძლიერებს რუსეთის სივრცეში დაბრუნების სურვილს – ეს გახლავთ მეორე შემაშფოთებელი დასკვნა.

ეროვნულ მოძრაობას საბჭოთა ეპოქაში ორი მამოძრავებელი იდეა მართავდა: 1. დამოუკიდებლობის მოპოვება; 2. დასავლური ორინტაცია. მაშინ, იმ კარჩეკიტილობის ხანაში, დასავლური ორიენტაცია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, ანუ არსებული სისტემის თვისობრივად შეცვლას გულისხმობდა. აღმოჩნდა, რომ ამ ორსიტყვიან ფრაზას შეიძლება სრულიად განსხვავებული გაგებაც ჰქონოდა. ჩვენს სინამდვილეში ისე მოხდა, რომ „უფროსმა ძმამ", უბრალოდ, მისამართი შეიცვალა, ორიენტაციის ვექტორმა მექანიკურად გადაინაცვლა ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ. საქმე ისევ ერთსუბიექტიან მმართველობასთან გვაქვს, რომლის ძალაუფლებაც ეყრდნობა არა საკუთარი მოქალაქეების მხარდაჭერას, არამედ უცხოელი დამქირავებლის ნებას.

მთავარი მაინც მიზეზია – ვის და რას დავაბრალოთ ეს ყველაფერი?

1.საქართველოს ხელისუფლება

ძალზე ვრცელი თემაა, ამიტომ მიზეზთა ჩამონათვალს გავაკეთებთ მხოლოდ: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის ყველა ხელისუფლება სამი ძირითადი კომპონენტიდან – დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ო ბ ა,პ რ ო-ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი,ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ა – მუდმივად ორის დეფიციტს განიცდიდა (უფრო სუბიექტურები რომ ვიყოთ – სამივეს დეფიციტს). გარდა ამისა, არც ერთი არ ყოფილა დამოუკიდებელი როგორც ქვეყნის განვითარების სტრატეგიის, ისე ტაქტიკის განსაზღვრაში, ზოგი – გარემოებათა გამო, ზოგიც – საკუთარი ნებიდან გამომდინარე.

2.<u>ევროპა – ევროპული სტრუქტურები, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ამ არეალში</u>

გაკვირვებას იწვევს მათი საოცარი პასიურობა. მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქცია და პერიოდულად რეალური ვალდებულებებისაგან დაცლილი რეკომენდაციების შემუშავება შედეგს ვერ იძლევა. შეიძლება ითქვას, ევროპამ მასში შემავალი ახალი სახელმწიფოების ბედზე პასუხისმგებლობა თავიდან მოიხსნა და მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუთმო ეს ასპარეზი.

3.<u>რუსეთი</u>

სამწუხაროდ, ეს ქვეყანა კვლავაც ძველ დროშია ჩარჩენილი. იგი არაადეკვატურია როგორც საკუთარი რესურსების, საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრაში, ისე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შეფასებებში. რუსეთის მთავარ პრობლემად ისევ პოლიტიკური მენტალიტეტი, დრომოჭმული იმპერიული აზროვნება რჩება. რუსული პოლიტიკის მესვეურები აშკარად ელოდებიან იმ დროს,როცა მეზობელ საქართველოს ამოეწურება ყველა იმედი სხვა სახელმწიფოების დახმარებისა ძირითადი პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში და მუხლებზე დამხობილი შველას ისევ რუსეთს შესთხოვს. ჩვენ აქ უტრირებას არ ვახდენთ, უბრალოდ, ვახასიათებთ იმ რელობას, რაც ნათლად იხატება რუსი პოლიტიკოსებისა და ე.წ. პოლიტოლოგების საუბრებში თუ ბეჭდვით ანალიტიკურ მასალებში. ეს ძალიან ცუდია, რადგან ამ პირობებში რუსეთთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების აწყობა რთულდება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის.

4.<u>აშშ</u>

ამერიკის შეერთებული შტატები შემოთავაზებული ჩამონათვალის მთავარი სუბიექტია. რაც დრო გადის, ამ ზესახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს მიმართ სულ უფრო და უფრო გვახსენებს ამ ავადმოსაგონარ პერიოდს, როდესაც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი ერთეული, ანუ რუსული, კოლონიზაციის ერთ-ერთი მსხვერპლი ვიყავით.

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების პერიოდიდან აშშ ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად აძლიერებს თავის გავლენას და, დღეს უკვე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჩვენს ქვეყანაში არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება ამერიკის მონაწილეობის გარეშე. სამწუხაროდ, მათი „დახმარების" მიზანი გახდა ქვეყნის სათავეში მათთვის სასურველი (წაიკითხეთ: მორჩილი) ხელისუფლების დასმა და არა სისტემის შეცვლა, დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბება. ამ მიზნის მისაღწევად, ფინანსური ბერკეტების გარდა, გამოყენებულ იქნა ისეთი საშუალებები, როგორიცაა არჩევნების არნახული მასშტაბების გაყალბება (1995, 1999, 2000 წ.წ.) და „რევოლუციად" მონათლული გადატრიალების სპექტაკლი (2003წ).

სოციოლოგიური კვლევების შედეგები გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ საზოგადოებაში მაღალია იმედგაცრუების ხარისხი. სიტყვა და საქმე ძალიან დაშორდა ერთმანეთს. ნაცვლად დეკლარირებული სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემისა, მივიღეთ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა და საკუთარი ნების თავზე მოხვევა. რაც შეეხება დემოკრატიას, ეს სიტყვა იმდენად გაუფასურდა, რომ სრულიად დაკარდა თავისი შინაარსი და უკვე დიდი ხანია სატყუარას როლსაც ვეღარ ასრულებს.

რა არის შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი?

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გამოსავალი სისტემის შეცვლაა, რის აუცილებელ პირობასაც საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტად ქცევა წარმოადგენს. ვფიქრობთ, საქართველოს პოლიტიკურ და არა მარტო პოლიტიკურ ერთეულთა მთავარი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ინტერესთა გადაკვეთის ადგილად. პოლიტიკა, რომელიც აგებულია ერთი ზესახელმწიფოს მეგობრად, ხოლო მეორე ზესახელმწიფოს მტრად გამოცხადების პრინციპებზე, წარსულს უნდა ჩაბარდეს. ამ პოზიციის რეალიზაცია უამრავი სწორი სვლის გათვლას საჭიროებს და მრავალი დეტალისაგან შედგება. მიუხედავად ამისა, იგი სულაც არ არის ძნელა განსახორციელებელი. მთავარია, ამის პოლიტიკური ნება არსებობდეს.

გიორგი კობახიძე – სამოქალაქო მოძრაობა „წინ საქართველო"

21 სექტემბერი 2005 წ.

ბუნებაში არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა – არსებობს გამოუყენებელი მდგომარეობა!

ფაქტია, რომ საქართველო დღეს და სამომავლოდ ამერიკის ინტერესების პარტნიორად მოიაზრება და სადავო რჩება მხოლოდ ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვა – რა ფუნქციით და რა სახით ხვდება იგი ამ ამპლუაში? არის ორი ხედვა:

1. როგორც მხოლოდ გეოპოლიტიკურად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (უალტერნატივო) და ეკონომიკურადაც ძალზე პერსპექტიული სივრცე, ბოროტი ნებით უკვე პაპუასობამდე დასაკნინებლად შემზადებული მოსახლეობით (უსახურად, უსუსურად ფედერალიზებული, სახელმწიფოებრივ ნებადაცლილი, უძველესი – თითქმის ოთხიათასწლოვანი – სახელმწიფოებრიობისა და უფრო ძველი უნიკალური კულტურული ტრადიციების ერის ისტორიულ მეხსიერებადაქვეითებული, თითქმის მანქურთული მასის ქვეყანა, გაყიდული, უკვე განადგურებისათვის განწირული საკუთარი გამორჩეულად უდიდესი პოტენციალის მეცნიერებითა და ეკონომიკით), რაც მავანთა იმავე ბოროტი მცდელობით თითქოსდა სავსებით საკმარისადაც წარმოიჩინება ამერიკის სამხედრო და ცალკეული ძალზე სერიოზული მსოფლიო სტრატეგიული ინტერესების რეალიზების გზაზე; თუ...

2. ჭეშმარიტად სრულფასოვანი საერთაშორისო სუბიექტი, პარტნიორი-სახელმწიფო (თანაც ძირითადში ერთმორწმუნე) – უძველესი და უმდიდრესი სახელმწიფოებრივი (თუნდაც სამხედრო, დიპლომატიური) და ისტორიულ-ეკონომიკურ-კულტურული ტრადიცია-კავშირებით, მსოფლიოში აღიარებული ორიგინალური სამეცნიერო მიმდინარეობა-სკოლებით, მრავალმხრივი ფუნდამენტური აკადემიური, მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური და გენეტიკური ინტელექტუალური პოტენციალით, რაც მყარი, ყოველმხრივ ძალზე პერსპექტიული დასაყრდენია (განსხვავებით ბევრი მისი უკვე ტრადიციული პარტნიორისაგან...)

აი, ამ მეორე მიმართებით გვჭირდება თანადგომა ჩვენსავე საკუთრივ ფეხზე დადგომაში და არა პირიქით, რაც დღეს ხდება, ზემოთ აღნიშნული „ბოროტი ზეძალის“ პირველი ხედვის მიხედვით! (და თანაც სად?! – გორგასალის, დიდი დავით აღმაშენებლის, დიდგორის, საყოველთაოდ ცნობილი ფაზისის, იყალთოს, გელათის აკადემიების, რუსთაველის და უძველესი კოლხეთის თუ ლაზიკის და დიდი ქუჯი-ფარნავაზისეულ ლეგენდარულ ეპოპეათა ქვეყანაში?!)[1]

სახეზეა აშკარად მტრული (ე. შევარდნაძე) მარიონეტული, მოღალატე ხელისუფლების მიერ თავიდანვე მზაკვრულად ორგანიზებული დეზორგანიზაციით, ქაოსით განადგურებამდე დაყვანილი, გაძარცვული, „დამარცხებული“ ქვეყანა...

ქვეყანაში უკვე უკიდურესად მომძლავრებული და კონსოლიდირებულიცაა ერისადმი მტრული, აგრესიული ძალები თავად სახელისუფლო და უმეტეს არასამთავრობო და საქართველოში „მომუშავე“ ოფიციალურ საერთაშორისო სტრუქტურებშიც. **გამორიცხულია, არარეალურია, ჩვენშივე დაბუდებული ამ ბოროტი ძალების სასწრაფოდ უვნებელყოფის გარეშე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის და საერთაშორისო არენაზე წარმატების რაიმე იმედით ვიყოთ...**

ძირშივე აღსაკვეთია და დაუშვებელია ილუზიური, პროვოკატორულ-ავანტიურისული, დაუბალანსებელი, მცონარა, მხოლოდ ცალმხრივი, ხალხში უკვე ყბადაღებული, ასე ვთქვათ, პრორუსულ-სომხური ან პროამერიკულ-ებრაული, თუ პროთურქულ-აზერბაიჯანული, გინდაც პროჩინურ-ირანული – და, მით უმეტეს, – კაპიტულანტური პოლიტიკა. ჩვენი პრიორიტეტის – კონსტრუქციული მტკიცე ერო-ვნულ-სახელმწიფოებრივი ნება უმთავრესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების განუხრელი რეალიზებისათვის ერის შინაგანი ინტელექტუალური პოტენციალისა და უდიდესი გენეტიკური ენერგიის, ტრადიციული მებრძოლი მზაობის აღორძინება–გამოყენებით **ასეთი რესურსი არსებობს!!!**

ამერიკისათვის და რუსეთისათვის სასწრაფოდ უნდა გაცხადდეს ერის (ქვეყნის, სახელმწიფოს) ეს უალტერნატივო, უშეღავათო კატეგორიული ნება თავის მომავლის ხედვაში, რასაც ვერ (?) აკეთებენ ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების უმეტესად უმეცრებამდე არაპროფესიონალი, მოღალატე, ცვედანი, მანქურთი, კაპიტულანტი წარმომადგენლები! (ცნობილი მიზეზების გამო ესენი ვეღარც გააკეთებენ).

ეს არის უცილობლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამწყვეტი პირობა! ეს უნდა გაკეთდეს, აეხსნას ამერიკას და რუსეთსაც, <u>**დასაბუთდეს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-აღმშენებლობის მათთვის გამორჩევით მომგებიანობა.**</u> ამის აუცილებლობის აღიარებას, მძლავრად გაცხადებას სჭირდება საერთაშორისო თანადგომა, სახელმწიფოებრივად სადად მოაზროვნე უცხოელი ძალმოსილი პოლიტიკური ძალა, „ჭეშმარიტი მეგობარი“ (ნამდვილად სახელმწიფოებრივი პოზიციების, იგივე რუსი და ამერიკული სულისკვეთების პატრიოტი) ან ქართველი ერის სახელით უფლებამოსილი ავტორიტეტი (ძალა!). დავუმტკიცოთ, დავუსაბუთოთ ადრესატებს, რომ ეს სწორედ მათ ინტერესებშია! ჩვენთან ასე დაპირისპირებული „საერთაშორისო“ ის უცხო „ბოროტი ძალა“ მათ (ამ მიმართებით) გულგრილობა-სიბეცე-უმეცრებას „თავისთვის“ იყენებს... ვფიქრობ, უკვე მწვავედ დგას (და არა მხოლოდ ჩვენს წინაშე) ხსენებული ორივე დიდი მხარისათვის – ჩვენი ადრესატებისათვის „მისაღები“ ავტორიტეტული ახალი ქართული ძალის (ლიდერის) მოძიება-შერჩევის პრობლემა! . . .

ამერიკული პრაგმატიზმისათვის გასათვალისწინებელია და ამერიკა არც შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ მას დღეს თუ არა ხვალ ღიად მოუხდება თურქეთთან დაპირისპირება „პანთურქიზმის“ იდეოლოგიურ არეალზე შუა აზიის მიმართულებით (რაც უკვე რეალობაა შუა აზიაში ფაქტობრივი ამერიკული ნაბიჯებით), და ამასთანავე უკვე გამორიცხულია ერთიანი ქურთისტანის პრობლემის გადჭრის შემდგომი გაჭიანურება!

ამერიკას ამ საკითხში, – აუცილებლად ქურთისტანის სასარგებლოდ, – სხვაგვარ არჩევანს აღარ უტოვებს დღევანდელი ერაყი, ირანის რეალობა და გასაკუთრებით თავად თურქეთი. თურქეთი არაფრით აღარ შეიძლება მოიაზრებოდეს ამერიკის სახელმწიფოებრივად საბაზო მყარ საყრდენად უკვე „წყალშეყენებული პანთურქიზმის პერსპექტივებით“.

საქართველოში სეპარატისტული რეჟიმების წამქეზებელი, მაორგანიზებელი, მასაზრდოებელი გარეშე ძალების (უცხო სახელმწიფოების) მიმართ პრეტენზიებისას (თუმცა დღემდე უკიდურესად კაპიტულანტურისა და არაადეკვატურისა) არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ და სილაში თავჩარგული სირაქლემის პოზიციიდან უსასრულოდ წავუყრუოთ ერთ რეალობასაც: თურქეთის თითქოსდა „არაოფიციალური სხვადასხვა სტრუქტურებიდან“ აფხაზეთის მოვლენების დასაწყისიდანვე დღემდე გრძელდება სამართლებრივად აღვირახსნილი ქმედებები, სეპარატისტების მატერიალურ-ტექნიკური (და არა მხოლოდ ამ მხრივ) უზრუნველყოფა ძალზე ფართო საზღვაო კონტრაბანდისტული კამპანიით. თურქეთის მხრიდან ეს ძალზე არაკორექტული და „სახიფათო ქცევაა“, რის უპასუხოდ დატოვებაც მომავალში გაცილებით საშიშია მთელი ქვეყნის (<u>**და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის**</u>) უსაფრთხოებისათვის!.. და, დავიხსომოთ, – შესაძლოა, (ვთვლი!), თურქეთი თავისთვის საბედისწერო შეცდომას უშვებს საქართველოსთან ამ ზოგისათვის ე.წ. „უნებლიე ვერაგობით“!

დღევანდელ თურქეთში უკვე ძლიერი ანტიამერიკული განწყობაც სახეზეა – ეს ხელისუფლების ცალკეულ იძულებით ნაბიჯებშიც დასტურდება უახლესი ისტორიით. ამასთანავე, მეორე მხრივ ბევრნი თურქეთში რეალურად გრძნობენ, რომ აკვიატებული ე.წ. „შუააზიური პერსპექტივით“ მათი ეს აგრესიული მენტალობის „სამხედრო კოლოსი“, თუ ასე გაგრძელდა, ერთობ სწრაფად შლადია არც თუ შორეულ მომავალში, თუმცა ე.წ. „ფუნდამენტალისტები“ თურქეთში ჯერაც სახიფათოდ მძლავრ პოზიციებს ფლობენ. (თანამედროვე თურქეთი, განსხვავებით საქართველოსაგან, თავისი ტერიტორიებით და მოსახლეობითაც ვერ განიხილება „მყარი ისტორიულ-კულტურული ტრადიციების ფენომენის“ მატარებლად – ამიტომ სჭირდებათ შუაზიის მაცოცხლებელი სისხლის გადასხმა. ამის დათმობა კი არც ამერიკას და არც რუსეთს არაფრით აღარ შეუძლიათ... <u>ამიტომაც</u> უთუოდ გაჭიანურებენ <u>დრომდე</u> ალბ. საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას! ნურც ე.წ. „გაჟინული ჩრდილოეთის რკინიგზის“ სასწრაფოდ ამოქმედების სურვილზე ჩვენს „ტრადიციულ“ არაადეკვატურ რეაგირებას (ამერიკის „წაყრუებით“) ჩავთვლით მოულოდნელად. ამ უკანასკნელზე ალბათ ზემოთ მინიშნებული „სხვა მოსალოდნელი ცხელი ფაქტორები“ იმუშავებს და უმთავრესად არა მხოლოდ ის, რაც ჩვენში უმტკივნეულეს ასოციაციებს იწვევს კოსოვოს ე.წ. „საერთაშორისო ფსევდოსამართლებრივი“ და ტრადიციული ცივილიზებული მსოფლიოს მომავლისათვის უკიდურესად სახიფათო პრეცედენტის ფონზე...).



თუმცა არა მხოლოდ ამ პროცესების რეალური ალბათობის გათვალისწინებას უკავშირდება ჩვენი ოპტიმიზმი... თავის დროზე რეალიზებული ე.წ. „ისრაელის რეგიონული ფუნქცია“ **გაცილებით გლობალური მასშტაბებით შეიძლება ამოქმედდეს ძლიერი და დიდი ქართული სახელმწიფოს აღორძინებით... ეს არ ეწინააღმდეგება არც რუსეთის და არც აშშ-ს შორეულ დიდ სტრატეგიულ და გლობალურ ინტერესებს – პირიქით!... და ასეთ ვითარებაში, თუ გნებავთ, ირანთანაც კი მათთვის უალტერნატივო შუამავლად (პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც) უნდა მოვიაზრებოდეთ!**

მნიშვნელოვანი და ხასგასასმელია, რომ მაშინდელი მასშტაბებით ერთ-ერთი უძლიერესი ეს ადრინდელი ქართული სახელმწიფო გამორჩეულად ტოლერანტული, ძალზე ჰარმონიული და უპრობლემიიყო, თანაც საკმაოდ მრავალეროვანი და განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მოსახლეობით...

აქვეა გასათვალისწინებელი, რომ დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების და სხვა კულტურული ძეგლებით მდიდარ ძველ ქართულ მიწებზე დღევანდელ თურქეთში ათ მილიონზე მეტი წმინდა ქართული წარმომავლობის მოსახლეობაა...

შუა აზიაში ამერიკის გარკვეული „წინმსწრები“ პლაცდარმი რუსეთისათვის შეიძლება ძალზე გადამწყვეტი და სასურველი საპირწონე ძალა აღმოჩნდეს მომავალი გარდაუვალი ჩინური ექსპანსიის საპირისპიროდაც არა მარტო ამ რეგიონში, არამედ რუსეთის ე.წ. „უპატრონო“ სამხრეთ ციმბირიდან უკიდეგანო დანარჩენი რუსული სივრცის მიმართებაში. ამერიკიდან დემოგრაფიული ანექსია ხომ მაინც არის აქ გამორიცხული! რუსეთ-ამერიკის ინტერესთა აქ თანხვედრის სიცხადე (გლობალური მასშტაბით) უდავოა!

აქედან გამომდინარე, ძირშივე ანტირუსული და საბოლოოდ კი ანტიამერიკული დავარქმევდი „მოარულ პოლიტოლოგიურ ვარაუდს, თითქოსდა მოსალოდნელ რუსულ-ჩინურ-თურქულ ალიანსზე ე.წ. ამერიკულ-დასავლური ზეწოლის საპირწონედ... (თურქეთის „გაღწევაც“ შუაზიაში, როგორც ჩრდილო კავკასიის ე.წ. კონფედერატებთან, ხომ არანაკლებ სახიფათოა რუსეთისთვის?!)

– აქაც საქართველოს რეგიონალური ფუნქცია ორთავესათვის ფასდაუდებელი ხდება!... <u>(ძლიერი სანდო სახელმწიფო – პლაცდარმის სახით ცივილიზაციათა უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე).</u>

– გამოვიყენოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციის თანადგომაში რუსეთ-ამერიკის სტრატეგიული (სასიცოცხლო) ინტერესების გარდაუვალი დამთხვევა – დროზე ავუხსნათ ჩვენი ეს ძალმოსილი მზაობა ადრესატებს! აი, ჩვენი და ჩვენი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა, – მათთვის პრაგმატული და უმნიშვნელოვანესი შეთავაზება, ჩვენი მესიჯი...

დიახ, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა – არსებობს გამოუყენებელი მდგომარეობა! გავანძრიოთ ხელი („ცოტა თავიც“!) და გაბრწყინდება საქართველო! მსოფლიო გარდაუვალი „კრიტიკული დღეებისათვის“ ემზადება!...

P.S. ერთაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობა – „კავკასიის ჰარმონია“, – თავიდანვე (1990წ.) თავის „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სახედ“ და გარესამყაროსთან თუ სამეზობლოსთან ურთიერთობის ძირითად საწესდებო სამოქმედო პრინციპად აცხადებდა და აცხადებს „კონსტრუქციულ ნეიტრალიტეტს“...

გამომდინარე ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი კონცეფციიდან, სწორედ მძლავრ, ტოლერანტულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფესვებზე „ძალმოსილ კონსტრუქციულ ნეიტრალიტეტს“ შესთავაზებდა ჩვენი მოძრაობა ხელისუფლებას თავისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ თანამდევ დედო-პრინციპად!

P.S[1]. ქვეყნის აღორძინების გამოუყენებელი შანსის ქრესტომათიულ მწარე ისტორიულ გაკვეთილად გამოდგება თუნდაც XVIII საუკუნეში ვახტანგ VI და შემდგომ ერეკლე II-ის ბეცი, ილუზიური, ოჯახურ-კლანური კატასტროფულად დამანგრეველი საშინაო და საგარეო სახელმწიფო პოლიტიკა. . .

ერთაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობის –„კავკასიის ჰარმონია“ – დარბაზის საბჭოს თავმჯდომარე

გივი ე. ჩხაიძე
20.04.05

რედაქციისაგან:

წერილი დაიწერა პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტისათვის მზადების პერიოდში. გამოქვეყნდა არასრულად და ხარვეზებით. იგი პასუხობს რედაქციის ახალ რუბრიკას – ჩამოყალიბდეს (გამოქვეყნდეს) რუსეთთან და ამერიკასთან მიმართებაში ქართული პოლიტიკისადმი საზოგადოებრიობის ხედვის შეძლებისდაგვარად სრული სპექტრი, თუნდაც ჩვენთვის რადიკალურად მიუღებელიც.

[1]- კარლ რიდერი: „კავკასია კაცობრიობის აკვანია“ (1817 წ)
- დიმიტრი ანუჩინი: „კავკასია თეთრი რასის წინარე სამშობლოა“ (1925 წ.)
- იოჰან ბლუმენბახი: კავკასიის განსაკუთრებული რასის არსებობას ამტკიცებდა (1776 წ.)
- ფრ. ჰეგელი: „მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. . . აღწევს თვითგამოკვლევას, თვითგანვითარებას, და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“.
ფაზისის აკადემიაში ესწრაფვოდნენ განათლებას ძვ. ბერძნები და ამით ამაყობდნენ. . .
- იოსებ სტალინი: „ვინც საქართველოში მდგომარეობას ფლობს, იგი სრულიად აკონტროლებს არა მხოლოდ ამიერკავკასიას – მის ხელშია მთელი რეგიონის და გაცილებით ერცელი გეოპოლიტიკური სივრცის სტრატეგიული ბურკეტები“. . . (1921 წ.)
- შეუპოვარი მებრძოლი ბუნებით ცნობილ ავღანელთა ფსიქიკაში ათასწლეულების წინიდან დამკვიდრებული თავდაჯერება – აღიარება (იხ. მატიანე. მირვეისი 1711 წ.).: „სპარსნი ავღანთა წინაშე დიაცნი არიან, ვითარცა ჩვენ – ავღანები დიაცნი ვართ იბერ-ლაზთა (ქართველთა) წინაშე“. . .

ეუთოს ეუთოს წევრ სახელმწიფოთა ხალხებსა და მთავრობებს მსოფლიოს დემოკრატიულ და დემოკრატიისაკენ მოსწრაფე ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს

ჩვენი მიზანია არა მარტო საქართველოს ცუდი ხელისუფლების შეცვლა კარგით, არამედ იმ შემოტევების მოგერიებაც, რომელსაც ხელისუფლება არ იგერიებს. ვაქვეყნებთ ჩვენი ინიციატივით საქართველოს უზენაესი საბჭოს საპროტესტო წერილს (31 ხელმოწერით. ხელმოწერა გრძელდება)

1. ი. ბარათაშვილი 2. კ. გამსახურდია 3. ნ. ნათაძე

აღმატებულებანო ქალბატონებო და ბატონებო

მოლაპარაკება საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის, სახელდობრ, მდინარეების ქსნის, ლეხურას, ლიახვის, ფაწას, ფცისა და ფრონეს ხეობათა ზედაწელების შესახებ, რომელიც წარმოებს ეუთოს ეგიდით და რომლის უკანასკნელი რაუნდი შედგა 2005 წლის 5-6 დეკემბერს ლუბლიანაში ეუთოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, წარმოებს საქართველოს ზურგს უკან. არც საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს მ. სააკაშვილს, რომელიც არჩეულია ელექტორატისათვის თავისი სამოქმედო პროგრამის წარუდგენლად, არც საქართველოს დღევანდელ პარლამენტს, რომლის კვალიფიციური უმრავლესობა არჩეულია აგრეთვე პროგრამის წარუდგენლად და ტოტალური გაყალბებით, არა აქვთ ამომრჩევლის მანდატი, რომ ზემოხსენებულ ტერიტორიას უწოდონ სახელი „სამხრეთ ოსეთი“, რომელიც შემოღებულ იქნა რუსული ოკუპანტური ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ 1922 წლის აპრილში, ანუ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო დაიპყრო და მისი ანექსირება მოახდინა (რაც დაფიქსირებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონით ჯერ კიდევ 1990 წლის 9 მარტს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში) და რომელიც გაუქმებულ იქნა, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ უკანონო არსებობასთან ერთად, საქართველოს პირველი (1918 წლის შემდეგ) რეალურად არჩეული უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს - მიერ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით. ამ კანონიერი აქტის მიუხედავად, რომლის შედეგადაც რუსი ოკუპანტების მიერ შექმნილი ტერიტორიული პოლიტიკური ერთეული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ კანონიერად აღარ არსებობს, ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ხსენებული შეკრების განცხადება, უგულებელყოფს რა ამ იურიდიულ ფაქტს, უბრჭყალეებოდ ხმარობს გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“, აგრეთვე უბრჭყალებოდ იხსენიებს „სამხრეთ ოსეთის ლიდერს ედუარდ კოკოითის“, რითაც უხეშად ხელყოფს ეუთოს წევრი ქვეყნების შეუვალ უფლებას, რომ მათთან დიპლომატიურ ურთიერთობებში მყოფი სახელმწიფოსაგან მოითხოვონ კანონში ცალსახად დაფიქსირებული იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვა თავის ოფიციალურ დოკუმენტებში. ის, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მ. სააკაშვილი თავს უფლებას აძლევს, ერის სათანადო მანდატის უქონელად განაცხადოს მზაობა საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ კიდევ ერთხელ შექმნისათვის, ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის მიერ საქართველოს კანონისადმი გამოჩენილი უპატივისცემლობის ფაქტს ნაწილობრივ ხსნის, მაგრამ არ ამართლებს.

მ. სააკაშვილის ხსენებული მზაობა, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი (ცხინვალის რეგიონი) აღიაროს მეზობელი ქვეყნის (ოსეთის) სამხრეთ ნაწილად, არის მის მიერ თავისი, როგორც პრეზიდენტისა და, ამგვარად, სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტის, მოვალეობის არშესრულება და, ამასთან ერთად, პირდაპირი მიზანმიმართული ქმედება ქვეყნის (საქართველოს) საარსებო ინტერესების წინააღმდეგ და უცხო ქვეყნის (რუსეთის) აგრესიული პოლიტიკის სასარგებლოდ. ეუთოს წევრი ქვეყნების მთავრობებს, რომელთა საგარეო საქმეთა მინისტრები ხელს აწერენ 2005 წლის 6 დეკემბრის ხსენებულ განცხადებას, ჰმართებთ იმის გათვალისწინება, რომ

- საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის გამოცხადება „ოსეთად“ სამომავლოდ კაცობრიობის წინაშე აყენებს „ორი ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორე ყალბის - „გაერთიანების“ ამოცანას, ხოლო დღეს მონობისათვის წირავს გენოციდისა და ეთნიკური წმენდისადმი უკვე მადააღძრული ოსური ადგილობრივი უმრავლესობის ხელში (ისევ და ისევ რუსეთის მიერ ინსპირირებულისა) ადგილობრივ ქართველ მოსახეობას, ამ ტერიტორიის ავტოხთონურ მაცხოვრებლებს, რომელნიც აქაური მოსახელობის 35% შეადგენენ. ქართველი ერი არასოდეს დაეთანხმება ამ განზრახვის განხორციელებას.

- ცხინვალის რეგიონში შექმნილი კონფლიქტი, შეიარაღებულ მოქმედებათა ჩათვლით, იყო და არის არა ქართულ-ოსური ეთნიკური კონფლიქტი, არამედ ქართულ-რუსული კონფლიქტი (უფრო მეტიც –გამოუცხადებელი აგრესიული ომი რუსეთისა საქართველოს წინააღმდეგ)

- ოსი სეპარატისტები და ოსური მოსახლეობის ის ნაწილი (საქართველოში და რუსეთის ფედერაციაში), რომელიც მიჰყვება სეპარატისტების კურსს, იბრძვიან არა თვითგამორკვევისათვის (სხვის ტერიტორიაზე, სადაც ოსები ძირითადად პირველად 1884 წლის შემდეგ, ხოლო მეორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს დასახლდნენ), არამედ მიწისათვის (ტერიტორიისათვის), რომლის მოპოვება მათ საქართველოს ხარჯზე უნდათ.

- ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახელობა არის დიასპორა (ძირითადად შემოსული კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებიდან 1864-1890 წლებში და 1921-1985 წლებში), მისი რაოდენობაა 60 ათასი (ეს ხელოვნურად გაზრდილი რიცხვია), ხოლო ათასი (ეს ხელოვნურად გაზრდილი რიცხვია), ხოლო დანარჩენ საქართველოში არსებული ოსური მოსახლეობა შეადგენს 100 ათას სულს, ანუ საქართველოს მთელი ოსური მოსახელობის თითქმის 70%-ს. ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმით ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობას არა აქვს უფლება ითხოვოს არც ავტონომია, არც მისი სახლობის ტერიტორიისათვის ტოპონიმად მისი ეთნონიმის დარქმევა.

- ადგილობრივი ეროვნული უმცირესობისა და უმრავლესობის დემოგრაფიული დინამიკის მიხედვით (ანუ იმის მიხედვით, ვინ რამდენად გამრავლდა ბუნებრივად ან მიგრაციის შედეგად) მოცემული ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის პრეცედენტი, თუკი იგი განზოგადდება (რასაც დიდი ალბათობა აქვს ადგილობრივი კონფლიქტების სიმწვავისა და გავრცელებულობის გამო), შექმნის ეროვნულ ჯგუფთა ბუნებრივ (და გამართლებულ) შიშს სხვა ეროვნულ ჯგუფთა დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე – ფაქტობრივ მძლავრ ცდუნებას (სტიმულირებასა და მოტივაციას) ეთნიკური წმენდისათვის და მისი მთავარი იარაღისათვის – გენოციდისათვის მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ევროპის ჩათვლით.

დღეს რუსეთის შეიარაღებული მფარველობის ქვეშ მყოფ უკანონო სეპარატისტულ ხელისუფლებას ცხინვალში თავდაცვის მინისტრად ჰყავს რუსეთის გენერალი და მთავრობის თავმჯდომარედ – რუსეთის მოხელე. ოსი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რუსეთის მიერ ყოველგვარი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევით მინიჭებული აქვს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონის „სამხრეთ ოსეთად“ აღიარებისა და მისთვის კონსტიტუციური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ეს ტერიტორია, პრაქტიკულად, იქნება რუსეთის ეფექტიანი და განუყოფელი კონტროლის ქვეშ, რითაც რუსეთს საშუალება მიეცემა მოაწყოს სპეცმომზადების, მათ შორის – ტერორისტთა მომზადების ცენტრები და ბაზები არა მხოლოდ საქართველოში გამავალი საერთაშორისო კომუნიკაციებისა და ადგილობრივი სასიცოცხლო ობიექტების წინააღმდეგ სამოქმედოდ, არამედ მესამე (მათ შორის – მეზობელი) ქვეყნების წინააღმდეგაც, რაზეც პასუხისმგებლობა დაეკისრება არა რუსეთს, არამედ საქართველოს. ამ პერსპექტივის გარდუვალობაზე მეტყველებს, სხვა გარემოებებთან ერთად, გორის ცნობილი სისხლიანი ტერაქტიც, რომელიც რუსეთის მხარემ შეძლო საზოგადოებრიობის თვალში ოსებისთვის მიეწერა მანამდე, სანამ ძიება რუსული სამსახურების კვალზე არ გავიდა.

ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის ინტერესების რეალიზაციისათვის, მისი საკუთრივ ეროვნული და ეთნიკური ინტერესების ჩათვლით, სავსებით საკმარისია ადგილობრივი თვითმართველობის დემოკრატიულ მექანიზმთა რეალური განვითარება, რომელიც ადგილობრივ ოსურ უმრავლესობას ხელთ მისცემს რეალურ სამოქმედო ბერკეტებს, ხოლო საქართველოს მთელი ოსური მოსახლეობის ანალოგიურ ინტერესთა რეალიზაციისათვის სავსებით საკმარისია **ფუნქციური ავტონომია**, კულტურულის ჩათვლით, ანუ იმგვარი ლობისტური კანონიერი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ოსს (და ყველა სხვა მსურველს) მათი კომპაქტური ფარ-გაბნეული სახლობის განურჩევლად.

ქართველი ერი არ შეურიგდება საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მზაობას საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის „ოსეთად“ გამოცხადებისათვის. საქართველოს ტერიტორიის დაცვა და ხელუხლებლად გადაცემა ქართველი ერის მომავალი თაობებისათვის პირველია და უმაღლესია, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერის ფიზიკური გადარჩენის ამოცანებთან ერთად, ქართველი ერის წინაშე დღეს მდგომ ამოცანათა შორის. ქართული სახელმწიფოსათვის ეს სამი ამოცანა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი იქნება იმ მომენტიდან, როცა საქართველოს სათავეში რეალური, ანუ დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლება, მაშასადამე, საქართველოს ერთგული ხელისუფლება მოვა.

შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის და იმ დროის მსოფლიო საზოგადოებრიობის ტოლერანტობამ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ შესაძლებელი გახადა საქართველოს ანექსია 1921 წელს და ქართველი ხალხის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების იძულებითი ჩართვა კომუნისტური „ბოროტების იმპერიის“ სამსახურში სამოცდაათი წლით. დღეს საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც დაუშვებს საქართველოს დანაწევრებას რუსეთის მცდელობით და სეპარატისტთა ხელით, ანალოგიური დანაშაულის ჩადენის მცდელობა იქნებოდა.

ქართველი ერის მდგომარეობისა და მენტალიტეტის კონკრეტული ცოდნა უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ ჩვენი ზემორე გადმოცემული შეხედულებები და პოზიცია იგივეა, რაც ქართველი ერისა მის მთლიანობაში. მოველოდ, რომ ეუთო კორექტივს შეიტანს თავის პოზიციაში ქართულ-ოსური კონფლიქტისადმი ზემოთ ციტირებული ფაქტების და მოსაზრებების გათვალისწინებით.

გაახლებთ საპროტესტო წერილს 51 ადამიანის (მათ შორის – 49 პარლამენტარის) ხელმოწერით, რომლითაც საქართველოს საზოგადოებრიობამ 1995 წელს ცადა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის და ეუთოსთვის განემარტა ეუთოს საქართველოს მისიის მცდარობა ისტორიული, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით (დანართი №1).

გუშაგი

/„შემოცურებული“ იდეებისაგან დაცვის სამსახურში/

საქართველოს მრავალრიცხოვანი მტრები, სხვა სახის შემოტევებთან ერთად, ცდილობენ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების მანიპულირებასაც (მართვასაც) თავისი დივერსიული მიზნების შესაბამისად: შ ე უ მ ჩ ნ ე ვ ლ ა დ „შემოაცურებენ“ ხოლმე სხვა თემებთან დაკავშირებით ისეთ დეზინფორმაციას, რომელიც, თავისი ამ შეუმჩნეველობის წყალობით, ილექება მკითხველის გონებაში, რათა შემდეგ ამოქმედდეს, როცა მკითხველს მოუწევს სპეციალური დაფიქრება ამ თემაზე. ამიტომ გაზ. „საქართველოს“ ამიერიდან ექნება სპეციალური რუბრიკა „გუშაგი“ ამგვარი „შემოსაცურებელი“ დეზინფორმაციის მოსაგერიებლად.

„კაზაკების გენერალი“ - „ამერიკელების სამსახურში.“

ქართველი საზოგადოებრიობა, თავისდა სამწუხაროდ, იცნობს „კაზაკების გენერალს“, ვინმე ვახტანგ ჭკუასელს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა პრესაში როგორც პრორუსული და ანტიქართული სკანდალური პასკვილის ავტორი. საზოგადოების რეაქცია როგორც მის „გენერლობაზე“ (ბუნების საწინააღმდეგო მოვლენა „ქართველი კაზაკი“ (!) მაშინ საქართველოში პირველად გამოჩნდა მისი სახით), ისე მის მდარე „პოლიტიკურ“ მოსაზრებებზე მკვეთრად უარყოფითი იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. „ქართველი კაზაკობა“ მომრავლდა, თავისი თუთიყუშურად გამოწყობილი „გენერლებითა“ და „ატამანებითურთ“, ანტიქართულ-პრორუსული პასკვილები და „დემონსტრაციები“ ხომ მომრავლდა და მომრავლდა! (მხოლოდ იგორ გიორგაძის „ჰონორართა“ რიგში ჩამდგარი გონებასუსტების ბანდა რად ღირს!). ამიტომ ჭკუასელმა (რომელიც, გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გონების განათებას ჯერ კიდევ ელის, თუმცა ვერ ჰღირსებია) ამჰლუა შეიცვალა: იგი დღეს გვევლინება, როგორც ამერიკაში ემიგრირებული რაღაცა გაურკვეველი სახელის მატარებელი ორგანიზაციის თანამშრომელი და ამავე დროს „პოლიტოლოგი“ (რომელმა უნივერსიტეტმა მიანიჭა მას ეს მაღალი აკადემიური სპეციალობა, ღმერთმა უწყის. უფრო ვფიქრობთ, რომ საკუთარმა თავმა). გაზ. „ასავალ-დასავლის“ ფურცლებიდან, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბრახაბრუხიანი ფრაზების ფონზე, როგორიცაა, მაგალითად, „საქართველო უნდა განთავისუფლდეს იმ მონსტრისაგან, რომელსაც დღეს რუსეთი ჰქვია“, ცდილობს, შემოატყუოს მკითხველს სტანდარტული დეზინფორმაციის რამდენიმე პუნქტი, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ მსოფლიოს საქართველო არ აინტერესებს და არაფერში სჭირდება, ან ის, რომ დასავლეთს „მხოლოდ სამხრეთი საქართველო სჭირდება“, სადაც მილსადენი გაივლის, და სხვა არაფერი“ (“პოლიტოლოგი“ იმასაც კი ვერ ჰხვდება, რომ მსოფლიო პოლიტიკის მაგისტრალზე დღეს საქართველოს გზა დგას, და არა მის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობი და გაზი). ამ „სტანდარტულის“ ფონზე თუთიყუშისებრ „გენერალ“ ავტორს შემოჰყავს ჩუმჩუმად ორი **ახალი** იდეაც. პირველი: „ბუერზინსკის ცნობილ დოქტრინაში საქართველოს რვა ნაწილად დაშლაა ჩადებული. ესაა საქართველოში ამერიკის პოლიტიკის ერთერთი ასპექტი“, მეორე: რუსებმა საქართველოს ეკონომიკური ობიექტები იყიდეს „იმიტომ, რომ შემდეგ ამერიკელებს ათჯერ ძვირად მიჰყიდონ“

თუ პირველი ამ „შემოცურებული“ თეზისის დანიშნულებაა ქართველები შეგვაშინოს, ნახეთ, თურმე ამერიკელები რას გეგმავენო (რათა აქედან გავაკეთოთ დასკვნა „გაუმარჯოს რუსეთსო“), მეორის მიზანი, პირიქით, ჩვენი დამშვიდებაა, „ნუ გეშინიათ, რუსმა რაც არ უნდა იყიდოს, იგი საქართველოში ვეღარ გაბატონდება ეკონომიკურად, მას ეს ჩალის ფასად ნაყიდი სტრატეგიული ობიექტები მხოლოდ ამერიკელებთან სპეკულანტობისათვის უნდაო“.

ორივე ეს „სასხვათაშორისოდ“ შემოცურებული დებულება ყალბია. ბუეზინსკის დებულებას, ჯერ ერთი, დამოწმება სჭირდება ტექსტუალურად (რასაც ავტორი არ აკეთებს), მეორეც, რაც მთავარია, ბუეზინსკი დიდი ხანია, რაც აღარ ქმნის ამერიკის საგარეო პოლიტიკაში არანაირ „ამინდს“. უფრო მეტიც, მისი, როგორც პოლიტოლოგის, წონა ძალიან შემცირდა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ მისი პროგნოზი „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ დაპირისპირების მოსალოდნელი შეცვლის შესახებ დაპირისპირებით „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ არ მართლდება. (თქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რ საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის პოლიტიკის ყოველი მიმოხრისადმი ფხისლად არ უნდა ვიყოთ და მზად არ უნდა ვიყოთ, მათი ყოველი არასასურველი ნრახვა სათანადოდ მოვიგერიოთ ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით). რაც შეეხება მეორე დებულებას, რუსებს მხოლოდ სპეკულაცია აინტერესებთ საქართველოშიო, იგი, ჯერ ერთი, თითიდან გამოწუწნულია (რუსების ასეთ მცირე მადაზე არანაირი ფაქტი ან წყარო არ მეტყველებს). პირიქით, ცნობილია, რომ რუსეთის კაპიტალი დღესაც, ისევე როგორც ადრე, ყველა რეგიონში, მით უმეტეს, საქართველოში, პოლიტიკურად ანგაჟირებულია, ანუ მას აინტერესებს გეოპოლიტიკური პოზიციები და არა ფული). მეორეც, ეს დებულება ყალბია. ჩვენ თვალნათლივ მოწმენი ვართ იმისა, რომ ამერიკელებს რუსებისაგან საქართველოში არაფერი უყიდიათ, პირიქით კი არაერთხელ მომხდარა (მაგ. თელასი მუქთად იყიდეს ამერიკელებმა და მერე მიჰყიდეს რუსებს). ამიტომ არც ყოფილი კაზაკის, ამჟამად ამერიკელის, „ნანინას“ უნდა ვერწმუნოთ, არც მის მიერ ამერიკული პოლიტიკის პანიკურ პროგნოზირებას. ჯობს, ჩვენი ხედვა ისევ მსოფლიო პრესის დამოუკიდებელ (საკუთარი თვალით) კითხვაზე და, რაც მთავარია, მსოფლიო რუკის საკუთარი თვალითა და გონებით კითხვაზე დავამყაროთ.

რა არის საქართველოს ერთგული ხელისუფლების პირდაპირი და მიუცილებელი მოვალეობა აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტების მიერ ს. შამბას ხელით წარმოდგენილ „წინადადებებთან“ დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქართულ-აფხაზური (ანუ საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის, როგორც მისი ნაწილის) ურთიერთმიმართების ისტორიის ს. შამბას მიერ წარმოდგენილ ხედვასთან დაკავშირებით.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ იურიდიული თეზისი, თითქოს აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილება საქართველოდან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) შესახებ მიიღო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ყალბია. საქართველოს სსრ, ისევე როგორც ყველა სხვა „მოკავშირე რესპუბლიკები“, ამ კონსტიტუციის თანახმად, იყო „სუვერენული სახელმწიფო“, რომელსაც ჰქონდა სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოყოფის უფლება. ავტონომიური ერთეულები სსრკ-ის შემადგენლობაში იყვნენ არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ როგორც შესაბამისი „მოკავშირე რესპუბლიკის“ შემადგენელნი. აფხაზეთის ავტონომიური სსრ საქართველოს შემადგენლობაში არ იყო სუვერენული რესპუბლიკა და მას, კონსტიტუციით, გამოყოფის უფლება არ ჰქონდა, რაც დაფიქსირებული იყო საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფის ან დარღვევის უფლება სსრკ ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ჩათვლით, არ ჰქონდა საქართველოს უზენაესი ხელისუფლების (სახელდობრ, მისი საკანონმდებლო შტოს) არა თუ დასტურის, არამედ ინიციატივის გარეშეც. მაშასადამე, საბჭოთა კავშირის 1991 წლის 3 აპრილის კანონი, „წინადადებებში“ დამოწმებული, რომლის თანახმადაც ავტონომიურ რესპუბლიკებს, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში, ენიჭებოდათ უფლება თავად გადაეწყვიტათ სსრ კავშირში დარჩენისა თუ მისგან გასვლის საკითხი, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასაც და თვით სსრკ-ს კონსტიტუციასაც, რის გამოც იგი როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში, ისე სსრკ-ს კონსტიტუციასთან მიმართებაში კანონსაწინააღმდეგოა.

იურიდიული თეზისი, თითქოს საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები „შეიქმნა და რეგულირდებოდა საბჭოთა კანონმდებლობით“, აგრეთვე ყალბია თავის იმ ნაწილში, რომელიც გამოხატულია სიტყვით „შეიქმნა“. ჯერ ერთი, საქართველოსა მის მთლიანობაში და აფხაზეთს („სოხუმის ოლქს“), როგორც მის ნაწილს, შორის სამართლებრივი ურთიერთმიმართება თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ცნებითი აპარატის გამოყენებით **ავტონომიად** (დამოუკიდებლობად საშინაო საქმეებში) განისაზღვრა საბჭოთა კავშირის შექმნამდე. იგი ავტონომიად („საშიანო საქმეებში დამოუკიდებლობად“) განსაზღვრულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით (1921 წ.). როგორც ცნობილია, ამ კონსტიტუციით განისაზღვრა (1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად) საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სტატუსიც. ამ სტატუსის გაუქმება ბოლშევიკურმა რუსეთმა ვეღარ შეძლო, რის გამოც იძულებული იყო (შინაგანი რეგულირების ინტერესებში და საერთაშორისო სივრცის წინაშე თავისი პრესტიჟის ინტერესებში), რომ ეს სტატუსი საქართველოს სსრ სტატუსში დაეტოვებინა სიტყვის „სუვერენული“ გამოყენების საშუალებით და „სსრკ“-სთვის “სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირის“ სახის მიცემის საშუალებით. ამავე მიზეზით შენარჩუნდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსი, როგორც ავტონომიური ერთეულისა. ამ (თანამედროვე) იურიდიული ცნებებით განსაზღვრამდე მთლიანად საქართველოს და აფხაზეთის, როგორც მისი ნაწილის, უფლებრივი ურთიერთობა განისაზღვრებოდა სხვა (სახელდობრ, ფეოდალური) ცნებებით, მაგრამ ეს ურთიერთობა თავისი შინაარსით იგივე იყო: იმერეთი იყო სამეფო, აფხაზეთი – მასში შემავალი ერთ-ერთი სამთავრო. ამავე დროს (სახელდობრ, გვიან შუა საუკუნეებში) იმავე სამეფოში შემავალი ოდიშის მთავარს დადიანს ჰქონდა თავისი იურისდიქცია დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიმართ. **დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიაში არ არის ისეთი მონაკვეთი, როცა იგი მთლიანად საქართველოს ან დასავლეთი საქართველოს ნაწილი არ ყოფილიყოს**. სახელის „აფხაზეთი“ მატარებელი სამეფოს შექმნა VIII საუკუნეში არ იყო არც დანარჩენი საქართველოდან (დასავლეთი საქართველოდან) დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის გამოყოფის აქტი, არც საქართველოს შიგნით ეთნიკური შემადგენლობით განსხვავებული, **არაქართული** სახელმწიფოს შექმნისა. ამის საკმარისი საბუთია ის, რომ აფხაზეთის პირველმავე მეფემ ლეონმა თავის დედაქალაქად აირჩია ქუთაისი, სადაც არასოდეს, არავითარი დოკუმენტით ან არაპირდაპირი მინიშნებით სხვა ეთნოსისა და ენის, გარდა ქართველურის, არსებობა არ იგულისხმება. თვით ეთნონიმის „აფხაზი“ გაგება, როგორც დღეს საკუთარი თავის „აფსუად“ მწოდებელი ხალხის აღმნიშვნელისა, უსაფუძვლოა, რამდენადაც ბგერათკომპლექსი „აფხაზ“ („აბაზგ“, „აბასკ“) და ბგერათკომპლექსი „აფსუა“ ლინგვისტურად ერთმანეთთან ვერ მიიყვანება (ეს ორი ბგერათკომპლექსი ვერანაირი ფონეტიკური, პროცესის შედეგად ვერ გაიგივდება, „აფხაზი“ „აფსუად“ ვერ იქცევა და პირიქით), როგორც ეს ნათლად აქვს ნაჩვენები სპეციალურ გამოკვლევაში თ. გამყრელიძეს. გაუგებრობის ასაცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აფხაზეთის, როგორც ტერიტორიის და როგორც პოლიტიკური იურიდიულად დაფიქსირებული ერთეულის, საქართველოს შემადგენლობაში ისტორიულად შემავალობის საკითხი სხვაა, ვიდრე ამ ტერიტორიაზე დღევანდელი აფხაზების, ანუ, საკუთარი სახელწოდებით, აფსუების ავტოხთონურობის საკითხი. ამ უკანასკნელს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ ტერიტორიასთან (აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიასთან) აფსუა („აფხაზი“) ხალხის ფსიქოლოგიური და მორალური კავშირის რაგვარობის საკითხისათვის, მაგრამ არა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის ისტორიის საკითხისათვის. ისტორიული თეზისი, რომლიდანაც სეპარატისტთა მხარეს გამოაქვს დასკვნა აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისი უპირატესი უფლებების ფართო სპექტრის დაკანონების აუცილებლობის შესახებ, მათ შორის – მისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების (ანუ აფხაზეთის მთელი ტერიტორიის საკუთარი ეროვნული „თვითგამორკვევისათვის“ გამოყენების) უფლების შესახებ, აგრეთვე ყალბი თეზისია.

ფაქტია, რომ აფსუა („აფხაზ“) ხალხს, დღესდღეობით, დედამიწაზე არ მოეპოვება სხვა ადგილი აფხაზეთის გარეთ, რომელსაც მისი სახელი ეწოდება, რომელშიც იგი ცხოვრობს და რომელიც, აქედან გამომდინარე, მისი სამშობლოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული აფხაზეთის მიწაზე (ამ

მიწის იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც დღეს რსფსრ-შია) აფსუა („აფხაზ“) ხალხს ადგილობრივი მკვიდრი (indigenous) ხალხის შეუვალი და უეჭველი მორალური და ყველა სხვა სახის უფლებამოსილებები აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიის მიმართ შეუვალი მორალური უფლებამოსილებები **მხოლოდ** მას აქვს. სახელდობრ, არ ნიშნავს, რომ ეს უფლებამოსილებები არა აქვს ქართველ ხალხს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ავტოხთონურია (რადგან ფაქტია, რომ განვითარებული ფეოდალური ცივილიზაცია, რომელიც ამ ტერიტორიის ისტორიის დღესდღეობით ცნობილი ყველაზე დიდი მონაპოვარია, მთლიანად ქართულენოვანია, და ასევე ფაქტია, რომ ქართულია (ქართველურია) დღესაც კი ტოპონიმიკის უდიდესი ნაწილი. ამ და მიმდებარე ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში მოსახლე და ანტიკური წყაროებით ცნობილ ტომთა იდენტიფიკაცია როგორც ქართველურისა ან როგორც არაქართველურისა, სახელდობრ, ადეღიურისა (ადიღეურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის აფსუურიც ანუ „აფხაზურიც“), უმრავლეს შემთხვევაში მეტნაკლებად ღია საკითხია. მაგრამ მეცნიერებისათვის უდავოდ ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სახლობენ აბაზები, რომელთა ენა თითქმის აფსუურია, რაც მიუთითებს მათი ურთიერთდაშორების გვიანდელობაზე, და მეცნიერებამ ასევე უეჭველად იცის (მრავალი სხვადასხვა წყაროთი), რომ XVII-XVIII საუკუნეებში, როცა შავი ზღვისპირეთის ამ მხარეში თურქული გარნიზონები იდგა, მიმდინარეობდა კავკასიონის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ადიღეური მოდგმის მოსახლეობის (უპირატესად – არამშვიდობიანი) გადმოსახლების და მიწების დაკავების პროცესი, რომლის შედეგადაც აფხაზეთის დღევანდელი აფსუური მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიქმნა. „დიდი ნაწილი“ თუ მთელი ეს მოსახლეობა? ესეც ღია საკითხია, რადგან არ არის ცნობილი, შეინარჩუნა თუ არა ადგილობრივი ტომების იმ ნაწილმა, რომელიც (ჰიპოთეტურად) ადიღეური მოდგმისა იყო და არა ქართველურის, თავისი ადიღეური ენა და ცნობიერება მანამდე, სანამ მთის გაღმიდან მათი მონათესავეების ჩამოწოლა დაიწყებოდა. (მთის გადაღმიდან ადიღეური მოდგმის ახალი მოსახლეობის ამ არამშვიდობიანი გადმოსახლების პროცესის ერთი დიდი ეპიზოდი დოკუმენტურად დამტკიცებულია. იხ. მაგ. ჯ.გამახარიას მიერ მოძიებული კათოლიკე მასიონერთა მოხსენებები). ამ დეტალებისგან დამოუკიდებლად, აშკარაა, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს იმის აღიარებისთვის, რომ აფსუა ხალხს „აფხაზი“ ჰქვია იმიტომ, რომ საქართველოს „აფხაზეთად“ ცნობილ ნაწილში დასახლდა, და არა, პირიქით, იმის აღიარებისთვის, რომ აფხაზეთს იმიტომ ჰქვია ეს სახელი, რომ იგი აფსუების, სხვათა მიერ (რატომღაც) „აფხაზებად“ წოდებულების, ისტორიული ტერიტორიაა. ყოველივე ეს მეცნიერებამ **იცის** და საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, ეს ცოდნა დაიმოწმოს და გამოიყენოს, როცა საქმე საქართველოს მიწა-წყლის დაცვას ეხება. კერძოდ, მან უნდა თქვას, რომ აფხაზეთის მიწა-წყალი მის დღევანდელ ფარგლებში, სახელდობრ, მისი ის ნაწილი, რომელიც მას არ წაერთვა სოჭის მხარის სახით, არ არის, ისტორიულად და მორალურად, აფსუების („აფხაზების“) ქვეყანა, არამედ იგი ქართველების და აფსუების („აფხაზების“) ქვეყანაა, ან, თუ გნებავთ, აფსუების („აფხაზების“) და ქართველების ქვეყანაა.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია აფხაზეთის კონფლიქტის თემის ნებისმიერი განხილვის პროცესში მყარად ჰქონდეს შეთვისებული და გამოყენებული ისტორიულად ჭეშმარიტი ერთადერთი დებულება ამ სფეროში: აფსუა („აფხაზ“) სეპარატისტთა თეზისი – მათი ყველა პრეტენზიის უცვლელი წანამძღვარი – „ჩვენ, აფსუები ავტოხთონურები ვართ, თქვენ ქართველები კი არა, ამიტომ ყველა გადაწყვეტილებაზე აფხაზეთის სტატუსის შესახებ ვეტოს უფლება გვეკუთვნისო“, ყალბი თეზისია. ყველაზე თვალსაჩინოდ ავტოხთონური ანუ ყველაზე უდავოდ ისტორიულად აქ მკვიდრნი და ცივილიზაციის შემქმნელნი, როგორც ვთქვით, აქ ქართველი მოსახლეები არიან. ამიტომ ვეტოს უფლება (თუკი იგი არსებობს) მათი უფლებაცაა და, პირველ ყოვლისა, სწორედ მათი უფლებაა. პრინციპი, რომ ერთი აფსუას („აფხაზის“) ხმას მეტი წონა უნდა ჰქონდეს ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე ერთი ქართველისას, ყალბ ისტორიაზე დამყარებული პრინციპია.

2. <u>აფხაზეთ საქართველოსაგან სეცესიის (გამოყოფის) მოთხოვნასთან დაკავშირებით</u>

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიჭიროს მყარი პოზიცია, რომ

– აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არაა მ ხ ო ლ ო დ მისი აფსუა („აფხაზური“) მოსახლეობის, რაგინდარა ერთსულოვანის, ნება. იგი არის **ტოლქმედი** ამ მოსახლეობის ნებისა (რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც **თავისი** სამარადისო თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების ასპარეზი), ქართველი მოსახლეობის ნებისა (რომ ეს ტერიტორია განიხილოს როგორც **თავისი** სამარადისო თვითდამკვიდრების და თვითრეალიზაციის ასპარეზი) და აფხაზეთის **ყველა მოსახლის ერთობლივი** ნებისა, რომ იცხოვრონ მშვიდად, კეთილდღიანად და დემოკრატიულად. ამის გარდა, აფხაზეთი საქართველოს მ თ ე ლ ი მოსახლეობის, ქართველი ერის კანონიერი ინტერესის საგანია, მისი დასტურის გარეშე აფხაზეთის ტერიტორიის გასხვისების და საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში ამ ტერიტორიის ფუნქციისა და მისი გამოყენების მიმართულების შეცვლის უფლება, საქართველოდან მისი გამოყოფის უფლების ჩათვლით, არავის აქვს.

– აფსუა („აფხაზი“) ხალხის კომპაქტური სახლობა აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებში და მისი (მეტნაკლებად ჰიპოთეტური) სახლობა აქ ისტორიამდელ ხანაში, აგრეთვე ის, რომ მას დღეს მსოფლიოში სხვა სამშობლო არა აქვს (იხ. ზემოთ), საკმარისი საფუძველია იმის სავალდებულოობისათვის, რომ მას ჰქონდეს ამ ტერიტორიაზე საკუთარი სრული თვითრეალიზაციის ობიექტური შესაძლებლობა აწ და მარადის (რაც რეალიზდება და გარანტირდება შესაბამისი ინსტიტუტებით), მაგრამ არა იმის უფლებისათვის, რომ უცხო სახელმწიფოებთან დაამყაროს იმგვარი ურთიერთობები, რომლებიც შეუთავსებადია საქართველოს სახელმწიფოს, როგორც არა მხოლოდ მისი, არამედ აგრეთვე ქართველი ხალხის კუთვნილებისა და იარაღის, ინტერესებთან, მაგ. მოითხოვოს მესამე ქვეყნის სამხედრო მყოფობა ამ მიწაზე.

– აფსუა („აფხაზი“) ხალხის უფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ადგილობრივი მკვიდრი (indigenous) ხალხისა, ლოგიკურად და სამართლიანობის პრინციპის მიხედვით ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფსუა („აფხაზი“) ხალხის ცნობიერება არ განიცდის ევოლუციას იმ მიმართულებით, რომ მან თავისი თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს ადიღეური ჯგუფის ხალხებთან მათს მთლიანობაში და, ამ მოტივით, აფხაზეთში ადიღეური მოდგმის სხვა არა აფსუა (არა „აფხაზი“) ხალხების შემოსახლება მოითხოვოს, რაც მიმართული იქნება აფხაზეთის მოსახლეობაში ქართველების პროცენტის თვითმიზნური რადიკალური შემცირებისაკენ. ასეთ შემთხვევაში აფსუური („აფხაზური“) მოსახლეობა საქართველოში თავს ჩაიყენებს დიასპორის სტატუსში (რადგან უცხო მოსახლეობის შემოყვანა საქართველოში ნიშნავს პრიორიტეტის მიცემას მეორე ქვეყნისა და ერის ინტერესებისათვის საქართველოს საზარალოდ), აქედან გამომდინარე ყველა მორალური და იურიდიული შედეგებით.

3. <u>დევნილთა („ლტოლვილთა“) დაბრუნების თემაზე სეპარატისტთა განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ამ „აქციას ნეგატიური მხარეებიც“ აქვს და დევნილთა კონტინგენტი „ვერიფიკაციას“ ექვემდებარება,</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

– დევნილთა დაბრუნება და მათი საკუთრების სრული რესტიტუცია (აღდგენა) **უპირობოა**. კანონი არ ითვალისწინებს სასჯელს ამა თუ იმ პოლიტიკური აქტივობის გამო საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან გაძევების სახით. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის შეიარაღებული ბრძოლა შეიარაღებული კანონსაწინააღმდეგო სეპარატიზმის წინააღმდეგ და ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული გენოციდის წინააღმდეგ (რომელიც გრძელდება. მხოლოდ გალის რაიონში 1993 წლიდან დღემდე 2000 მოსახლემდე მოიკლა სეპარატისტთა შეიარაღებული ძალების მიერ) **დანაშაული არ არის.**

– დევნილთა დაბრუნებას უნდა ახლდეს მათი სიცოცხლისა და დაცვის მექანიზმი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალის მიერ (რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გენოციდი გაგრძელდება), ხოლო აფხაზეთში საბოლოო დარეგულირების შემდეგ ამ მოსახლეობისთვის სანდო (არა ექსკლუზიურად აფსუური („აფხაზური“)) ადგილობრივი პოლიციის მიერ.

4. <u>სეპარატისტების მთავარ „პირობასთან“ – საქართველოს მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობასთან – დაკავშირებით, რათა შემდეგ მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყაროს,</u> – საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია მყარად და შეუვალად განაცხადოს, რომ

– საქართველოდან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) არანაირი არც ისტორიული და, მაშასადამე, მორალური, არც იურიდიული საფუძველი არ არსებობს (იხ. ზემოთ).

საქართველოდან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) საფუძველს ვერ შექმნის 1992 - 1993 წლებში აფხაზეთში წარმოებულ ომში საქართველოს დამარცხების ფაქტი, რადგან ეს იყო და არის არა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი, არამედ ქართულ-რუსული ომი. საქართველო დამარცხებულია რუსეთთან წარმოებულ ომში. მას უფლება აქვს ყველა ძალით ისწრაფოს ამ ომში დამარცხებისათვის რევანშის ასაღებად ყველა საშუალებით, დიპლომატიურისა და მსოფლიოს საერთაშორისო სასამართლოებისათვის მიმართვის ჩათვლით, და იგი თავის ძალისხმევას წარმართავს კიდეც ამ მიმართულებით. საქართველო ვერ დაუშვებს და არ დაუშვებს თავისი მოქალაქეების მიმართ ჩადენილი მასობრივი მკვლელობის და ეთნიკური წმენდის შედეგთა დაკანონებას და დამნაშავეთა დაუსჯელობას.

5. <u>სეპარატისტთა განცხადებასთან დაკავშირებით, რომ „აფხაზეთში ჩატარებული“ (1991 წლის 17 მარტს) „რეფერენდუმის შედეგები“ (სადაც თითქოსდა ხმა მიეცა სსრკ-ს შენარჩუნებას) „ოფიციალურად არის დამტკიცებული სსრკ-ს რეფერენდუმის ცენტრალური კომისიის მიერ“,</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

– აფხაზეთში 17 მარტის რეფერენდუმში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია. რეფერენდუმი ყალბია, ხოლო მისი „შედეგების დამტკიცება“ სსრკ-ს ცენტრალური კომისიის მიერ – უკანონო, რადგან ამ კომისიას არ ჰქონდა უფლება „რეფერენდუმის“ შესახებ სხვა მასალების „განხილვისა“ იმის გარდა, რასაც მას მიაწოდებდა საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კომისია. რაკი საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კომისია არ არსებობდა (საქართველო ამ რეფერენდუმში არ მონაწილეობდა), უკანონო „რეფერენდუმის“ შედეგთა რეალურობის დამოწმება ხელეწიფებოდა მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებელთა კორპუსს, რომელიც არ შემდგარა.

6. <u>სეპარატისტთა განცხადებაზე, რომ აფხაზეთს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია,</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

– აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ ამ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგმულ ყუთებთან მივიდა და დამოუკიდებლობას ხმა მისცა. შესაბამისად, სეპარატისტთა განცხადებაც, რომ 17 მარტის რეფერენდუმში აფხაზეთის მიერ „ჰოს“ თქმამ და საქართველოს მიერ „არას“ თქმამ, ხოლო 31 მარტის რეფერენდუმში, პირიქით, საქართველოს „ჰომ“ და აფხაზეთის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

რეალურად შევხედოთ ცხინვალის მდგომარეობას

1. როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ოფიციალურად განაცხადა მზაობა, შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ტერიტორიული პოლიტიკური ერთეული, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი აღიაროს მეზობელი ქვეყნის სამხრეთ ნაწილად, ეს იყო სახელმწიფოს შეგნებული ღალატი რუსეთის სასარგებლოდ „ფორს მაჟორული“ ვითარების არსებობის სიმულაციაზე დაყრდნობით, რაც ე. შევარდნაძის ტრადიციული მეთოდია მოღალატური იურიდიული კაპიტულაციების განხორციელებისა გარეშე მტრის სასარგებლოდ. როდესაც იგივე პრეზიდენტი თანხმობის დუმილით შეეხვდა რუსეთის უპრეცედენტოდ თავხედურ ნაბიჯს – საქართველოს მოქალაქეებისათვის მასობრივად რუსეთის მოქალაქეობის მიცემას, ეს იყო ე.წ. იურიდიული „პირღიობის“ სიმულაცია იმავე გარეშე მტრის სასარგებლოდ. ამ ორი მოღალატური ნაბიჯის შედეგი უკვე სახეზეა: რუსეთი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ საქართველოს ცნობს მხოლოდ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებუ საზღვრებში, დღიდან დღეზე განაცხადებს უარს თავისი „მემშვიდობეების“ გაყვანაზე იმ „მოტივით“, რომ ცხინვალის რეგიონი არც საქართველოა, არც რუსეთი, არამედ „მესამე“ ტერიტირიაა, და რომ რუსეთ-საქართველოს 1992 წლის ივნისის შეთანხმება „ოთხმხრივი“ სამშვიდობი მისიის შესახებ ცხინვალის რეგიონში იყო არა საქართველოს მიერ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწვევა **თავის** ტერიტირიაზე, არამედ მხოლოდ შეთანხმება ერთობლივ სამშვიდობო აქციის შესახებ „მესამე“ ტერიტირიის საზღვრებში, რომელშიც ორივეს სტაბილობა უნდოდათ. აღნიშნული გარემოებები ძალიან აძნელებს ცხინვალის ზონიდან რუსების იძულებითი გაყვანის ამოცანას. თუ ეს ამოცანა ახლა ვერ გდაწყდა, მაშინ მოსალოდნელია მომავალში ამისთვის აუცილებელი აღმოჩნდეს საქართველოს მომავალი ხელისუფლების გამიჯვნა როგორც შევარდნაძის პოზიციისგან, რომელმაც რუსები ამ ზონაში „მემშვიდობეებად“ მოიწვია, ისე სააკაშვილის პოსიციისგანაც, როგორც მოღალატურისგან. დღეს რუსეთის ამ პოზიციის განცხადება ალბათ ცალკეულ პოლიტიკოსთა კერძო აზრის სტატუსს ვერ გასცდება, რადგან რუსების გაყვანას კატეგორიულად მოითხოვს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ დღეს ვალდებულნი ვართ გავითვალისწინოთ ეს შესაძლებლობაც, როგორც საქართველოს უკანასკნელი ხსნა ტერიტორიული დანაკარგისაგან უარეს შემთხვევაში.

საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული მოღალატური პოზიცია ყველა შემთხვევაში ზედმეტი დაბრკოლებაა საქართველოს მიერ ცხინვალის რეგიონში სახელმწიფოებრივად აუცილებელი და სამართლიანი ტერიტორიულ-ადმინიტრაციული მოწყობის ორგანიზებისთვის მომავალში..

2. რუსეთის პოზიციის ცვლილება ახალ ვითარებებთან დაკავშირებით შეგვიძლია არაპირდაპირი გზით ამოვიკითხოთ იქიდან, თუ რა „იდეებს“ აწოდებს იგი გასაჟღერებლად საქართველოს პოლიტიკურ წრეებს. დღეს შესამჩნევია **ორი**. ერთი ამათგანი ზოგადია და უცვლელი: საქართველოში დასავლეთის პოლიტიკის კრიტიკიდან ულოგიკო ნახტომით კეთდება დასკვნა, რომ „რუსეთს ტყუილად ვერჩით“. ეს იდეა მკვეთრად ჟღერდა, მაგალითად, ე. ჯაველიძის ტელეგმოსვლაში „კავკასიის“ არხზე ამ ოთხი თვის წინ. მეორე „იდეა“ ასევე მკვეთრად გააჟღერა დ. გამყრელიძემ არაერთხელ: დასავლეთი ხაზგასმით ითხოვს, ცხინვალში ძალა არ გამოიყენოთ, წინააღმდეგ შემთხვევში მისი დამოკიდებულ საქართველოსადმი 180 გრადისუთ შეიცვლებაო. ეს დეზინფორმაციაა. დასავლეთის ინტერესი საქართველოსადმი სტრატეგიულია და არა მოწონებასა და სიმპათიაზე დამყარებული, და იგი არც მიმართულებას, არც ინტენსიურობის ხარისხს არ შეიცვლის განჭვრეტად მომავალში. ხსენებული დეზინფორმაციის საქართველოში აქტუალიზაციის ფაქტი მეტყველებს რუსეთის სურვილზე, რომ „მემშვიდობეთა“ წასვლის შემდეგ, რაც მსოფლიოს აზრის მყარი ნებაა, საქართველომ არ მოახდინოს პოლიციური აქცია ვითარების ნორმალიზაციისათვის, რის საწინააღმდეგოდაც რუსეთს, შექმნილი მსოფლიო კონტექსტის მიხედვით, კონტრნაბიჯების გადადგმა არ ძალუძს.

3. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი, რათა საზოგადოებას მოვუწოდოთ სიფხიზლისკენ და პარლამენტს – მისი უმძიმესი პასუხისმგებლობის გათვალისწინებისაკენ მორიგი ანტიქართული ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში. რუსი მემშვიდობეების გაყვანის ღონიძიება მსოფლიოს კატეგორიული მოთხოვნაა და არა საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნება. ეს უკანასკნელი ამჯერადაც, ისევე როგორც ყოველთვის, რუსეთის ინტერესებს იცავს და არა საქათველოსას ან მსოფლიოსას, და ჩუმად „აძვრენს“ ამ რუსულ ინტერესებს. ამჯერად რუსეთის მიზანსახვა ასეთი ჩანს: რუსები წავლენ, მაგრამ პოლიტიკური და იურიდიული ვითარება დარჩება ისეთად, როგორიც რუსეთს უნდა: საქართველოში დარჩება მათ მიერ 1922 წელს შექმნილი და საქართველოს უხინჯოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ 1990 წელს გაუქმებული ყალბი ერთეული „სამხრეთ ოსეთის“ სახელით. ეს ბომბი დარჩება საქართველოს სხეულში დემოკრატიულად არჩეული ეროვნული ხელისუფლების მოსვლამდე, რომელიც გააუქმებს ამ და წინა ხელისუფლების კაპიტულანტურ ნაბიჯებს, როგორც აგენტურული დავალებით გადადგმულს.

4. ზემოთთქმული საზოგადოებას არაერთხელ მოჰხსენდა და მისთვის ცნობილია. დღეს იკვეთება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული ოკუპაციის დატოვების მცდელობის ყველაზე ალბათი მოტივირება: რუსეთის ახალ „მოქალაქეებზე“ (აფსუებსა და ოსებზე) ზრუნვა. ამ არგუმენტის მოგერიებისათვის საქართველო მზად უნდა იყოს, სახელდობრ, ორი საბუთით:

ა) თუ რუსეთის მოქალაქეებს სჭირდებათ დაცვა, ეს დაცვა უნდა განხორციელდეს რუსეთის საელჩოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, იურიდიული წესით, და არა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ. თუ საქართველომ ხელყო მათი ინტერესები იმ ზომით, რომ ეს შეიარაღებულ ჩარევას ითხოვს, მაშინ რუსეთს ამ ჩარევის ერთადერთი იურდიულად გამართული ფორმა გააჩნია: მან ეს ჩარევა უნდა განახორციელოს ჯერ ულტიმატუმით, ხოლო შემდეგ, უარის შემთხვევაში, ომის გამოცხადებით და დაწყებით, მაგრამ არა უვადო სამხედრო დგომით საქართველოს ტერიტორიაზე და თავის მოქალაქეთა სახლობის სივრცის გათოფვით.

ბ) რუსეთის მოქალაქეების უვიზოდ ცხოვრება საქართველოში ოფიციალურად უნდა იყოს ცნობილი ანომალიად, რომელსაც გამოსწორება სჭირდება, და დროებით (მრავალი წლით, მაგრამ არა უვადოდ) უნდა განისაზღვროს შეძლებისდაგვარად რბილი ზომები ამ ადამიანთა კონტროლისა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, აგრეთვე უნდა მოხდეს მათი მდგომარეობის საბოლოო დარეგულირების პროცედურის განსაზღვრა (ცხადია, არა უკონტროლო უვიზო ცხოვრების და საკუთრების უკონტროლო ფლობის სახით).

5. მინდა გამოვთქვა სურვილი და იმედი იმის თაობაზე, რომ დასავლეთი უახლოეს მომავალში გაიცნობიერებს გარემოებას, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის და, სავარაუდოდ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დასავლეთისთვისაც დღევანდელ გეოსტრატეგიულ ვითარებაში: საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები დღეს მთელ რიგ არსებით პუნქტებში ემთხვევა დასავლეთის სასიცოცხლო ინტერესებს, რაც საკმარისი საფუძველია უმყარესი ალიანსისათვის, სამხედროს ჩათვლით. მაგრამ ამ ინტერესთა ცნობიერების და მათი დაცვის ნების მატარებელი საქართველოში არის მხოლოდ ქართველი პატრიოტი, ანუ ადამიანის ის ტიპი, რომელსაც ქართველი ხალხის 99 პროცენტი ეკუთვნის, მაგრამ არ ეკუთვნის ის უარესი უმცირესობა, რომელიც დღეს საქართველოს სათავეში დგას.

ნოდარ ნათაძე

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს
განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო პრეზიდენტო, მოქმედი კანონმდებლობიდან და ევროპის სოციალური ქარტიიდან გამომდინარე, თქვენ უფლებამოსილი და მოვალე ბრძანდებით, საკუთარი განკარგულების საფუძველზე შექმნათ შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარების სამმხრივი კომისია. (ხელისუფლება დამსაქმებელთა გაერთიანებები და პროფკავშირები). ჩვენს კავშირს მიაჩნია, რომ აღნიშნულ კომისიაში უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია, როგორც ჩვენი კავშირი, ასევე მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირი (თავმჯდომარე მ. შ. გიორგი ამაშუკელი).

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი განკარგულებით მოხდება სამმხრივი კომისიის ფორმირება და მასში იქნება წარმოდგენილი ჩვენი კავშირიო და მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირი.

თავად კომისიის შესახებ გთავაზობთ შემდეგ მოსაზრებებს:

1. კომისიის დებულება მომზადდეს საჯაროდ და გამჭვირვალედ;

2. კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს;

3. კომისიის ეფექტური მუშაობის მიზნით შეიქმნას სამდივნო, რომლის ხელმძღვანელობა დაევალოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს – აღმასრულებელ მდივანს.

ველით ოფიციალურ პასუხს

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე

გიორგი ამაშუკელი

P.S. განათლების ეროვნული კავშირი აგრეთვე მიმართავს გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ხუან სომავიას თხოვნით, მოავლინოს საქართველოში შრომის საერთაშორისო ბიუროს მადალი მისია, რომელიც შეისწავლის საქართველოში შრომის ბაზრის, დასაქმების, ხელფასის სოციალურ-შრომითი უფლებებისა და ნორმატიული აქტების, მშრომელთა და უმუშევართა მდგომარეობას, რათა მომზადდეს სათანადო მოხსენება შრომის საერთაშორისო კონფერენციის მორიგ სესიაზე წარსადგენად. ეს აუცილებელია საქართველოში პიროვნების სოციალური უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმირებისა და განხორციელებისათვის.

„არამ“ წარმოშვა „ორი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სახელმწიფო“, იურიდიული ნონსენსია (უაზრობაა).

7. <u>სეპარატისტთა განცხადებასთან დაკავშირებით, რომ „1999 წლის რეფერენდუმში აფხაზეთის მოსახლეობის 90%-მა დაადასტურა სურვილი აშენოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო“,</u> საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა, განაცხადოს, რომ

- რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის 66% განდევნილისა სარეფერენდუმო ტერიტორიიდან, ბათილია

აფხაზეთს, როგორც პოლიტიკურ ერთეულს, კანონით არა აქვს სახელმწიფოსაგან (საქართველოსაგან) გამოყოფის და, შესაბამისად, ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარების უფლებაც.

-1999 წელს აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია კანონიერი, ხოლო ნაწილი უკანონოა (უკანონოდ შემოსულია და დასახლებულია საქართველოს ხელისუფლების დასტურის გარეშე)

8. <u>სეპარატისტების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ ბოდიში მოიხადოს აფხაზეთის წინაშე,</u> საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ საქართველოს ხელისუფლება 1992 წელს არ გასცდომია თავის კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედების სფეროში, ხოლო ომი დაიწყო აფსუების („აფხაზების“) უკანონო გვარდიის მიერ ქართული გვარდიისათვის ჩასაფრების მოწყობისა და ჯვარედინი ცეცხლის გახსნის შედეგად. „ასიმილაციის“ თემაზე უკვე გვქონდა საუბარი, „იზოლაციის“ ანუ ბლოკადის თემაზე კი საუბარი გვექნება ქვემოთ. .

9. **სეპარატისტთა მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე, რომ საქართველომ აფხაზეთი „იზოლაციაში“ მოაქცია ბლოკადის გზით,** საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ

- ბლოკადა მიმართულია საქართველოს წინააღმდეგ მეომარი ძირითადი ძალის – რუსეთის – სამხედრო ტვირთების გადაზიდვათა აღკვეთისაკენ, რაც სავსებით ექცევა საერთაშორისოდ მიღებული ნორმების ფარგლებში

- ბლოკადა არ იწვევს აფხაზეთის ტერიტორიისათვის რომელიმე საარსებოდ აუცილებელი საგნის მოწოდების შეწყვეტას და, ამდენად, არ იწვევს არც მშვიდობიანი მოსახლეობის დამატებით გაჭირვებას.

10. <u>სეპარატისტთა განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ აფხაზეთის „ინფორმაციული ბლოკადის“ განხორციელების შესახებ</u> საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ

- ეუთოს სამიტზე აფხაზეთის წარმომადგენლის დაშვება არაა გათვალისწინებული ეუთოს მოქმედების წესით, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაა. ამ წესის არც შემოღებაში, არც შეცვლაში საქართველო ერთპიროვნულად უფლებამოსილი არ არის.

- ლისაბონის სამიტში მონაწილეობდა რუსეთი, რომელიც აფხაზეთში არსებული სეპარატისტული მოძრაობის მთავარი ორგანიზატორია და, ამდენად, აფხაზეთის კონფლიქტის აფსუური („აფხაზური“) მხარის გულმოდგინე ადვოკატი

– აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტებისა და მათი უცხოელი დამხმარეების მიერ ჩადენილი ეთნიკური წმენდის კონსტატაცია ემყარება დევნილთა 200 ათასზე დიდი რაოდენობის არსებობის ფაქტს და უცხოელი თვითმხილველების მიერ დამოწმებულ მრავალრიცხოვან ფაქტებს.

11. სეპარატისტთა მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნას „საომარ მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიების საიმედო ზომები“, ანუ ობიექტური პირობები იმისა, რომ საქართველომ თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ძალა ვერ იხმაროს, საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ

- საქართველოს ტერიტორიული მღლიანობის აღდგენა საქართველოს სახელმწიფოს უპირობო უფლებაა და მისი ხელისუფლების შეუვალი მოვალეობაა. იგი უპირველესია საქართველოს სახელმწიფოებრივ მიზანთა შორის, ამავე დროს იგი უნაკლულად სამართლიანია და კანონის ყველა ნორმასთან, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და მინორიტეტული ჯგუფების უფლებების დაცვის ყველა ნორმასთან სრულ თანხმობაში მყოფი ამოცანაა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება, ყველა საშუალებით ცდილობს რა მშვიდობიანი საშუალებებით ამ მიზნის მიღწევას, არ იღებს ხელს და ვერ აიღებს ხელს თავის უფლებასა და მოვალეობაზე, აუცილებლობის შემთხვევაში მიჰმართოს ძალას სამართლიანობის აღსადგენად.

4. <u>აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტების მიერ „ერთა თვითგამორკვევის“ უფლების დამოწმებასთან დაკავშირებით</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

– დღეს მსოფლიოში ორასიოდე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაშასადამე, ამდენივე სუვერენული ერია, ხოლო არასუვერენული, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არმქონე ერი რამდენჯერმე მეტია. დღეს მსოფლიოში მოქმედი ნორმებით ერი ვერ იღებს თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, თუ ეს ეწინააღმდეგება არსებულ სახელმწიფოთა, გაეროს წევრ სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. ამიტომ დღეს არადამოუკიდებელ ერთა განვითარებისა და თვითრეალიზაციის შეუზღუდველ შესაძლებლობათა შექმნა ემყარება არსებული სახელმწიფოს შიგნით მისი თავისუფლების ხარისხის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ზრდის პრინციპს, ერთის მხრივ, და, პერსპექტივაში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას იმ ანგარიშით, რომ გადაისინჯოს ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა და სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის ურთიერთმიმართება, მეორეს მხრივ. როგორც ამ ურთიერთმიმართების გადახედვის, ისე მისი არგადახედვის შემთხვევაში დამოუკიდებლობის აღიარებისთვის და, შესაბამისად, ამ აღიარებისთვის ბრძოლის გამართლებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ დამოუკიდებლობის მაძიებელ ერს ჰქონდეს საკუთარი ეთნიკური (პრაქტიკულად – ისტორიული) ტერიტორია, სადაც იგი ცხოვრობს და სადაც იგი უმრავლესობას შეადგენს. ტერიტორიული თვითგამორკვევა სხვა ერის ეთნიკური ტერიტორიის გამოყენებით და, ამგვარად, სხვა ერის ტერიტორიული თვითგამორკვევის ხარისხის შეზღუდვით არც დასაშვებია და არც დაშვების პერსპექტივა აქვს. აფსუა „აფხაზ“) სეპარატისტებს, როგორც ზემოთ ითქვა უკვე, თავისი ტერიტორიული „თვითგამორკვევა“ ჰსურთ ტერიტორიაზე, რომელზედაც ისინი მოსახლეობის 17% შეადგენენ (კანონიერად) და რომლის მოსახლეობის 46%-ს (კანონიერად) სხვა, ამ ტერიტორიაზე უნაკლულოდ ავტოხთონური ერის მოსახლეობა, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობა შეადგენს. აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტები რომ ტერიტორიულ თვითგამორკვევას ანუ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ იმ ტერიტორიაზე (ფართობზე), სადაც ისინი ფაქტობრივად ცხოვრობენ, როგორც თავის ეთნიკურ ტერიტორიაზე, და სადაც ისინი უმრავლესობა არიან, მაშინ ლოგიკური და სამართლიანი იქნებოდა მათი ამ სურვილის განხილვა ერთის მხრივ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის და მეორეს მხრივ საზღვართა ურღვევობის პრინციპის მიმართების საკითხის კონტექსტში. მაგრამ ვინაიდან ასეთი პირობა ამ შემთხვევაში შესრულებული არ არის, საქართველო ამ საკითხს განსახილველად ვერ მიიღებს. საქართველოს ხელისუფლებას საჭიროდ მიაჩნია კიდევ ერთხელ აღნიშნოს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ტერიტორიული ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა იმ ფორმით, რომლითაც დღეს მისი წამოყენება ხდება, დამყარებულია ზემოთ უკვე განხილულ მანკიერ (უმართებულო) წანამძღვარზე, რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხი აფხაზეთის ერთადერთი ადგილობრივი მკვიდრი (indigenous) და, ამდენად, აფხაზეთის პოლიტიკური ბედის განსაზღვრის საკითხებში ვეტოს უფლებით აღჭურვილი ხალხია.

5. <u>სეპარატისტების დებულებასთან დაკავშირებით, რომ საქართველო „ათწლეულობით მიმდინარე გენოციდს“ ახორციელებდა აფსუების („აფხაზების“) მიმართ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი „ამცირებდა აფხაზურ მოსახლეობას, ცვლიდა აფხაზურ ტოპონომოკასა და ჰიდრონიმიკას, ტრანსფორმაციას უკეთებდა აფხაზურ სახელმწიფოებრიობას“,</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

– საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს არც ერთი სულით არ შეუმცირებია აფხაზური მოსახლეობა. ქართველი ეროვნების პირთა შესვლა და დასახლება აფხაზეთში მეზობელი რაიონებიდან ცვლიდა (აქვეითებდა) აფხაზი მოსახლეობის **პროცენტს** აფხაზეთში, რაც შეიძლება არ ყოფილიყო სასიამოვნო აფსუა(„აფხაზი“) ეროვნების არა მხოლოდ სეპარატისტისთვის, არამედ ჭეშმარიტი პატრიოტისთვისაც. მაგრამ ეს იმიგრაცია, ჯერ ერთი, კანონიერი და სამართლიანი იყო, რადგან აფხაზეთი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ერთ-ერთი ის ტერიტორიაა, სადაც ქართველი ეთნოსი ავტოხთონურია (ადგილობრივად იმთავითვე მკვიდრია). მეორეც, ქართველი მოსახლეობის ნამატი აფხაზეთში **ძირითადად** ემყარებოდა ბუნებრივ პროცესს (გალის რაიონის, აგრეთვე კოდორის ხეობის, აგრეთვე აფხაზეთის ზოგი სხვა რეგიონის ქართველ მოსახლეობას, სადაც არც ერთი ახალი მოსახლე არ შესულა (მათი არასაკურორტო ხასიათის გამო). ეს მოსახლეობა დღესაც აფხაზეთის კანონიერი ქართველი მოსახლეობის ნახევარზე მეტს მოიცავს). მესამეც, ქართველებზე მეტი რაოდენობით აფხაზეთში საბჭოთა წლებში დასახლებულნი (იმიგრირებულნი და ხელოვნურად ხელშეწყობილნი) არიან სომხები, რომელთა რაოდენობამ უკვე დიდი ხანია აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობისას მიაღწია. ასე, რომ „გენოციდის“ ცნება აქ უადგილოა. უადგილოა „ასიმილაციის“ ცნებაც, რომელიც აგრეთვე ფიგურირებს სეპარატისტთა მოთხოვნებში, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში არც ერთი შეზღუდვა არ განუხორციელებია აფსუური („აფხაზური“) დაწყებითი, საშუალო ან უმაღლესი განათლების მიმართ, ან მეცნიერების მიმართ, ან კულტურის მიმართ. ქართული ენის გავრცელება დაწესებულებებში, როგორც სახელმწიფო ენისა, მიზნად ისახავდა მხოლოდ რუსული ენის ზღვარდაუდებელი ექსპანსიის შეზღუდვას საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ არანაირად არ ეხებოდა აფსუური („აფხაზური“) ენის მოხმარების სფეროს.

15. <u>სეპარატისტების განცხადებასთან დაკავშირებით, საქართველომ დანაშაულებრივი „ომი“ გაუმართა აფხაზეთს,</u> საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ „ომი“ მდგომარეობს არა რკინიგზის დაცვის მიზნით და მოსახლეობისათვის სათანადო შეტყობინებით შინაგანი ჯარის გადაადგილებაში საკუთარ ტერიტორიაზე, რაც საქართველოში მოხდა 1992 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე მატარებლების ძარცვის გამო, არამედ ცეცხლის გახსნას. ცეცხლის გახსნა მოხდა წინასწარი დაგეგმვით და ჩასაფრებით აგუძერასთან აფსუების („აფხაზების“) უკანონო „გვარდიის“ მიერ, რასაც რუსულ შეიარაღებულ ძალებთან ერთობლივი წინასწარი მოლაპარაკება და გადაადგილება უსწრებდა. მოძრავ ქართულ გვარდიას ჯვარედინი ცეცხლი გაუხსნეს საფარიდან. იხ. ჯოჯუას მოგონებები (ჩვენება) გაზ. „საქართველოში“. ომის ორგანიზების პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც ტრაგედიის ამ ეპიზოდში გამოიყენეს ურთიერთშეთქმით შევარდნაძემ და არძინბამ, ცნობილია: იგი მოიცავდა სამ ელემენტს:

– ქართული გვარდიის შესვლას რკინიგზაზე (რაც კანონიერია)

– სოხუმიდან არძინბას მიერ აფხაზური უკანონო გვარდიის გაყვანას (რაც პროვოკაცია იყო) და ამ ხდომილების გამო შევარდნაძის დუმილს (რაც აგრეთვე პროვოკაციის ნაწილი იყო) და

– ზემოხსენებულ ჩასაფრებასა და ჯვარედინი – ცეცხლის გახსნას.

16. <u>იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივ</u>

ქართველ პარტიზანებს, რომლებიც ქართველი მოსახლეობის სიცოცხლეს იცავენ საპერატისტი ორგანიზებული მკვლელების წინააღმდეგ, სეპარატისტები ახსენებენ „დივერსიულ ტერორისტულ ჯგუფებად“ და მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისაგან მათი შექმნისა და მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლას აფხაზეთის ტერიტორიაზეც და მიმდებარე ზუგდიდის რაიონშიც, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმულია ამ მიმართულებით მოღალატური ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ გაუუქმებია, საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, განაცხადოს, რომ

-პარტიზანული ბრძოლა უკანონო უცხო ძალის ბატონობის წინააღმდეგ და საკუთარი მოსახლეობის დასაცავად ყველა მოსახლეობის და ყველა ხელისუფლების შეუვალი უფლებაა. საქართველოს ხელისუფლება არ ცნობს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სეპარატისტულ მიზანმიმართულად ანტიქართულ, ქართველების გენოციდსა და ეთნიკური წმენდის ჩამტარებელ რეჟიმს და უფლებას იტოვებს, მის უვნებელსაყოფად გამოიყენოს ომის წარმოების ყველა კანონიერი მეთოდი, პარამილიტარული ბრძოლის ჩათვლით.

17. იმასთან დაკავშირებით, რომ სეპარატისტები პროტესტს უცხადებენ „რუსეთის გამოდევნას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მშვიდობიანი დარეგულირების პროცესიდან“, საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ

- რუსეთი მონაწილეობს როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის კონფლიქტში როგორც მხარე, უფრო მეტიც, როგორც სეპარატიზმის აქტიური და წარმმართველი მხარე, და მოსალოდნელია, რომ იგი ამ თავის მონაწილეობას განაგრძობს. ამიტომ მასთან მუდმივი კონტაქტი გარდაუვალია და, შესაძლოა, ზოგჯერ მიზანშეწონილიც ქართულ-რუსულ მოლაპარაკებათა სახით. მაგრამ რუსეთის მონაწილეობა ამ კონფლიქტში როგორც შუამავლისა და არბიტრისა, ხსენებული მიზეზების გამო, დაუშვებელიცაა და შეუძლებელიც.

18. სეპარატისტთა განცხადების საპასუხოდ, რომ სასურველია „აფხაზური“ და ქართული მხარეების“ შეთანხმება „საზღვრისპირა ზონაში“ ერთობლივი ბრძოლის შესახებ „დამნაშავეობასთან“, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ

- არავითარი „საზღვარი“ საქართველოსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს. აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია.

— „დამნაშავეობა“ გალის რაიონში პირველ რიგში მდგომარეობს აფსუა („აფხაზური“) შეიარაღებული უნიფორმიანი რაზმების მიერ ქართველი მოსახლეობის ხოცვაში (1993 წლიდან დღემდე მსხვერპლის რაოდენობამ 2 ათასს გადააჭარბა). ამ რაზმების მოქმედების აღკვეთა საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა, ხოლო სეპარატისტების ამოცანა, პირიქით, ამ რაზმთა ხელშეწყობა და გაძლიერებაა.

19. სეპარატისტთა წინადადებასთან დაკავშირებით, რომ „საქართველომ“ და „აფხაზეთმა“ „საერთაშორისო გარანტიების პირობით“ ხელი მოაწერონ „სამშვიდობო ხელშეკრულებას“ ერთმანეთს შორის, საქართველოს ხელისუფლება მოვალეა განაცხადოს, რომ

- აფხაზეთი არაა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არამედ საქართველოს ნაწილია. ამიტომ შეთანხმებას აფხაზეთს აფსუური („აფხაზური“) ქართული ან სხვა რომელიმე მოსახლეობის რომელსამე ჯგუფთან სიტუაციის დარეგულირების რომელსამე კონკრეტულ საკითხზე შეიძლება დებდეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი კონკრეტული უწყება.

20. საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, რომ სეპარატისტების განცხადება „აფხაზეთი დამოუკიდებლად ავითარებს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას“ და ა.შ. და „აფხაზეთი ეს არის სახელმწიფო განვითარების მყარი მაჩვენებლითო“ ღიად შეაფასოს, როგორც ცინიზმი, და განაცხადოს, რომ იგი არასოდეს არ დაუშვებს მიზანმიმართული გენოციდის მეთოდით ქართველი მოსახლეობისაგან „გაწმენდილ“ მიწაზე „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს აშენებას მკვლელთა მიერ.

21. სეპარატისტების ვრცელი სპეკულაციის საპასუხოდ, თითქოს რეგიონის ინტერესებშია „სტაბილობა“, რომელიც ვერ მიიღწევა თითქოს, საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის გარეშე, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განაცხადოს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მისთვის უმაღლესი პრიორიტეტია და რომ იგი არაა თანახმა რეგიონის მოჩვენებითი „სტაბილობა“ თავისი მიწაწყლის დათმობის ხარჯზე უზრუნველყოს.

ი.ბარათაშვილი
კ.გამსახურდია
ნ.ნათაძე

„In Vino Veritas“ ანუ „ღვინო დაწმენდილი, სასახლე გაწმენდილი“

სასურსათო უშიშროება მოსახლეობისთვის სურსათის გარანტირებული ხელმისაწვდომობის, საკმარისობისა და ვარგისიანობის უზრუნველყოფის აღმნიშვნელი ცნებაა. გაეროს 1974 წლის რეზოლუცია — „საერთაშორისო ვალდებულებები მსოფლიოში სასურსათო უშიშროების უზრუნველსაყოფად“, სასურსათო უშიშროებას განმარტავს, როგორც „მსოფლიოს ყოველი მცხოვრებისთვის მუდმივი, გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მსოფლიოს სასურსათო რესურსებზე იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის“. ადამიანის სრულფასოვანი ფიზიოლო-გიური არსებობის შენარჩუნების პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელი გახდება სასურსათო პროდუქციაზე ფაქტობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სასურსათო უშიშროება ერთმნიშვნელოვნად მოიცავს ორ პრობლემას: „სურსათის მოსახლეობისთვის გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“ და „სასურსათო ნედლეულსა და საკვებ პროდუქტებზე დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დასაბუთებულ სარწმუნოობას, რომ ჩვეულებრივ პირობებში პროდუქცია უვნებელია და არ წარმოადგენს როგორც უშუალო მომხმარებლის, ასევე მისი მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის საფრთხეს“.

სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება გარანტირებულია ქიმიური, ბიოლოგიური და ბუნებრივი წარმოშობის დაბინძურების რეგლამენტირებულად დაშვებული დონის დადგენითა და დაცვით.

ეროვნული სასურსათო უშიშროება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მსოფლიო ბაზრების კონიუქტურისაგან დამოუკიდებლად მიიღწევა საკუთარი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქციის საჭირო რაოდენობით მიწოდება. ეროვნული სასურსათო უშიშროება გულისხმობს არა მხოლოდ ქვეყნის ყველა მცხოვრებისთვის პროდუქტის გარანტირებულ ხელმისაწვდომობას, არამედ სახელმწიფოს უნარს უზრუნველყოს უვნებელ (ვარგისიანი) კვების პროდუქტებზე მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნები საკუთარი რესურსების ხარჯზე.

1995 წელს ლოზანაში (შვეიცარია) ჩატარებულ ხარისხის ევროპული ორგანიზაციის ოცდამეცხრამეტე კონფერენციაზე — „საკვების ხარისხის უვნებლობის ასპექტები“ აღინიშნა, რომ ხარისხი საკვების მრავალი სხვადასხვა ასპექტით განისაზღვრება. მისი გაგება დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიასა და კულტურაზე, ჩვევებსა და ტრადიციული კვების ხასიათზე, მაგრამ ორი მაჩვენებელი — კვებითი ღირებულება და უვნებლობა — უნივერსალურია. ამ მაჩვენებლებზე კონტროლი უნდა მოიცავდეს ყველა რგოლს, წარმოებიდან დაწყებული — მოხმარების ჩათვლით. კონტროლს უნდა ახორციელებდეს სამი მხარე: მეწარმე, ხელისუფლება და მომხმარებელი.

მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, ფირმის ან კორპორაციის მთელი კომერციული საქმიანობის სისტემა დაკავშირებულია საქონლის გასაღებასთან. ნებისმიერი მეწარმე თუ კომერსანტი განუწყვეტლივ ზრუნავს საქონლის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირებისათვის. სასურსათო საქონლის ღირებულების შემცირება უკეთეს შემთხვევაში ხდება სახმარი ღირებულების „კოსმეტიკით“. ამგვარი „კოსმეტიკა“ ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე მიმდინარეობს.

სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანთა კვების ხასიათი ცხოვრების პირობების დონის, ტრადიციებისა და ეროვნული ჩვევების მიხედვით განსხვავებულია. ამასთანავე, მათ აქვთ საერთო ტენდენცია, რაც ცივილიზაციის შედეგია: რაფინირებული პროდუქტების მოხმარების ზრდა, საკვები დანამატებისა და არატრადიციული ნედლეულის გამოყენება, კომბინირებული კვების პროდუქტების მოხმარება. შესაბამისად ხდება პროდუქტების დაბინძურება ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის კონტამინანტებით („დამბინძურებლებით“ ანუ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებებით).

საზოგადოების უმთავრესი მიზანი ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა, რომლის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს. ამ უკანასკნელს კი ძირითადად ეკოლოგიური გარემო, პროდუქციის ვარგისიანობა და ხარისხი განაპირობებს.

საკვები პროდუქტების უვნებელობის უზრუნველყოფა არ შეიძლება გარანტირებულ იქნას ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებში. იგი აუცილებლად ეხება სხვა ქვეყნებსაც, ვინაიდან სურსათის წარმოებამ და მოხმარებამ ინტერნაციონალური ხასიათი მიიღო. რიგ ქვეყნებში მოქმედებს კანონმდებლობა სურსათის უვნებელობის, მისი უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზაციისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რაც სახელმწიფოში სასურსათო უვნებლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. პროდუქციის უვნებელობის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო მოწყობაზე, გეოგრაფიულ თავისებურებებზე, პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და განვითარების დონეზე. ექსპორტიორი ქვეყნები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ იმპორტიორი ქვეყნების საკანონმდებლო მოთხოვნებს პროდუქციის უსაფრთხოების საქმეში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია სისტემატურად აანალიზებს ცალკეული რეგიონის მოსახლეობის კვების მდგომარეობას, ადამიანთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად შეიმუშავებს რეკომენდაციებს ძირითადი საკვები პროდუქტების, ენერგიის მოხმარების ნორმებისა და კრიტერიუმების შესახებ. ამ ორგანიზაციის განმარტებით, „მოხმარების რეკომენდებული რაოდენობა“ წარმოადგენს კვების იმ დონესა და ხარისხს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ ჯანმრთელობას.

მოსახლეობის ჯანმრთელი კვების სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ხალხის ჩვევებსა და ტრადიციული კვების ხასიათს. კვების კულტურა ხალხის ზოგადი კულტურის განუყოფელი ნაწილია და უპირველესად გულისხმობს კვების დარგში დაგროვილ ცოდნას. საკუთარი ორგანიზმის თავისებურებების ცოდნა (კვებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური მიდგომა) გამორიცხავს რაციონის შერჩევაში შეცდომას და შაბლონურობას. გარემოსა და ყოფის პირობების სწორი გაანალიზება და შესაბამისი სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფა სასურველი ჯანმრთელობის გარანტს წარმოადგენს.

საკვებ პროდუქტებზე ჰიგიენური მოთხოვნები გულისხმობს პროდუქტის უნარს, დააკმაყოფილოს ჩვეულებრივ პირობებში ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება ცილებზე, ცხიმებზე, ნახშირწყლებზე, ვიტამინებზე, მინერალურ ნივთიერებებზე, ენერგიაზე (კალორიებზე), შეუცვლად ამინომჟავებზე და საკვების მინორულ კომპონენტებზე. ამასთანავე, პოტენციურად საშიში ქიმიური, რადიაქტიული ნივთიერებების, ბიოლოგიურ ნივთიერებათა შენაერთების და ორგანიზმების შემცველობით პროდუქტი უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის უვნებელი. ჰიგიენური მოთხოვნებით განისაზღვრება პროდუქტების კვებითი, ბილოგიური, ფიზიოლოგიური ღირებულებების დონისა და უსაფრთხოების კრიტერიუმები.

ხარისხი არის პროდუქციის სამომხმარებლო თვისებათა ერთობლიობა, რომლის სარგებლიანობა, დანიშნულებისდა მიხედვით, შეპირობებულია გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებით. ფორმა, რომლის მიხედვითაც ფასდება სახმარი ღირებულება, ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციას, რაც აწესრიგებს სოციალურ, სამეურნეო-ეკონომიკურ და საწარმოოტექნოლოგიურ პროცესებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემაში ნორმატიულ ფუნქციებს სხვა ფაქტორებთან ერთად ასრულებს, ჩვევები, შეხედულებები, საზოგადოებრივი აზრი და სამართალი. პროდუქციის ხარისხთან მიმართებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სპეციფიკური ნორმები: ტექნოლოგიური პროცესების რეგლამენტი, ხარისხზე მოთხოვნის რეგლამენტირებული ნორმები და ეკონომიკური მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ სამეცნიერო ეკონომიკური სი-სტემის ეფექტური ფუნქციონირების შესაძლებლობას.

საქონლის ხარისხისადმი მო-მთხოვნელობის დადგენა ხდება სტანდარტებით (მათ ადგენენ რეგლამენტირებული ნორმების მიხედვით, შესაბამისი ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი). საქონლის ხარისხის და ფასის ურთიერთშედარების საფუძველზე მომხმარებელი განსაზღვრავს რამდენად სარგე-

ბლიანია მისთვის ეს საქონლი. სამომხმარებლო ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობა მომხმარებლის თვალსაწიერით იზომება, ამიტომ მწარმოებელი საქონლის ხარისხს შეისწავლის მოხმარების ეტაპზე. მოხმარებამდე ხდება მომხმარებლის „დამუშავება“, რაც განეკუთვნება ფსიქოლოგიის სფეროს. ამ ეტაპს „მოთხოვნის ფორმირებას“ უწოდებენ.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარების საწყის ეტაპზე წარმოიშვა საქონლის ზომაწონაში მომხმარებლის მოტყუების ტენდენცია (რაოდენობრივი ფალსიფიკაცია). შემდგომში, უმაღლეს მწვერვალს მიაღწია სასაქონლო ფალსიფიკაციამ (ხარისხობრივი ფალსიფიკაცია), ხოლო საბაზრო ეკონომიკის ფორმირების უფრო განვითარებულ ეტაპზე ფალსიფიკაციამ, როგორც იურიდიულმა კატეგორიამ, ძალა დაკარგა და სხვა სახე მიიღო. ის, რაც ადრე ფალსიფიკაციად იწოდებოდა, ახალ ხარისხობრივ ნორმად იქნა მიჩნეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხარისხად მიჩნეულია ყოველივე ის, რაც რეალურად აკმაყოფილებს მომხმარებელს, განურჩევლად იმისა, როგორ უხდება ეს მის ორგანიზმს მეცნიერული თვალსაზრისით.

პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფალსიფიკაცია, რომელიც უშუალოდ გაელეჯნას არ ახდენდა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისჯებოდა ქვეყნის განვითარებულ ქვეყნაში: საფრანგეთში (1851 წ.), იტალიაში (1890 წ.), ბელგიაში (1891წ), შემდეგ – ინგლისში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, სხვა ქვეყნებში ფალსიფიკაციის არსი სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული, ამიტომ სამართლებრივი მიდგომა და სასჯელიც განსხვავებული იყო. რუსეთში ფალსიფიკაცია შეფასებული იყო „დანაშაულებრივი კონკურენციის“ მოტივაციით. პროდუქციის ფალსიფიკაცია ძირითადად ხდებოდა: პროდუქციის ძვირადღირებული კომპონენტის რაოდენობრივი შეცვლით ან მისი შეცვლით დაბალი ღირებულების კომპონენტით; დაბალი სორტის პროდუქციის მაღალ სორტად წარმოდგენით პროდუქციის უმთავრესი კომპონენტის ნაწილობრივ უცხო კომპონენტით შეცვლით. უფრო გვიან რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც პროდუქციის სწრაფად გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით მიჩქმართავდნენ პროდუქტში მარილის, სპირტის და ბორის მჟავის შეტანას.

ღვინის ფალსიფიკაცია კაპიტალიზმის წიაღში იღებს სათავეს. საქართველოს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობები გარკვეული სიღრმით წარმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებში. ეს ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება 70-იანი წლების დასაწყისიდან. ამ პერიოდში საქართველოში აქტიურად იჭრება რუსეთისა და ევროპის კაპიტალი, რაც ააქტიურებს ღვინო-არაყ-კონიაკის მრეწველობის განვითარებას. 1850-1890 წლებში სახალხო მეურნეობის ადგილობრივ (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი), კავკასიის (თბილისი), რუსეთის (მოსკოვი, პეტერბურგი, ნიჟნი ნოვგოროდი) და მსოფლიო (ლონდონი, ტურინი, პარიზი, ვენა, ანტვერპენი, ჩიკაგო, პეტერბურგი) გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ქართული ორდინარული და დაძველებული კახური, აფხაზური, ქართლის და ბორჩალოს ღვინოები. უცხოელებისთვის თანდათანობით ცნობილი ხდებოდა ქართული ღვინოების ღირსება. 1882 წლის მაისში სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე მოეწყო ღვინოების დეგუსტაცია. საექსპერტო კომისიაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის ღვინის ვაჭრები: ბადერი, ლემანი, ყირიმელი მეღვინე გოლიცინი, ბესარაბიისა და დონის მეღვინეთა წარმომადგენელი არნოლდ ცაბელი. ამ დეგუსტაციაზე დიდი წარმატება მოიპოვა მუხრანულმა თეთრმა ღვინომ „წმინდა ნინო“ და წითელმა ღვინოებმა, რომლებიც რუსეთის ბაზრისათვის მანამდე ცნობილი არ იყო. სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პერიოდში სა-ქართველოს საზღვრის ფარგლებში ღვინის ფალსიფიკაციას ადგილი არ ჰქონდა. ამას მოწმობს მრავალი ისტორიული წყარო.

ქართულმა ღვინოებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრე დიუმაზე, რომელიც საუკეთესო ფრანგული ღვინოების აქტიური მომხმარებელი და შემფასებელი იყო. აი რას წერს განთქმული მწერალი: „კახეთი ბაღნარია კავკასიისა, ვენახი საქართველოსი. აქ მოჰყავთ ღვინო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება და მეტოქეობას გაუწევს ფრანგულ ღვინოებს. აქ ღვინოებს თხის ან კამეჩის ტყავებში ასხამენ, ზოგი ღვინოს მიწაში ჩაფლულ ვეებერთელა ქვევრებში ინახავს, რაც დროთა განმავლობაში ერთგვარ გემოს აძლევს და დიდად ფასდება მცოდნეთა მიერ“ („კავკასია“, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. თბ. 1964. გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“).

ქართული ღვინის ფალსიფიკაცია რუსეთში ხდებოდა. საქართველოდან რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთ გატანილი დიდი რაოდენობით ღვინის ფალსიფიკაციას რუსი ვაჭრები ახდენდნენ. 1901 წელს ჟურნალი „კვალი“ აღნიშნავდა, რომ რუსი ვაჭრების მიერ ფალსიფიცირების მიუხედავად კახური ღვინო მომხმარებელში მაინც დამსახურებულ მოწონებას პოულობდა. 1882 წელს მოსკოვის სავაჭრო ქსელში არსებული კავკასიური ღვინოების დეგუსტაციაზე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სარეალიზაციო ღვინოებს არაფერი საერთო არ ჰქონდა კავკასიურ ღვინოებთან. სარეალიზაციოდ სმირნოვების მიქსტურის მაგვარი ღვინის ფაბრიკატი ყიზლარის ღვინის ეტიკეტით გამოდიოდა.

რუსი მომხმარებელი ადვილად ტყუვდებოდა. აი, რას წერს ალექსანდრე პუშკინი თხზულებაში „Путешествие в Эрзерум“: „Грузины пьют не по нашему. . . Вина их не терпят вывоза и скоро портятся, но на месте они прекрасны. Кахетинское и Карабахское стоят некоторык бургундских. Вино держат в маранах - огромнык кувшинах, зарытык в землю. Их открывают с торжественными обрядами. Недавно русский драгун, тайно открыв таковой кувшин, упал в него и утонул в кахетинском вине“. აქ ქართული ღვინის ტრანსპორტაბელურობაზე სა-უბარი გულუბრყვილოა. მაგრამ დიდ პოეტს გემოვნებას ვერ დავუწუნებთ, ვინაიდან ფრანგულ ღვინოებზე იყო გაზრდილი.

რუსებმა დიდხანს ვერ ისწავლეს ღვინის სმა და ვერ გაერკვნენ ქართულ ტრადიციებში. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ XIX საუკუნის და-საწყისიდანვე, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ ქართულ ტრადიციებს ბრძოლა გამოუცხადა. განსაკუთრებით არასასურველი გახდა სტუმარმასპინძლობისა და ძმადნაფიცობის ტრადიციები. კავკასიაში შემოჭვანილ რუსეთის ჯარში თავი ისინა დეზერტირობამ. რუსი ჯარისკაცები, რომლებიც თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს, თავშესაფარს პოულობდნენ ქართულ ოჯახებში. ქართველები მტკიცედ იცავდნენ სტუმარმასპინძლობის წესს, რაც მათ არ აძლევდათ უფლებას დეზერტირის „ექსტრადიცია“ მოეხდინათ. 1820 წლის 26 იანვარს, კავკასიის მთავარსარდალმა, გენერალმა ა. ერმოლოვმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მკაცრად ისჯებოდა რუსი ჯა-რისკაცის მასპინძელი ოჯახი. საქართველოში პურისა და ღვინის თანამოზიარობის წმინდა, უანგარო ტრადიციის, რუსი მთავარსარდლის მიერ ბოროტ ხელყოფას შედეგი არ მოჰყოლია.

ადრეულ ეპოქებში რელიგია, განსაკუთრებით – ქრისტიანობა ასრულებდა საზოგადოებრივი ყოფის მომწესრიგებლის, მასში ჰარმონიულობის შემტანის როლს. ამიტომ იყო, რომ საზოგადოების განვითარების ჰუმანური კონცეფციები მნიშვნელოვნად არ დასცილდა ქრისტეს მცნებებს. აქედან გამომდინარე, ისიც ადვილად ასახსნელი ხდება, თუ რატომ ვერ იტანდა ბოლშევიზმი რელიგიის, კერძოდ ქრისტიანობის არსებობას. მას თვითონ ჰსურდა ამქვეყნიური სიკეთის ფუძემდებელი მოძღვრების იმიჯის მისაკუთრება.

საბჭოური კანონმდებლობა და ცენტრალიზებული ეკონომიკა გამორიცხავდა ღვინის სამრეწველო მასშტაბით ფალსიფიკაციას. მეორეს მხრივ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ანტირელიგიური პროპაგანდა საფუძველს აცლიდა ღვინის სიწმინდის დაცვას. ღვინის ფაბრიკაციის ტრადიციების მქონე რუსეთში ქართველი ფალსიფიკატორები XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ. საქართველოს სოფელში ღვინის ფალსიფიკაციას ხელი შეუწყო შაქარზე დაბალმა ფასებმა (ღვინის წარმოებაში შაქრის გამოყენება პირველად საქართველოში ჩამოსახლებულმა გერმანელებმა დაიწყეს). რაოდენობრივი მაჩვენებლისადმი გამოდევნებამ კატასტროფულად შეამცირა ვაზის უნიკალური ჯიშების ფართობები, დამახინჯდა ღვინის ტრადიციული ტექნოლოგიები, შეიქმნა ღვინის ხელოვნური მარკები. ღვინის ფალსიფიკაციამ სამრეწველო ხასიათი მიიღო, რაც პარტოკრატების ფარული შემოსავლების ერთ-ერთ უმთა-ვრეს წყაროდ იქცა. ღვინის ფალსიფიკაცია „სოვეტიკურ“ ეთიკურ ნორმად იქცა, არავინ იტყოდა „ღვინის გამფუჭებელი თვითონაც გაფუჭებულიაო“. საქართველოში XX ს. სამოცდაათიანი წლებიდან მასიურად დაიწყეს არატრადიციული პროდუქციის – ე.წ. ხილის ღვინისა და დასპირტული ღვინოების წარმოება. ბუნებრივი ტკბილი ღვინოები შეცვალა არატრადიციული ტექნოლოგიებით მიღებულმა სურროგატებმა, ცქრიალა ღვინოები – შუშხუნა ღვინოებმა, შამპანურის ბოთლური მეთოდი – რეზერვუარულმა.

საბჭოთა კავშირში ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ გამოიწვია ალკოჰოლური სასმელების მანადმე არნახული ფალსიფიკაცია და ტოქსიკური სუროგატების გავრცელება, რის შედეგადაც გაიზარდა სიკვდილიანობა და დანაშაულობათა შემთხვევები. რუსეთში იმატა არყის მოყვარულთა რიცხვმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მსხვილ სამრეწველო ქალაქებში სპირტიანი სასმელების არალეგალურმა დამზადებამ-ვაჭრობამ წარმოუდგენელ დონეს მიაღწია, რამაც საშიშროება შეუქმნა საქართველოს ღვინის ბაზარს. ქართველმა მეღვინეებმა შეშფოთება გამოხატეს. შეიქმნა ანეგდოტური ვითარება: პარტიული ფუნქციონერები, ერთი მხრივ, მევენახეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებებს სახავდნენ, მეორე მხრივ ხალხს მოუწოდებდნენ, ჩაეტარებინათ უალკოჰოლო ქორწილები და ქელეხები. ირონიულ ღიმილს იწვევდა რუსი ბუტლეგერები, გაშარჟებული იყვნენ გორბაჩოვ-ლიგაჩოვი, ქართველ პარტო-კრატებს მასხრად იგდებდნენ. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივი ფსიქო-ლოგიის მეტად თავისებურ გამოვლინებასთან. ვინ არის ღვინის წინააღმდეგი? – ის, ვინც ღვინისგან სიკეთეს არ მოელის – რუსი ქალები, ვინაიდან ალკოჰოლიზმი მათ ხელიდან აცლის ქმრებსა და შვილებს; სახელმწიფო მოღვაწენი, ვინაიდან ალკოჰოლიზმი საშიშროებას უქმნის სტაბილურ მმართველობას. ვინ არის ღვინის მომხრე? – ის, ვინც ღვინისგან სიკეთეს მოელის – ვისთვისაც ღვინის წარმოებისა და სმის ტრადიცია დაკავშირებულია ერის კულტურისა და ყოფის ფენომენთან. ანტიალკოჰოლიზმის გორბაჩოვ-ლიგაჩოვისეული კამპანიის მორალურ-ეთიკურ ასპექტს დაემატა პატრიოტული ელემენტიც. ეს საერთო საკავშირო ღონისძიება შეეხო ქართული ტრადიციის სუფრის ასპექტს, რაც ქართველმა ხალხმა აღიქვა ხელისუფლების მხრივ ანტიპათიად ყოველივე ქართულისადმი.

საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა ვერ შეძლეს ამოეძირკვათ ეროვნული ტრადიციები, ქართული კულტურა, რაც დაკავშირებული იყო უშუალოდ ვაზთან. XIV საუკუნეში თემურ ლენგმა და შემდგომ XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა თავიანთ ლაშქარს ვენახების გაკაფვა-ამოძირკვა უბრძანეს. მაგრამ უხეშმა ძალამ ვერ შეძლო „სიცოცხლის ხის“ მოსპობა, ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობის მიზანი დაფუძნებული იყო ღვთით დადგენილ ზნეობრივ საფუძველზე, რაც სულიერი სრულყოფის გზით ცათა სასუფეველში ადამინის შესვლას უზრუნველყოფს. მაცხოვარმა ადამიანთა მიწიერი მოთხოვნილებებისადმი დამოკიდებულება გამოხატა მის მიერ მოხდენილ პირველ სასწაულში გალილეის კანაში, როცა, დედამისის თხოვნით, ქორწილში წყალი ღვინოდ გარდაქმნა.

ათასწლეულების მანძილზე ადამიანის მგრძნობელობაზე გარემომცველმა მრავალფეროვანმა ბუნებამ და ღვინის ინტენსიურმა ზემოქმედებამ განსაზღვრული ფუნქცია შეასრულა ქართული ეროვნული ფსიქიკის ჩამოყალიბებაში. ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს ფალალი კაცის მარჯვენა უნდა შეეხებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დადუღებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო. ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდა მათი შვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით-ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე [illegible] გარეშე – არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით). ქართული გაგებით, ღვინო ყურძნის ბადაგის („ტკბილი“) სრული სპირტული დუღილით (მშრალი ღვინო) მიღებული პროდუქტია. ძველად არასრული დუღილის ნაწარმს „ამბოხს“ (ტკბილი, ნახევრადმშრალი) უწოდებდნენ. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ღვინონიცა განიყოფებიან: ვინა დაწნიხა ყურძენი და ტკბილსა აღაზავა წყალი, უწოდებენ დგვიფინად; და უკეთუ უწყლო ყო, უწოდებენ შუმად; უკეთუ ნაწნეხი ჭაჭი დაალტვინა წყლითა და ქანჩთა მიერ ადინა, უწოდებენ შამანად“. „დგვიფინას“ და „შამანს“ მიწის მუშაკი ყოველდღიურ საქმიანობაში „სახარჯო ღვინოდ“ იყენებდა. ჭაჭიდან გამონაწვლილს ან წყლიანი ბადაგის დადუღებით მიღებული სასმელი ბიოლოგიურად მეტად განსხვავდება წყალგარეული ღვინისგან, პირველი მდარე ღირსების პროდუქტია, ხოლო წყალგარეული ღვინო – ფალსიფიკატი. ბერძნებისა და სხვა ევროპელებისაგან განსხვავებით, ჩვენში წყალგარეული ღვინის სმა მიღებული არ იყო, წყალგარეულ ღვინოს მხოლოდ ბერები სვამდნენ. საქართველოში ღვინის ფალსიფიკატორი საჯარო განკიცხვას იმსახურებდა და მატერიალურადაც ზარალდებოდა. დასტურლამალში ნათქვამია, რომ ღვინის მიმღებმა (მიმტანმა) უნდა „ნახოს, თუ ან წყალნარევი ან ქვევრის-გემოვანი, ან უხელობითა წამხდარი იყოს, ის ღვინო გამუართვან და ერთი იმთონი მემარნეს სხვა წაართვან თავისი“. ღვინის ღირსების დაცვა ევალებოდა როგორც მეგარნეს, ასევე მეღვინეს და მათ შორის პასუხისმგებლობა გამიჯნული იყო. „თუ მეღვინეს წაეხდინოს, იმან ზღოს, თუ მეგარნეს წაეხდინოს იმან ზღოს“. ღვინის ღირსების დაცვა მხოლოდ კანონით – დიქტატით შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მყარ ნიადაგზე აღმოცენებული, ქართველი ერის გენეტიკურ კოდში ჩაწერილი უძველესი ტრადიციები და ეთიკური ნორმები. მარანში ღვთის მსახურების შესრულებისას იტყოდნენ: ღვინო დაწმენდილი, სასახლე გაწმენდილიო.

ილია ჭავჭავაძე წერს: „...ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპულს უფრთხის ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსადებია, ჭეშმარიტად მისაღებია?“ ევროპაში '... ღვინის ფერის მისაცემად სანდალს უშვრებიან, ჭიაფერსა, ლილას, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვა ათასგვარ წამალსა, მაგალითებრ, შაბსა, რკინის არჯაფსა, სპირტსა და ერთგვარს შენარევს ტყვიისას, რომელსაც „პროტოქსიდს ტყვიისას“ ეძახიან... რატომ არ იკითხავენ, ეგრეთ ნაკეთები ღვინო ღვინოდ ჩაითვლებადა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისთვისაც ბუნებური მართალი ღვინოა დანიშნული?... ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით და მეცნიერთაგან აღმოჩენილ წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ ამის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური შეურეველი თვისება ჰქონდეს!“

ადამიანთა სოციალურ პრაქტიკით ზნეობრივი პრინციპები კი არ დგინდება, არამედ გამომუშავდება. ქართველი კაცი „ღვინის მკეთებელი მართლმადიდებელია“ ამიტომ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა - „ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა“. იმანუელ კანტი წერდა, რომ ადამიანის მიწიერი ინტერესები ყოველთვის ეგოისტურია, სულმდაბალია და მორალი წარმოუდგენელია მარადიული სიცოცხლისა და ზეციური ამაღლების დაშვების გარეშე. დიახ, იქ სადაც არ არის ღმერთი, სიკეთესა და მოვალეობას პიროვნული და სუბიექტური ხასიათი აქვს.

ზნეობა ადამიანის ფსიქიკის გამოვლენის ფორმაა. ღვინის ფალსიფიკატორი და ფალსიფიცირებული ღვინის ბაზრის მომპოვებელი „ბუნებით მიდრეკილნი არიან სიძულვილისა და შურისაკენ“.

დღეს საქართველოში ნატურალურ ღვინოს იშვიათად მოიძებ. საქართველოს მეღვინეობა ზნეობრივ დეფიციტს განიცდის – ღვინომ დაკარგა ჭეშმარიტება.

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II საადღგომო ეპისტოლეში ვკითხულობთ: „სულიერ ცხოვრების მოსურნეთ უნდა იცოდნენ, რომ კაცობრიობის მტერი ცდილობს ღვთაებრივი სიკეთენი შეცვლილი სახით წარმოაჩინოს. იგი ჭეშმარიტი რწმენის ნაცვლად ურწმუნოებას ან ცრუ რწმენას სთავაზობს, იმედის ნაცვლად – სასოწარკვეთილებას ან ცრუ იმედს, ჭეშმარიტი სიყვარულის წილ—უსიყვარულობას ან მოჩვენებით სიყვარულს და ყოველივე ისე არის შენიღბული, რომ ჭირს შავის და თეთრის გარჩევა“. ჭეშმარიტად! გლობალიზაციის პროცესის ასიმილაციისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ კულტურის ფილტრის გამოყენებით. პატრიარქი ბრძანებს: „ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს გლობალიზაციის, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენს წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა“. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით - საადღგომო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა მოგვცა საქართველოს განვითარების სახელმწიფო პროგრამა: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს“.

სათქმელი ითქვა, მსმენელმა გაიგოს ნათქვამი: In vino veritas - ღვინოშია ჭეშმარიტება. ქართული ღვინო საკრალურია. განიწმინდენით, ვიდრე შეეხებოდეთ, ხოლო სასახლე გაიწმინდოს უმეცრებისაგან.

პაატა კოღუაშვილი, პროფესორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დემურ ბახტაძე,
დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფედერალიზაცია –საქართველოს უსახიფათოესი მტერი

იმ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დივერსიებს შორის, რომლებსაც დღეს საქართველოს უმზადებენ მისი გამოცხადებული და გამოუცხადებელი მტრები „რეკომენდაციების“ ან პირდაპირი ძალდატანების სახით, ერთ-ერთი უპირველესი არის საქართველოს ფედერალიზაცია – მისი - სახელმწიფოებრივი მოწყობა იმგვარად, რომ იგი, ნაცვლად ერთიანი ეროვნული სახელმწიფოსი, როგორიც იგი დღეს არის (სახელმწიფოსი, რომელსაც შეუძლია თავისი ორგანული მთლიანობის დაურღვევლად ერთი, ორი, მრავალი ავტონომიური ტერიტორიული ერთეულიც ჰქონდეს), გადაიქცეს ფომფლ შეკავშირებულ ისტორიულ პროვინციათა კრებულად (კახეთი, ქართლი, სამცხე და ა. შ.).ისტორიაში და პოლიტიკაში ჩახედული ადამიანებისათვის – ე.წ. გონებრივი ელიტასთვის – ეს იმთავითვე ცხადია, ისევე როგორც ცხადი იყო ქართ-ული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებისა და ლიტერატურული მესიტყვეებისათვის (ჭავჭავაძე, წერეთელი, გურამიშვილი, მანამდე – მემატიანენი, სხვანი და სხვანი) ყოველთვის. მაგრამ ის, რაც იცის გონებრივმა ელიტამ, არ იცის ფართო მასამ, მით უმეტეს, თუ პირობები ისეთია, რომ ბავშვების დიდი ნაწილი სკოლაში ვერ დადის. ამიტომ ზემოხსენებ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დივერსანტთა მცდელობა იქეთკენაა მიმართული, რომ შეცდომაში შეიყვანონ ეს ფართო მასა. მათი მთავარი იარაღია დემაგოგია – ცრუ „ინფორმაცია“, თითქოს ფედერალიზმი დღეს ყველაზე „დემოკრატიულ“ ორგანიზაციულ ფორმად იყოს მიჩნეული მოწინავე მსოფლიოს მიერ (ქვემოთ დაბეჭდილი მასალებიდან და შემდგომიდან მკითხველი დაინახავს, რომ ეს ასე არ არის).

„ფედერალიზმის“ მქადაგებელ საქართველოში დღეს, პირველ ყოვლისა, არიან ე.წ. „ეს-პუბლიკური“ პარტია, რომელთანაც პირდაპირი კამათი შეუძლებელია, რადგან იგი თავისი მოთხოვნების დასაბუთებას არ ბეჭდავს (ასეთი დასაბუთება მას არა აქვს) და ვინმე გ. ხუბუა, არასასახელოდ ცნობილი „თავისუფლების ინსტიტუტის“ გაზრდილი, გერმანიაში სწავლაგაგრძელებული და იქაური დოქტორის ხარისხით დასაჩუქრებული, აგრეთვე (გრანტით) სქელი წიგნის გამოქვეყნებით დაჯილდოებული, რომელიც (ეს წიგნი) სხვა არა არის რა თუ არ მეცნიერულად მოუნელებელი ფედერალისტური შრომების რეფერატთა სიმრავლე (700-მდე შრომა), უწესრიგოდ თავმოყრილი და აკინძული. ამ წიგნის განხილვას შემდეგ შემოგთავაზებთ. ამჯერად ვბეჭდავთ ორ წერილს, რომლებიც ფედერალიზმის იდეის რაობასა და საქართველოს სინამდვილისადმი მისი მიყენებადობა-მიუყენებადობის ყველაზე ძირეულსა და პრინციპულ საკითხებს ეხება.

I. საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა?

„ფედერალიზმი – ესაა ნაძალადევი კონცეფციის კლასიკური მაგალითი. . . ფედერალიზმი არის ერთ-ერთი არსებითად სადავო კონცეფცია“

ოქსფორდის პოლიტიკური ლექსიკონი.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყნის სამთავრობო წრეებში განახლებული ენერგიით იწყეს საუბარი საქართველოს **ფედერალიზაციაზე** ე.წ. ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელით. ამ იდეის მომხრეები, ჩვენი ადგილობრივი „ფედერალისტები“ (ქვემოთ მათ ასე მოვიხსენიებთ, ბრჭყალებში, რადგან საკმარისი საფუძველი გვაქვს შეეჭვებისთვის მათს ჯეროვან კომპეტენტურობაში), ცდილობენ, დააჯერონ საზოგადოება, თითქოს ამ გზით შესაძლებელი შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ბევრნი ამათგან თავის „ფედერალისტურ ენთუზიაზმში“ უფრო შორის მიდიან და იმასაც ამტკიცებენ, რომ ფედერაცია, თავისთავად, საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ოპტიმალური ფორმაა, რადგან იგი ვითომც უკეთ უპასუხებს ლიბერალური დემოკრატიის მოთხოვნებს, რის მაგალითადაც მოჰყავთ აშშ, გერმანია, შვეიცარია. . ., რატომღაც ავიწყდებათ რა ისეთი **უნიტარული** სახელმწიფოები, როგორიც არიან მრავალთა შორის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, სკანდინავიური სახელმწიფოები. . .) ინგლისი და ჰოლანდია, – ქვეყნები, სადაც დაირწა ცივილიზაციის აკვანი და რომლებიც დღესაც რჩებიან ლიბერალიზმის კლასიკურ ქვეყნებად მთელ დემოკრატიულ მსოფლიოში.

სამწუხაროდ, ქართველ საზოგადოებაში ძალიან ბუნდოვანი, მეტი რომ არ ვთქვათ, წარმოდგენა არსებობს **ფედერალიზმისა** და **უნიტარიზმის** რაობაზე. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი პოზიციის უკეთ ნათელსაყოფად, შეძლებისდაგვარად მოკლედ განვმარტოთ, რა იგულისხმება სინამდვილეში მათ სახელქვეშ.

ფედერაციულია სახელმწიფო, რომელსაც **აფუძნებენ** და **შეადგენენ** ცალკეული **სახელმწიფოები** („სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები“, ასეც იტყვიან ხოლმე), რის გამოც იწოდებიან კიდეც ეს უკანასკნელნი **ფედერაციის სუბიექტებად**, სათანადოდ უზრუნველყოფილნი, თითოეული ამათაგან, საკუთარი **კონსტიტუციითა** და შესაბამისი ინსტიტუტებით: **საკანონმდებლო ორგანოთი** (პარლამენტი), **აღმასრულებელი ხელისუფლებით** (მთავრობა) და **სასამართლოთი**. ფედერაციის ეს რაობა უშუალოდაა გამოხატული პირველი ფედერაციული სახელმწიფოს – ამერიკის **შეერთებული შტატების** (state – სახელმწიფო) – თვით ამ სახელში. (ზოგიერთი „ფედერალისტი“ ალბათ შემოგვედავება აშშ-ის აღნიშნულ „პირველობაზე“, რადგან, მათი მტკიცებით, ქართული სახელმწიფო თურმე ყოველთვის ყოფილა ფედერაციული). ზემონათქვამიდან გასაგები უნდა იყოს, რომ ფედერაციის შექმნისას „მოქმედ პირებად“ გვეელინებიან მომავალი მოკავშირე სახელმწიფოები (ფედერაციის სუბიექტები), რომლებიც საზღვრავენ, სახელმწიფო სუვერენიტეტის რა ნაწილი უნდა გადაეცეს ფედერალურ (ცენტრალურ) ხელისუფლებას და რა დაიტოვონ თავისთვის (ამიტომაც ითქმის, რომ ფედერაციულ სისტემაში **ნაწილები** წინ უსწრებენ თავის „საერთო ეროვნულ“ მთელს, საპირისპიროდ, როგორც ვნახავთ, **უნიტარული** სისტემისა, სადაც ეს **მთელი** პირველადია). ფედერაცია არის პოლიტიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძაბვა ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალებს შორის და რომლის არსებობაც, ამიტომ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას, დაიცვას ამ ძალთა ბალანსი. ხოლო აქედან ადვილად მისახვედრელია აუცილებლობაც **დაწერილი კონსტიტუციისა**, რომლის გარეშეც ფედერაციული სახელმწიფო წარმოუდგენელია (რის გამოც ჩვენებურ „ფედერალისტებს“, „ქართული ფედერალიზმის“(?) ტრადიციების მაძიებელთ ქართულ ფედერალიზმში(!), უთუოდ მოუწევთ მოძიება „ფედერალური კონსტიტუციისა“ დავით აღმაშენებლის ერთიანი საქართველოსი თუ არა, ერეკლე მეორის ქართლ-კახეთის სამეფოსი მაინც), და ასეთივე აუცილებლობა ქვეყანაში **მაღალი სამართლებრივი კულტურის** არსებობისაც, რაც გულისხმობს: კანონის ურყევ უზენაესობას, მოქალაქეთა კანონმორჩილებას, სასამართლოს ავტორიტეტის შეუვალობას; რადგან იქ, სადაც სამართლებრივი კულტურა **დაბალია**, როგორც **ჩვენში**, ფედერაციას მოელის პოლიტიკური დადამბლავება ან სულაც დაშლა.

ფედერაციულის საპირისპიროდ, **უნიტარული** ჰქვია სახელმწიფოს, რომელიც არ შეიცავს, როგორც თავის შემადგენელ ერთეულს, არანაირ სახელმწიფოს, რაც სრულებითაც არ გამორიცხავს მის შემადგენლობაში **ავტონომიის** არსებობას, თუ საამისო საჭიროებაა; პირიქით, ავტონომია, რომლის **შექმნაც**, გარკვეული რეგიონისათვის ასეთი სტატუსის **მინიჭება**, სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების პრეროგატივაა, სწორედ უნიტარული სახელმწიფოსთვისაა ნიშნეული („ავტონომიური **რესპუბლიკა**“ ლენინურ-სტალინური გამოგონებაა, რომელსაც ვერა და ვერ ელევიან, გასაგები მიზეზით, ჩვენი „ფედერალისტები“). იგივე ითქმის, რაც ავტონომიაზე, საერთოდ **დეცენტრალიზაციის** შესახებაც, რომელიც ასევე დამახასიათებელია მაინცდამაინც უნიტარული სახელმწიფოსათვის. როდესაც გვეუბნებიან რომელიმე სახელმწიფოზე, დეცენტრალიზებულიაო, იგულისხმება, რომ მხედველობაში აქვთ, სახელდობრ, უნიტარული სახელმწიფო.

უზნეობისა და უმეცრების ჩვენში ინტენსიურად მიმდინარე „იდეოლოგიზაციის“ პირობებში ე.წ. „შავი ფიარის“ ობიექტად იქცნენ არა მარტო ადამიანები, ცნებებიც კი, ერთი რომელთაგანიც უნიტარიზმია. „ფედერალისტები“ მოსახლეობაში ავრცელებენ და ამკვიდრებენ აზრს, თითქოს **თვითმმართველობის** პრინციპი უნიტარიზმთან ძნელად შესათავსებელი იყოს, თუ სულაც შეუთავსებელი არა, თუმცა ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ადგილობრივი ინტერესები ფედერაციულ სისტემაში უკეთ არის დაცული და წარმოდგენილი, ვიდრე უნიტარულში, მაგალითად, იმავე ინგლისში. (იქნებ დაგვისახელონ „ფედერალისტებმა“ თუნდაც ერთი ფედერაციული სახელმწიფო, ამ ქვეყნის მიმართ რაიმე უპირატესობის მქონე თვითმმართველობის ტრადიციითა და კულტურით). მართლაც, თვითმმართველობა, როგორც აუცილებელი პირობა ადგილობრივი ინტერესების უზრუნველყოფისათვის, სრულებითაც არაა პრივილეგია ფედერაციული სისტემისა, მეტიც, ეს უკანასკნელი გაცილებით დატვირთული ჩანს „სახელმწიფოებრიობით“, გაცილებით დამძიმებული ფედერაციის სუბიექტთა სახელისუფლო-სამოხელეო სტრუქტურებით (საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, საკუთარი ადმინისტრაცია (მთავრობა), საკუთარი სასამართლო, საკუთარი ბიუროკრატია, საკუთარი პოლიცია. . .) და ამიტომაც გაცილებით **ძვირიც**, ვიდრე **დეცენტრალიზებული უნიტარული** სახელმწიფო, სადაც ქვეყნის ცხოვრების **განსახელმწიფოებრივებას**, ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმოქმედების სარბიელის გათავისუფლების მიზნით, უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს, მაშინ როდესაც იმისათვის, რათა ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფილი იყოს ფედერაციულ სახელმწიფოში, საჭიროა, სათანადოდ დეცენტრალიზებული იყვნენ მისი **სუბიექტი** სახელმწიფოები, რომლებიც თავად უნიტარულნი არიან და რომელთა საშინაო კომპეტენციასაც შეადგენს, კერძოდ, თვითმმართველობის საქმე.

გარდა ამისა, – ავღნიშნავთ ცალკე, – ის გარემოება, რომ ფედერაციის სუბიექტებს საკუთარი **კონსტიტუციები** უნდა ჰქონდეთ, მათი სიმრავლე, „ადგილობრივი სუვერენიტეტის“ სხვა კომპონენტებთან ერთად, ისეთ ქვეყანაში, როგორიც დღევანდელი საქართველოა, მისი ამჟამინდელი სამართლებრივი და მასთან პოლიტიკური კულტურის მეტად არასახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით (რუსეთის, ჯერ ცარისტულის, მერე ბოლშევიკურის, „ხალხთა საპყრობილეში“ თითქმის ორსაუკუნოვან ყოფნას, ცხადია, ამ მხრივაც უკვალოდ არ ნაუვლია), ნამდვილად არ იქნება ხელშემწყობი გარემოება ერთიანი **სამართლებრივი** სივრცის შესაქმნელად, ჩვენთვის ესოდენ საჭიროსი შეუფერხებელი და ეფექტიანი საერთო სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად პირველ რიგში, **ადამიანის უფლებათა**, მათ შორის **საკუთრების** უფლების, დაცვის სფეროში. (აჭარის ამასწინანდელი მაგალითი სრულიადაც არაა შემთხვევითი ჩვენს სინამდვილეში) და ამიტომაც არსებობს სერიოზული საფუძველი შიშისათვის, რომ ფედერაციული საქართველოს ხელისუფლებას

დროდადრო მოუწევს პატარ-პატარა „განმანთავისუფლებელი ლაშქრობების“ მოწყობა ურჩ „მოკავშირე სახელმწიფოებში“ მართლწესრიგის დასამყარებლად). ამნაირადვე, სწორედ დეცენტრალიზებული უნიტარული საქართველოს (და არა ფედერაციულის) პირობებში იქნება უკეთესი შესაძლებლობები ერთიანი **ეკონომიკური** სივრცის ჩამოყალიბებისათვის, თავისუფალი მეწარმეობის დამაბრკოლებელი ყოველგვარი ბარიერის გარეშე, რაც უზრუნველყოფს რეგიონების შედარებით თანაბარ და ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ისევე როგორც მეტი სტიმული მიეცემა **მოსახლეობის მობილურობასაც** ქვეყნის შიგნით.

დაკვირვებული ადამიანისთვის ზემონათქვამიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რას უქადის ფედერალიზაცია საქართველოს. და მაინც, ვნახოთ, უფრო ახლოს, რას მოასწავებს იგი ჩვენთვის.

იმედი, თითქოს ფედერაციის სუბიექტის სტატუსი აფხაზ და ოს სეპარატისტებს დააკმაყოფილებს, ტყუილი იმედია, ხალხის გასაბრიყვებლად გამოგონებული: პირიქით, იგი მხოლოდ **მაპროვოცირებელი და მასტიმულირებელი** იქნება აფხაზურ-ოსური სეპარატიზმის შემდგომი, კიდევ უფრო ენერგიული განვითარებისათვის. ის ფაქტი, რომ სეპარატისტებს არანაირი ფორმით არ სურთ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება, იმის უტყუარი საბუთია, რომ ამგვარი „კონსტიტუციური დათმობებით“, რაც მათ მხოლოდ მადას ჰმატებს და რწმენას განუმტკიცებს საკუთარ ძალებში, ხედავენ რა ასეთ დათმობებში, სავსებით სამართლიანად, დემონსტრაციას ჩვენი მორალურ-პოლიტიკურ სისისტისას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ვერ გადაწყდება. უკეთეს შემთხვევაში, სტატუსი, რომელსაც სთავაზობენ აფხაზურ-ოსურ მხარეს ჩვენი „ფედერალისტები“, თუ ის რაღაც მანქანებით მაინც მიღებულ იქნა (რაც, თავისთავად, გამორიცხული არაა დამატებითი დამპალი კომპრომისების შემთხვევაში), აღიქმება, როგორც შემდგომი საფეხური, მათ მიერ მიღწეული, საქართველოსაგან სრული გამოყოფისაკენ. არსებითად, ეს იქნება **რუსეთის,** საქართველოს ამ დაუძინებელი ისტორიული მტრის, მორიგი გამარჯვება გზად საბოლოო გამარჯვებისაკენ, რაც გულისხმობს ყირიმის დამკარგავი რუსეთის „საკომპენსაციო“ დამკვიდრებას შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე და, ამასთან, საქართველოს შუაგული შიდა ქართლის „სამხრეთ ოსეთად“ წოდებულ რეგიონში. ნუთუ დაგვავიწყდა, ეს აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული კონფლიქტები **ვის** მიერაა, ჯერ კიდევ ცარიზმის დროიდან, მეთოდურად ორგანიზებული და კულტივირებული, რომ ორივე კონფლიქტი სინამდვილეში **ერთი** კონფლიქტია: რუსულ-ქართული? რომ „დემოკრატიული“ რუსეთი ერთგული მემკვიდრეა ცარისტულ-ბოლშევიკური ტრადიციული პოლიტიკისა საქართველოში, განუხრელად მიმართულის ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მოშლაზე?

რუსეთის განსაკუთრებული დაინტერესებულობა საქართველოს ფედერალიზაციით იმ უბრალო მოსაზრებითაა მოტივირებული, რომ საქართველოს „შეერთებული შტატები“, თუნდაც თავისი „ასიმეტრიული“ ფორმით, იქნება, არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში, **ინვალიდი სახელმწიფო,** რაც პირდაპირ უპასუხებს რუსეთის იმპერიულ ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში. (შევნიშნავთ: ჩვენი „ფედერალისტები“, თავისი უმეცრებითა თუ შეგნებული გულმავიწყობით, სრულიად უგულებელყოფენ შესაფერისი **გეოპოლიტიკური** პირობების აუცილებლობას ფედერაციის სიცოცხლისუნარიანობისათვის). მართლაც, ფედერალიზაცია, – ამაში რუსები სრულებითაც არ ცდებიან, – მოასწავებს საქართველოს გადაქცევას ეთნიკური (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“. . .) სეპარატიზმის, რუსეთის ეგიდით, „ლეგალურ“ მძევლად: ის სტატუსი, რომელიც კონსტიტუციურად დაუკანონდება აღნიშნულ რეგიონებს, შეიქმნება, ვიტყვით ერთხელაც, დამაიმედებელ და წამახალისებელ (და არა, როგორც „ფედერალისტები“ ირწმუნებიან, დამაშოშმინებელ) ფაქტორად სეპარატიზმის შემდგომი წარმატებისათვის, იგი იქნება უკანასკნელი „ტრამპლინი“, საიდანაც სეპარატისტებს გადახტომა არ დასჭირდებათ, ნაბიჯის გადადგმა საკმარისი იქნება საქართველოსაგან სრული სეპარატიზაციისათვის. უნდა გვახსოვდეს, ამასთან დაკავშირებით, რომ აფხაზებსაც და „სამხრეთელ“ ოსებსაც **ეთნიკური** მიზიდულობის ცენტრი რუსეთში აქვთ, მათს მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიაში.

მაინც ვკითხოთ უცხო ქვეყნების მაგალითად მოყვანის მოყვარულ ამ ჩვენს „ფედერალისტებს“: როგორ ჰგონიათ, **არის** თუ არა ვირჯინია **ამერიკული ეროვნული** შტატი, **არის** თუ არა ბავარია **გერმანული ეროვნული** ლანდი (ქვეყანა, „მიწა“), **არის** თუა არა ჟენევა **შვეიცარული ეროვნული** კანტონი? – პასუხი, ალბათ, დადებითი იქნება. ახლა კი ეს ვკითხოთ: მათი „კონცეფციის“ მიხედვით, **არის** თუა არა აფხაზეთი **ამნაირადვე ქართული, არის** თუ არა „სამხრეთ ოსეთი“ **ამნაირადვე ქართული,** ანუ **შეადგენდნენ** თუ არა ისინი, როგორც ასეთნი, **საქართველოს, არიან** თუ არა **მისი ნაწილები,** ისევე როგორც: ვირჯინია – ამერიკის, ბავარია – გერმანიის, ჟენევა- შვეიცარიის? აშკარაა, **არა:** არც **აფხაზეთი** (მარტო ე.წ. **„პოზიტიური დისკრიმინაცია“** რად ღირს, რომლის სპეციალურ მსხვერპლადაც **ქართველები** გვეევლინებიან, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება იურიდიულად, რომ **„სუვერენული აფხაზეთის“ სუვერენი ერი მხოლოდ აფხაზები არიან,** ამიტომ **„პერსონალურად“** გამოცხადებულნი **„საქართველოს ფედერაციის ჩამომყალიბებელ ერთ-ერთ ერად“**) და არც **„სამხრეთი ოსეთი“** (ეს სახელიც საკმარისია, დღეს **ოფიციალურად** მკვდრეთით აღდგენილი), ამ მათი „კონცეფციით“, **არაა საქართველო,** არამედ ისინი წარმოადგენენ **არაქართულ ტერიტორიებს,** საქართველოსთან, ასე ვთქვათ, **გარედან** კავშირში მყოფთ, შესაბამისად, **ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური „ინტერნაციონალური ფედერაციის“** სახით. ნამდვილი სინამდვილე თუ გნებავთ, სწორედ ესაა: ფედერაციის ნამდვილ **სუბიექტად,** აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში, **მთელი დანარჩენი საქართველო** გამოდის და არა, აქაოდა ეს ასე არააო, სულელთათვის თვალის ასაბმელად „გასუბიექტებული“ ქართლი, კახეთი, და ა.შ. – „ფედეალისტური“ ტაკიმასხარაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ასევე ძვირად დაუჯდება.

აი, რას უწოდებენ „ფედერალისტები“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას: აჰყარეს ქართველ ერს ისტორიული უფლება მის ძირძველ ტერიტორიაზე, იურიდიულად ცნეს ისინი არაქართულად, და **ამის სანაცვლოდ** (ვირტუოზული გარიგებაც ამას ჰქვია) სეპარატისტებისაგან მოელიან თანხმობას ფედერაციაში შემოსვლაზე, მათი გულის კიდევ უფრო მოსაგებად ამ ფედერაციისათვის **„კონფედერაციის** (რომელიც, შევნიშნავთ, **სახელმწიფო არაა,** არამედ სახელმწიფოთა კავშირი, ვთქვათ, ნატოს-ს მსგავსად) **რამდენიმე ელემენტის“** წამატებით (დააკვირდით: ერთი „ელემენტის“ კი არა, „რამდენიმესი“ მაგრამ ნუ შიშობთ, ბევრი არ იქნება, „სულ“ რამდენიმე). მოკლედ, სურათი თვალისმომჭრელად ნათელია: საქართველო აღიარებს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ არაქართულ ტერიტორიებად, **სამაგიეროდ** ისინი შემოდიან „რამდენადმე კონფედერაციულ“ ფედერაციაში. ასეთია ის ფილიგრანული, ან, ოფიციალურ ენაზე რომ ვთქვათ, „უნიკალური“ და „უპრეცედენტო“ კომბინაცია, რომლის მომსწრეთ ვინ გაგვიბედავს თქმას, ქართველებს ფანტაზია გაკლიათო, – ფანტაზია, რომლის წყალობითაც ტერიტორიების ჩამოშორების **ტრაგედია** მათი „დაბრუნების“ **ფარსად** იქცა. ხოლო რა შედეგს უნდა მოველოდეთ ამ „ფანტასტიკური ფარსისაგან“, თუ იგი ჩვენი ცხოვრების სცენაზე მაინც დაიდგა, ამის განჭვრეტას დიდი ჭკუა არ სჭირდება.

ერთ მშვენიერ დღეს, – ეს დღე კი უთუოდ დადგება, – გვეტყვიან ჩვენი „სამხრეთელი“ ოსები: არსებობს ჩრდილოეთი ოსეთი, არსებობს თქვენ მიერვე აღიარებული „სამხრეთი ოსეთი“, როდემდე ვიყოთ ცივი ომის დროინდელი გერმანიასავით ორად გაყოფილი, გვსურს გაერთიანებაო. რას ვუპასუხებთ: იმას, რომ თქვენს ტყავში დაეტიეთ, ხოლო, თუ გაჯიუტდებით, ამ სახელს - „სამხრეთი ოსეთი“ - როგორც გიფეშქაშეთ, ისე ჩამოგართმევთ? „ფანტასტიკური ფარსის“ ჟანრი სხვა პასუხის საშუალებას არ იძლევა და აფხაზებისთვისაც, როდესაც მოინდომებენ ცალკე გასვლას (ევროპის ე.წ. ჯუჯა სახელმწიფოებზე ნაკლები რით არიან?) ამავე ჟანრში მოგვიწევს პასუხის გაცემა: დავემუქრებით, რომ აფხაზეთს ისევ ქართულ ტერიტორიად გამოვაცხადებთ. მაგრამ, საუბედუროდ, ამგვარი სიტყვა-პასუხით ამ ჩვენს უკვე გასხვისებულ მიწა-წყალს ვეღარ შევინარჩუნებთ პამპულობის არმოყვარე თანამდროვე მსოფლიოში: როგორც სხვა ფედერაციები, ეთნიკური (თუ ეროვნული) ნიშნით შექმნილი, დაშლილან, ან დაშლა ემუქრებათ, ჩვენიც, ამთავითვე, ჯერ კიდევ „კონცეფციის“ სახით, დეგენერატიზმის აშკარა სიმპტომების მავლინებელი, მით უფრო ვერ ასცდება ამ ხვედრს. „ესმის თუ არა ყველას, რომ ჩვენ ვაშენებთ რაღაც ისეთს, რაც გზას ხსნის მსოფლიო ბატონობისკენ, არა უბრალოდ სავაჭრო კავშირს, არამედ პოლიტიკურ წარმონაქმნს? იცნობიერებს თუ არა ყველა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს, თითოეულს ცალკეა, მოუწევს, დაამტკიცოს თავისი უფლება არსებობაზე ახალ მსოფლიოში?“ - მრავალმნიშვნელოვნად იკითხა რომანო პროდიმ, ევროკავშირის პრეზიდენტმა, ევროპის პარლამენტის სხდომაზე 2001 წლის თებერვალში. დიახ, ახალი მსოფლიო, რომელიც შენდება და რომლისკენაც მივისწრაფით, რას იზამ, სუსტებს არ სწყალობს, განსაკუთრებით კი ჭკუასუსტებს. იმედი, რომ ჩვენ მიერ ჩადენილ სისულელეს სხვა გამოასწორებს, ამ მსოფლიოში ამაოა (ევროკავშირის პრეზიდენტის ციტირებული სიტყვების უკეთ გასაგებად, ალბათ, დაგვეხმარება ე.წ. **ეროვნულ სახელმწიფოთა რელატივაციის** იდეა, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის გარედან შემზღუდავ (დამასუსტებელ) ინტერნაციონალურ (ერთა და სახელმწიფოთაშორისი) რეგიონალიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ეროვნული სუვერენიტეტის შიგნიდან შემზღუდავ (დამასუსტებელ) ინტრანაციონალურ (ერთა შიდასახელმწიფოებრივ) ფედერალიზაციას; რაც, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს თუნდაც იმავე ევროკავშირში შესვლაზე უარის თქმას, არამედ მხოლოდ იმას, რომ აუცილებელია, – ასეთი „რელატივისტური“, არსებითად სოციალისტური, ტენდენციებვის, ყოველ შემთხვევაში, პატარა ერ-სახელმწიფოთა მიმართ, არსებობის პირობებში, – ქვეყანას ავარიდოთ, **რადაც** უნდა დაგვიჯდეს, ეს ნაძალადევი „ფედერალისტური რელატივიზაცია“ მაინც.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, თუ რა ფასი აქვს „ფედერალისტების“ „სეფე შეკითხვას“, ოპონენტთა ვითომდაც „ჩიხში მომამწყვდეველს“, **სხვა რა გამოსავალია,** თითქოს ის, რასაც ისინი ქვეყანას სთავაზობენ, – **„კონსტიტუციური კაპიტულაცია“ სეპარატისტების წინაშე,** – იყოს გამოსავალი: ტერიტორიების დაკარგვა თავის გამასხარავებით, საპირისპიროდ თავის გაუმასხარავებლად მათი დაკარგვისა (რომელია ამ „ალტერნატივებს“ შორის, თუ მაინცდამაინც ასე დაისმება საკითხი, **უარესი,** რადგან „უკეთესზე“ ასეთს შემთხვევაში არ ლაპარაკობენ, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია). „ფედერალისტების“ წინადადება იმას ჰგავს, ვინმემ თვითმკვლელობა ურჩიოს ავადმყოფს, სულ ერთია, მოკვდები, სჯობს, შენი ნებით მოკვდეო. მაგრამ საქართველოს მდგომარეობა, მეტად მძიმე და რთული, სრულებითაც არაა, როგორც „ფედერალისტები“ გაიძახიან, „სხვა გამოსავლის“ არმქონე.

დროა, მოვეშვათ იმაზე ფიქრს, რას „მიიღებენ“, ან „არ მიიღებენ“ სეპარატისტები, რომლებიც, თავისთავად, არანაირ ძალას არ წარმოადგენენ. მათი ძალა **რუსეთია** და ჩვენც სწორედ ამ ძალისგან უნდა „განვაიარაღოთ“ ისინი, რის გარეშეც რაიმე პრაქტიკულ გამოსავალზე ლაპარაკი დროის ფუჭი ხარჯვა იქნება. ამიტომაც თითოეულმა ჩვენგანმა, ქვეყნის ხელისუფლებასთან და მთელ ხალხთან ერთად, იმ მიმართულებით უნდა ვიღვაწოთ, ვისაც რა როგორ შეგვიძლია, თავდაუზოგავად, რომ რაც შეიძლება მალე გაყვანილ იქმნენ რუსეთის არა მარტო ახალქალაქისა და აჭარის სამხედრო ბაზები, არამედ ე.წ. **„სამშვიდობო ძალებიც“,** რადგან **მხოლოდ მაშინ** გამოჩნდება რეალური პერსპექტივა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის. ასეთია ჩვენი სადღეისო **[illegible]** კითხვაზე, თუ **სადაა [illegible]ლი.** „ხელჩაქნეულებს“ კი, მაინც არაფერი გამოვაო, ვეტყვით, რომ მათ საქართველო არ უყვართ, რადგან სასიკეთილოდ გადადებულ საკუთარ შვილზე ხომ არ ჩაიქნევენ ხელს და ხომ იბრძოლებენ ბოლო წუთამდე მისი სიცოცხლისთვის! ერთ-ერთმა „ფედერალისტმა“ განაცხადა ტელევიზიით, სანამ სიტყვა „პატრიოტიზმს“ არ ამოვიღებთ ჩვენი ლექსიკონიდან, არაფერი გვეშველებაო. ჩვენ ამ „უჯიშოთა ჯიშის“ წარმომადგენელებთან, რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ საქართველოში, სალაპარაკო არაფერი გვაქვს, არამედ მივმართავთ მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ილია ჭავჭავაძის სიტყვები „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ მისი ადამიანობის კულტურული სიმბოლოა.

სანამ განვაგრძობდეთ საუბარს საქართველოს ფედერალიზაციაზე, საჭირო, ითქვას ზოგიერთი რამ **„სამხრეთი ოსეთის“ ავტონომიის** და, ამასთან დაკავშირებით, საერთოდ **ავტონომიის** შესახებ. შევახსენებთ მკითხველს, რომ საქართველოს გეოგრაფია ასეთ ტერმინს – „სამხრეთი ოსეთი“ – არ იცნობდა XIX საუკუნემდე, როდესაც რუსულმა ადმინისტრაციამ შემოიღო იგი ოფიციალურ სახელწოდებად შიდა ქართლის მთიანი ნაწილისთვის, სადაც სახლობდნენ ჩრდილოეთიდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებული ოსები. რუსეთის, ახლა უკვე ბოლშევიკურის, მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, 1922 წელს ახალმა ხელისუფლებამ, **პრიზად** ოსების აქტიური მონაწილეობისა საქართველოს გასაბჭოების საქმეში და, რაც მთავარია, საქართველოს სხეულში პოლიტიკური **ნაღმის** ჩასადებად, შექმნა „სამხრეთი ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, თვითნებურად მოაქცია რა მის ფარგლებში ქართველებით დასახლებული ვრცელი ტერიტორია, ქალაქ ცხინვალითურთ (ოსურ მოსახლეობიანი ტერიტორია ოლქის შესაქმნელად საკმარისი არ იყო). სხვათა შორის, აფხაზეთისთვის **რესპუბლიკის** სტატუსის მინიჭებაც (ავტონომია აფხაზეთს დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით ჰქონდა გარანტირებული) ზუსტად ასეთივე ბოლშევიკური წარმოშობის პრიზი და ნაღმი იყო (საინტერესოა, ნაციონალური წარმოშობის რომ ყოფილიყო, როგორ შეაფასებდნენ ამას დასავლეთში). როგორც ვიცით, ორმაგ პრიზმ საქართველოსთვის ნაღმად განკუთვნილმა, რუსებს გაუმართლა: „სამხრეთი ოსეთიც“ და აფხაზეთიც რუსეთისაგან „განმდგარ“ საქართველოს განუდგნენ. ასეთია ისტორიის გაკვეთილი. რაც შეეხება, კერძოდ, „სამხრეთ ოსეთს“, თუ რას მოასწავებს მისი ხელახალი ცნობა ამ სახელწოდებით საქართველოსთვის, ამაზე უკვე ითქვა: დადგება დრო და საქართველო, მორალურადაც და პოლიტიკურადაც განიარაღებული „სამხრეთი ოსეთის“ აღიარებით, აღმოჩნდება „ორი ოსეთის“ გაერთიანების პრობლემის წინაშე. ვინ რა **გარანტია** შეიძლება მისცეს **დღეს** საქართველოს ამ მხრივ? განა არ სმენიათ ჩვენს „ფედერალისტებს“, რომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი

ლაპარაკობენ კალიფორნიის, იქ მიმდინარე პროცესების გამო, სეცესიის საკითხის არცთუ შორეულ მომავალში წამოჭრის საშიშროებაზე? მაგრამ „ოსური უსიამოვნებანი საქართველოსთვის ამით არ ამოიწურება. ოსურ პრეცედენტს, საქართველოს ფედერალიზაციის პირობებში, ვშიშობთ, ახალი ეთნიკური პრობლემები მოჰყვება, რადგან საქართველოში, ოსეთის გარდა, ცხოვრობენ სხვა ეთნიკური უმცირესობებიც, კერძოდ, სომხები, კომპაქტურად დასახლებულნი (1829 წლიდან, რუსეთის მთავრობის მიერ განდევნილი მკვიდრი ქართველების სანაცვლოდ) სომხეთის მოსაზღვრე ჯავახეთში, და აზერბაიჯანელები, ასევე კომპაქტურად დასახლებულნი აზერბაიჯანის მოსაზღვრე ქვემო ქართლში, რომლებსაც ოსებზე არანაკლები „უფლება“ აქვთ, პრეტენზია განაცხადონ ავტონომიაზეც და ფედერაციის სუბიექტობაზეც. დარწმუნებული შეიძლება ვიყოთ, რომ, თუ საქართველოს ფედერალიზაცია გადაწყდება, ისინიც იტყვიან თავის „სამართლიან“ სიტყვას: თუ ოსები „ჰო“, ჩვენ რატომ „არა“? მეტიც, აზერბაიჯანელებს შეიძლება ორმაგი პრეტენზია ჰქონდეთ, ეთნიკურიცა და **რელიგიურიც,** მათი „ერთმორწმუნე“ აჭარის, ამ ეთნიკურად წმინდა ქართული, მაგრამ რელიგიური ნიშნით შექმნილი (საერო სახელმწიფოში!) ავტონომიის, მაგალითით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს, რომ ერთადერთი რეგიონი, რომლის უფლებაც **ავტომომიაზე,** მაქსიმალურად ფართოზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია მის ფარგლებში, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, არის **აფხაზეთი,** როგორც ერთსა და იმავე დროს სამშობლო აფხაზი ერისა და **ნაწილი** ქართველი ერის სამშობლოსი, კულტურულ-ისტორიულად ისევე ორგანულად განუყოფელი საქართველოსაგან, როგორც ამ ქვეყნის ნებისმიერი სხვა რეგიონი (ქართლი, კახეთი, იმერეთი...). (რუსულ-აფხაზურ „ისტორიოგრაფიულ“ ლეგენდაზე, ვითომც ქართველები აფხაზეთში „მოსული“ არიან, სადაც მათ „დახვედრიან“ აფხაზები, აქ აღარაფერს ვიტყვით). შეხედულება საქართველოზე, როგორც „მრავალეროვან“ ქვეყანაზე, სწორი არაა. ის, რომ გერმანიაში რამდენიმე მილიონი თურქი ცხოვრობს, არ ნიშნავს იმას, თითქოს იქ თურქი ერი ცხოვრობდეს: თურქი **ერი** თურქეთში ცხოვრობს და არა გერმანიაში (ან კიდევ სხვაგან, თურქეთის გარეთ). იგივე ითქმის საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზეც: სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, იმავე ოსებზე... **საქართველოში ორი ერი ცხოვრობს: ქართველი და აფხაზი.** –

ქართველი ერი არასდროს არ ყოფილა „ერიჭამია“, მისთვის ყოველთვის უცხო იყო, თვით უკიდურესი კულტურული დაქვეითების დროსაც, კაციჭამიობის ეს უსაზიზღრესი ფორმა, რისი მოწმობაცაა, სხვათა შორის, ქართველებისა და ებრაელების ორ ათასწლეულზე მეტი ხნის მშვიდობიანი თანაცხოვრება. სტალინისა და ბერიას ცოდვებს ქართველ ერს ნუ მიაწერენ, რომელიც თვითონ არის, ყველაზე მეტად, მათი მსხვერპლი: სწორედ სტალინმა დაიპყრო საქართველო 1921 წელს, სწორედ მისი ხემძღვანელობით მოხდა საქართველოს დანაღმვა ავტონომიური რესპუბლიკებით (ერთ-ერთია აფხაზეთი!) და ავტონომიური ოლქით („სამხრეთი ოსეთი“!) და სწორედ ბერიამ გაანადგურა1936-1938 წლების ტერორის დროს ერის საუკეთესო ნაწილი... ამიტომაც, ქართველი ერის მიმართ მტერთა ცილისწამებების უკუგდებით, ვაცხადებთ: **საქართველო უნდა იყოს დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, ფართო ავტონომიით აფხაზეთისთვის, კულტურული ავტონომიით ეთნიკური უმცირესობებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობით მთელი ქვეყნისთვის.** სწორედ ასეთი და მხოლოდ **ასეთი** საქართველოს აბსოლუტური, „უპირობო“ პირობით შეიძლება ლაპარაკი მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

როგორც ვიცით, საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა არ იფარგლება აფხაზეთითა და „სამხრეთი ოსეთით“. მართალია, ამ ბოლო ხანს „ფედერალისტები“ ამჯობინებენ, ილაპარაკონ დანარჩენი საქართველოს **რეგიონალიზაციაზე,** მაგრამ საფუძველი გვაქვს ეჭვისათვის, რომ ეს მათი ვერბალური „რეგიონალიზმი“ ფედერალიზმის ის „ნეგატივია“, რომელიც ცხოვრებაში მის „პოზიტივად“ გამოღავნდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ფედერალისტები“ თვითონ საუბრობენ **„ასიმეტრიული ფედერალიზმის“** შესახებ, რაც ნიშნავს დანარჩენი საქართველოს აგრეთვე ფედერალიზაციას, შესაბამის **სუბიექტთა** თუმც „შეზღუდული“, მაგრამ მაინც **სახელმწიფოებრივი** უფლებებით. საინტერესოა, რა ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად ამ, ჩვენში უკვე არახალ, იდეას? – ვითომდაც „განეიტრალება“, ამგვარი „ტოტალური ფედერალიზაციით“, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსების, ამათი „ვიზუალური შთანთქმა“ (სინამდვილეში ილუზორული) სხვა სუბიექტთა სიმრავლეში, ერთიანად ფედერალიზებული საქართველოს „საერთო სურათში“? ასეთი „გამოსავლის“ მქადაგებელნი გვაგონებენ ადამიანს, რომელიც თავისი სხეულის ერთი რომელიმე ნაწილის სატკივარს „იყუჩებს“ მთელი სხეულის განზრახ ატკივებით. სწორედ ასეთია ის „პოლიტიკური მედიცინაც“, რომლის წარმომადგენლებიც არიან ჩვენი „ფედერალისტები“, სეპარატიზმის „მკურნალნი“ „ფედერალისტურად მოდერნიზებული“ გვიანფეოდალური პარტიკულარიზმის ხელოვნური დანერგვით (გავიხსენოთ მათი წმინდა ობსკურანტისტული დამოწმებები სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს **უშავნელესი ხანისა,** სადაც მათ, ჩანს, ეგულებათ საბაზისო პრეცედენტი ახალი „ქართლის ჭირის“ - საქართველოს ფედერალიზაციისათვის). და აი, ეს „ექიმბაშები“, ხელში სკალპელით, საქართველოს სხეულის დასასეარად ახალ-ახალ სუბიექტებად, რომელთა მორალურ კვალს ვეღარაფერი წაშლის ერის სულში, ხალხს ამშვიდებენ, ნუ გეშინიათ, ფედერაციის დანარჩენ სუბიექტებს (იგულისმება : ქართლი, კახეთი, იმერეთი. . .) არ ექნებათ ისეთი „ფართო უფლებები“, როგორიც აფხაზეთსო („სამხრეთ ოსეთზე“ ჯერ დუმან, თუმცა ერთხელ „მაღლით“ გაისმა, ჩრდილოეთ ოსეთზე მეტი უფლებები ექნებაო).

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, თუ „ფედერალისტების“ გეგმას შესრულება უწერია, მაშინ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ხელახალ **დამფუძნებელ** სუბიექტებად მის **ხელახალ,** უკვე ერების მოშლაზე ორიენტირებული ნეომარქსისტული „ლიბერალიზმის“ რეცეპტით, „ავტორებად“, თანაც – „შეზღუდული საავტორო უფლებებით“, „ფართო უფლებების“ მქონე აფხაზეთსა და, საფიქრებელია, „სამხრეთ ოსეთთანაც“ შედარებით, მოგვევლინებიან ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა. შ. , – თითქოს საქართველო **ჯერ არ არსებობდეს,** თითქოს ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა. შ., **ჯერ არ შეადგენდნენ საქართველოს,** თითქოს ამ **„ცალკეულ ქვეყნებს“** (ქართლს, კახეთს, იმერეთს. . .) გადასაწყვეტი ჰქონდეთ, **შექმნან თუ არა** ერთი ქვეყანა, სახელად „საქართველო“, **ჯერ არარსებული, არშემდგარი, მხოლოდ „პროექტი“.** ვამბობთ რა ამას ერთგვარი „პრევენტიული“ მოსაზრებით, ვეკითხებით „ფედერალისტებს“, თუ რას გულისხმობს მათი „რეგიონალიზმი“. არის თუ არა „რეგიონი“, მათი პრინციპით მოწყობილი, **ფედერაციის სუბიექტი?** თუ ჰო, არის თუ არა იგი, როგორც ასეთი, **პოლიტიკური** ერთეული და, შესაბამისად, **სახელმწიფოებრიობის** გარკვეული ნიშნის მქონებელი, თუნდაც „შეზღუდული უფლებებით“ ? თუ – ესაა „სუბიექტი“, სინამდვილეში კი **ავტონომია,** ცენტრალური ხელისუფლების მიერ **შექმნილი** და „ფედერაციის სუბიექტად“ მხოლოდღა **ფიქტიურად** ცნობილი (თუ ჰო, რა მიზეზით, რა მიზნით)? ხოლო, სანამ ამ კითხვაზე პასუხს მოვისმენდეთ, ჩვენ ჩვენსას განვაგრძობთ.

მართლაც, როდის იქმნება ხოლმე, რა **შინაგანი პირობების** (გეოპოლიტიკურის გარდა) გათვალისწინებით, ფედერაცია? – წინასწარ შევნიშნავთ, რომ სანიმუშოდ თანამედროვე გერმანია არ გამოგვადგება, რომლის ფედერალიზაციაც სრულიად განსაკუთრებულ **გარეშე** პირობებში მოხდა: ცნობილია, რომ ომისშემდგომი დასავლეთი გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ, იმ დროისათვის სავსებით გასაგები შიშით, კვლავ არ აღორძინებულიყო (ყურადღება მივაქციოთ ამასაც) **ძლიერი** გერმანული სახელმწიფო, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი მკვეთრად ფედერალისტურ საწყისებზე მოწყობა (თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, ეს კიდევ სხვა ამბავია, ყოველ შემთხვევაში, „ფედერალისტების“ სასარგებლოდ არანაირი არგუმენტის მომცემი. პირიქით). ხოლო ჩვეულებრივ, „ნორმალურად“, ფედერაცია იქმნება მაშინ, როდესაც ცალკეულ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხებს სურთ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, მაგრამ იმ პირობით, რომ დამოუკიდებლობის გარკვეულ ნაწილს თავისთვის დაიტოვებენ, რაც იმით აიხსნება, რომ მათში **ადგილობრივი პატრიოტიზმი უფრო ძლიერია, ვიდრე საერთო ერონული** („მე პირველ ყოვლის ქართლელი ვარ (კახელი, იმერელი...) და მხოლოდ ამის შემდეგ ქართველი“). ამ ეროვნული გრძნობის დასაწყისში არარსებობა, ან სისუსტე, რაც შეუძლებელჰყოფს **უნიტარული** სახელმწიოფს შექმნას (რომლისთვისაც აუცილებელია, რომ ადამიანები **უპირველესად** მთელი ქვეყნის შვილად გრძნობდნენ თავს და არა თავისი რაგინდ საყვარელი კუთხის), თავისთავად გასაგებია, რადგან იგულისხმება, რომ საერთო სახელმწიფოს დაარსების მომენტში თვითონ **ერი,** როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობს, იგი ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას საერთო სახელმწიფოს ჭერქვეშ გაერთიანებული ხალხების თანაცხოვრების პირობებში. ასე, მაგალითად, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები იქმნებოდა, ამერიკელი ერი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჯერ არ არსებობდა, არამედ იყვნენ ვირჯინიელები, მერილენდელები, ნიუიორკელები და ა.შ. თავ-თავიანთი შტატების თავგადაკარგული პატრიოტები. იგივე ითქმის, მეტნაკლებ, შვეიცარიასა და სხვა ფედერაციულ ქვეყნებზეც. სწორედ ასეთს პირობებში წარმოდგება და მოქმედებს ე.წ. **ფედერალიზმის გრძნობა,** რომლის ამოსავალი ფორმულაცაა: **გვინდა ერთად ყოფნა, მაგრამ არა ერთობა (ე.ი. ერთ ერად სრული შერწყმა).** ხოლო ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სულ სხვაა, ვთქვათ, **კონფედერაციიდან** გადასვლა უფრო მჭიდრო ფედერაციაზე, როდესაც უპირატესობას იძენენ **ცენტრისკენული** ძალები (აქედან – ამერიკული „გამაერთიანებელი ფედერალიზმიც“), და სულ სხვაა **უნიტარულიდან** გადასვლა ნაკლებად მჭიდრო ფედერაციულ სისტემაზე, როდესაც, პირიქით, უპირატესობას იძენენ **ცენტრიდანული** ძალები (რის გამოც ფედერალიზმის არანაირ „გამაერთიანებელ“ ფუნქციაზე არ შეიძლება, ამ შემთხვევაში, საუბარი: გერმანიის მაგალითი ამჯერადაც ვერ გამოადგებათ ჩვენს „ფედერალისტებს“, რადგან იქ აღინიშნება, როგორც ამბობენ, ფედერალიზმის საპირისპირო **უნიტარული** ტენდენციები, გაპირობებული სპეციფიკურად გერმანული საშინაო და საგარეო ფაქტორებით, რომლებსაც ჩვენს სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო).

ყოველივე ამის შემდეგ თვითონ მკითხველმა განსაჯოს, რას უქადის „დანარჩენ“ საქართველოს ფედერალიზაცია (გნებავთ, „რეგიონალიზაცია“, ასიმეტრიული ფედერალიზმის კონტექსტში) თავისი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ერის **ცნობიერებაზე** ზეგავლენით, მასში ფედერალიზმის გრძნობის“, ჩვენი ქვეყნისთვის სრულებითაც არა „გამაერთიანებლის“, არამედ სწორედ დამანაწევრებლის, ფსიქოიდეოლოგიური „კოდის“ ჩადებით (‘მე, კახელი, რატომ უნდა ჩავერიო იმერეთის საქმეებში?“ - იკითხა ერთმა წინამბრძოლმა „ფედერალისტმა“).

საქართველოს პირობებში ფედერაცია მხოლოდ მახინჯი და მანკიერი ფორმით იარსებებს, რადგან ფედერალიზმი, საერთოდ, სრულიად უცხოა ქართველი ერის ისტორიულად შემუშავებული პოლიტიკური კულტურისათვის, მისი დროთა ქარცეცხლში გამოვლილი და გამოცდილი სახელმწიფოებრივი ტრადიციისათვის, რომლის გარეშეც ქართველთა სახსენებელი დღეს კარგა ხნის აღგვილი იქნებოდა მიწის პირისაგან. განა არაფრის მთქმელია ის გარემოება, რომ,როდესაც საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რაშიც ერთი უმთავრესი როლი საგარეო ფაქტორებმა შეასრულეს, ქვეყნის ცხოვრების „შემდგარ ფაქტად“ იქნა აღიარებული, ქართულ პოლიტიკაში გაჩნდა ტერმინი „**საქართველოები**“ ამ განთვითებულ სამეფო-სამთავროებულ სანიშნავად, რაც იმას, გულისხმობდა, რომ ყველა ისინი **ერთნი** არიან და რომ, ამიტომაც, როდესაც საამისო დრო დადგება, ეს მრავლობითი „საქართველოები“ კვლავ **ერთ განუყოფელ „უნიტარულ“ საქართველოდ** უნდა შეერწყან. ის მართლაც საკვირველი შიდაქართული კულტურული მრავალფეროვნება, რომელსაც ქმნიან ჩვენი ქვეყნის მხარეები და რომელიც გაძლევს საფუძველს, ვილაპარაკოთ პატარა „ქართულ მსოფლიოზე“, ქართველი ერის ის უძვირფასესი საუნჯეა, რომლის ღირსეულ მოვლა-პატრონობას სრულებითაც არ სჭირდება ქვეყნის ფედერალიზაცია და მისი „გასუბიექტებული“ მხარეების პოლიტიზაცია, არამედ საჭიროა **ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის,** ასე ვთქვათ, „ქვემოდან“ აღმოცენებულის (და „ზემოდან“ ხელშეწყობილის), განვითარება და, ამასთან, სახელმწიფოს მხრიდანაც, დიახაც, „უნიტარული“ ზრუნვა **თითოეულის,** რაგინდ მცირე მხარის, როგორიც არიან, მაგალითად, ფშავი და თუშეთი, **თვითმყოფადობაზე.** საქართვლო უნდა იყოს არა „მოზაიკა“, არამედ ალმასივით მტკიცე და მკვრივი, კულტურულად (და არა პოლიტიკურად) დაწახნაგებული თავის მხარეებად. ხოლო ამის ნაცვლად რას უმზადებენ „ფედერალისტები“ საქართველოს? – იმას, რაც უკვე ითქვა: თუ მათი განზრახვა განხორციელდა, ის პროვინციული პარტიკულარიზმი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ებრძნოდნენ საქართველოს საუკეთესო შვილები – სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეები, მთელი ქართული მწერლობა – და რომელმაც ქვეყანა მიიყვანა 1801 წლის კატასტროფამდე,**რეანიმირებული და ლეგიტიმირებული** იქნება ვითომდაც „ცივილიზებული ფედერაციული“ სახელმწიფოს სახით, სადაც ვიხილავთ ისეთს „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს“, როგორიც არიან ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვანი და სხვანი. ადვილად წარმოსადგენია, რა ზარ-ზეიმი შეექმნებათ ყოველივე ამის ზეგარდმო მხედველ ჩვენს დიდ წინაპრებს, რა სიხარული შეუდგება მათ სულებს.

წარმატებული **თავისუფალი** საზოგადოება ყოველთვის დიდწილად იქნება **ტრადიციას მიბმული** საზოგადოება, – ამბობს „ტრადიციონალისტი“ ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი. ამ ცხადი ჭეშმარიტების საპირისპიროდ, ვხედავთ, რომ ჩვენი „ულტრალიბერალური ფედერალისტები“ **ქართული სახელმწიფოებრიობის უნიტარული ტრადიციის** არათუ სრულ იგნორირებას, მის **ფალსიფიკაციას** და უკვე, ამდენად, **დისკრედიტაციასაც** ეწევიან. უნდა გვახსოვდეს, რომ, საერთოდ, საზოგადოებს მათი ტრადიციების ხელაღებით, ნეომარქსისტ „ლიბერალთა“ ენაზე რომ ვთქვათ, „კულტურრევოლუციური“, უარყოფა კულტურული და, შესაბამისად, ეროვნული გადაგვარების ფასად დასჯდომიათ (რეალური საშიშროება თანამედროვე ერებისთვის...). ერთი უპირველესი პირობა, რომ ფედერალისტური სისტემის შემოღება მხოლოდ სათანადო პოლიტიკური მენტალიტეტის მქონე საზოგადოებაშია შესაძლებელი, ჩვენი „ფედერალისტებისათვის“, უკეთეს შემთხვევაში, ცარიელი სიტყვაა. იტალიამ, რომელსაც, საქართველოსაგან

განსხვავებით, **არასოდეს** ჰქონია, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, როდესაც დადგა მისი კონსტიტუციურად დაფუძნების სანატრელი დღე, **ერთხმად** უკუაგდო ფედერალიზმის იდეა და ხმა მისცა ქვეყნის უნიტარისტულ მოწყობას, რისი მიზეზიც იტალიელთა პოლიტიკური მენტალიტეტი იყო, მათი ტრადიციული ეროვნული თვითშეგნების გმომხატველი. და ამნაირადვე, **საქართველოს პირველი რესპუბლიკის** დაარსებისას, არავის, – არც პოლიტიკოსებს, არც იურისტებს, არც ისტორიკოსებს, რომელთა შესადარიც ნიჭით და ცოდნით დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, არ მოიძებნება, – აზრადაც არ მოსვლია ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა.

დღეს კი რას არ გაიგონებთ საქართველოში? ლაპარაკობენ ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებათ, ოღონდ ხალხი გაბრუონ და თავისას მიაღწიონ: საქართველოს ფედერალიზაციას. ამ სურათის შემყურეთ, არ გაგვიკვირდება, რომ „ფედერალისტებმა“, თუ მათ გამარჯვება იზეიმეს, ძეგლებიც დაუდგან დადიანებსა და გურიელებს მათს ყოფილ სამთავროებში, როგორც „ქართული ფედერალიზმის მედროშეებს“, და, ჩვენი „ფედერალისტური ტრადიციების“ მეტი სიძველის დასტურად, საგვარეულო ძეგლი აღუმართონ „პროგრესისტ-ფედერალისტ“ კლდეკარის ერისთავებს „რეაქციონერ“-უნიტარისტ დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას, თბილისსა და „ისტორიულად საქართველოს სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ ერთ-ერთ სუბიექტ“ აფხაზეთის დედაქალაქ... ქუთაისში (მოგეხსენებათ, რომ „ფედერალისტთა“ ერთი ჯგუფის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული „კონცეფციით“ შუა საუკუნეებში აფხაზეთის „ისტორიული სუბიექტობა“ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში თურმე **იურიდიული** საფუძველი ყოფილა ახლანდელი აფხაზეთისა, რომელიც მათ, თანაც, **ის** აფხაზეთი ჰგონიათ, „ფედერაციის სუბიექტის განსაკუთრებული სტატუსისათვის“). მაინც საიდან ასეთი „ენთუზიაზმი“? საიდან წარმოდგება იგი?

ეს ჩვენი XXI საუკუნის დასაწყისი ძალიან გვაგონებს XXსაუკუნის დასაწყისს. წიწამურის ტრაგედიის დღეებში ვაჟა-ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავენ“. სწორედ ამათ გულისხმობდა მიხეილ წერეთელი, როდესაც თქვა, „გარეშე სატანა“, „შინაური იდიოტების“ მეშვეობით მოქმედებსო. საუბედუროდ, ეს გამონათქვამები ამჟამად კიდევ უფრო აქტუალურია.

ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას ერთგვარ ზნედ სჭირს თავისი ლამის ყოველი ნამოქმედარის თავისდა სასიქადულოდ მოხსენიება, როგორც „უპრეცედენტოსი“ და „უნიკალურის“. ხოლო შევახსენებთ მას, ამასთან დაკავშირებით, რომ, **თუ** იგი საქართველოს ფედერალიზაციის ამ არსაქმნელ საქმეს მაინც მოიმოქმედებს, ეს იქნება ჭეშმარიტად უპრეცედენტო და უნიკალური, ისტორიაში ნამდვილად უმაგალითო მაგალითი იმისა, თუ როგორ უდალატა ერს საკუთარმა მთავრობამ, მის მიერვე არჩეულმა. და აქ სრულიად უადგილო იქნება სტალინისა და ორჯონიკიძის გახსენება, რადგან ისინი რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, რომლებსაც მისთვის არც უღალატიათ.

საქართველოს, როგორც არასდროს, მისი **ყოფნა-არყოფნის** საკითხი უდგას. თუ წარსულში მახვილით წართმეულს მახვილით იბრუნებდნენ, დღეს, რასაც კანონი დაგვაკარგვინებს, მას ვეღარ დავიბრუნებთ. ნუ დავუშვებთ ამ მართლაც არნახულ და არსმენილ საქმეს - „ერის კონსტიტუციურ თვითმკვლელობას“.

მიხეილ ნანეიშვილი
28.07.2004

II. უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

(საქართველოს ფედერალიზაციის იდეის გამო)

საზოგადოებას მოეხსენება, რომ 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის პროექტთა განხილვის პროცესში შემოთავაზებულ იქნა, ხოლო მანამდე რამდენიმე პარტიისა და პოლიტიკური პუბლიცისტის მიერ წამოყენებულ იქნა საქართველოს „ფედერალური მოწყობის“ ანუ მთელი საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაყოფის გეგმა. ცნობილია ისიც, რომ საკონსტიტუციო მუშაობის პროცესში ამ გეგმის ავტორებად და მომხრეებად გამოვიდნენ სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, მისი თანამოპარტიენი და პოლიტიკური თანამოაზრენი და რომ მხოლოდ მაშინდელი საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგობის პერსპექტივამ (ანუ იმის განჭვრეტამ, რომ საქართველოს ფედერალური მოწყობის შემცველი პროექტი კონსტიტუციისა ვერ მიიღებდა ხმათა საჭირო ორ მესამედს) ააღებინა ინიციატორებს ხელი ამ მუხლების გამოტანაზე კენჭის საყრელად. დღეს საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის თემა დროებით გამოტოვებულია, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ დღევანდელმა პარლამენტმა, რომელიც პრეზიდენტის ნების მორჩილია, ეს მიიღოს.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ საქართველოს ფედერალიზაციის ზემოხსენებული გეგმა არა მხოლოდ არამეცნიერულია (ანუ არ ემყარება არავითარ გათვლას მართვის ოპტიმალური ქმედითობის, ეკონომიურობის, სიმარტივის ან სხვა რამ მახასიათებლების თვალსაზრისით (ამაზე - ქვემოთ), არამედ იგი ეწინააღმდეგება სოციოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ მოპოვებულ მთელ რიგ ისეთ შემოწმებად ჭეშმარიტებებს, რომელთა ძალითაც საქართველოს ფედერაციის შექმნის მცდელობა, თუკი იგი რეალობაში იქნა გატარებული, გამოიწვევს არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის დაკარგვას რამდენიმე წლის მანძილზე, არამედ ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების გახლეჩასაც, ანუ ქართველი ერის მთლიანობის დაკარგვასაც სულ ორი-სამი თაობის მანძილზე.

თუმცა ჩვენი მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანაში და მის უშუალო გარემოცვაში დღეს არსებულ ვითარებას უნდა დაემყაროს (გეოპოლიტიკურს, ეკონომიკურსა და სტრატეგიულს), მაინც ბუნებრივია, რომ რიგ შემთხვევებში, ანალოგიურ პრობლემებზე მსჯელობისას, სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან ცნობილ ანალოგიებსაც დავიმოწმებთ. კერძოდ, შევეხებით გერმანიის ანალოგიას, რომელსაც ფედერალიზაციის მომხრენი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად იმოწმებენ.

I. <u>გერმანიის მაგალითი (ზოგადად)</u>

საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეთა ხელში ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო და არის ის, რომ ზეგანვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო – გერმანია – ფედერაციას წარმოადგენს. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ფედერაცია კარგია. ეს დასკვნა ყალბია თავისი წანამძღვრის სიყალბის გამო. გერმანია იმიტომ კი არ არის ფედერაციული, რომ ფედერაცია კარგია, არამედ, პირიქით, დამარცხებულ გერმანიას მოკავშირეებმა ფედერალური მოწყობა უკარნახეს იმიტომ, რომ ფედერაცია ქვეყნის ძლიერებისათვის ცუდია, სახელდობრ, უკარნახეს იმ მიზნით, რომ შეუძლებელი გამხდარიყო გერმანიის „ჯავშნიანი მუშტის“ ანუ გერმანული სამხედრო ძალის აღორძინება დღეს, ხვალ ან განჭვრეტად მომავალში. გერმანულ ლიტერატურაში ამ თემაზე ნათლად ჩანს, რომ ომის შემდგომი გერმანიის ფედერალურად მოწყობისათვის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ეს იყო. დავიმოწმებთ რამდენსამე შრომას.

1. ჰანი და ჰოლშერი. „გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალიზაცია“ (Karl Hahn und Manfred Holscher. Föderalisierung der Bundes-Republik Deutschland. კრებულში Föderallsmus als Mittel permanenter Konfliktregelung, Ester Bauer, Heraud, Pernthaler. Wien, 1977)

„მოკავშირეთა დავალება საპარლამენტო საბჭოსადმი (გერმანიის „მიწათა“ ანუ „ქვეყანათა“ ადგილობრივი პარლამენტების წარმოგზავნილთანგან შემდგარი საბჭო, რომელიც გერმანიის კონსტიტუციის პროექტს ადგენდა 1947-49 წლებში), დემოკრატიული კონსტიტუცია ფედერალურ საფუძველზე აეგო, მიზნად ისახავდა, ხელი შეეშალა გერმანული მძლავრი სახელმწიფოს (Machtstaat) აღდგენისათვის...“ (გვ. 116).

2. კარლო შმიდი. „ფედერაცია (ბუნდი) და ქვეყნები (მიწები, Laender)“. Carlo Schmid, Bund und Laender). კრებულში „Die zweite Republik, გამომცემელნი Loewenthal, Schwarz შტუტგარტი, 1974 წ.

„გფრ-ის ფედერალური სტრუქტურა დაკავშირებულია მოკავშირეთა მიერ ომში დასახულ მიზნებთან... რაც უნდა სხვადასხვა ყოფილიყო მათი შეხედულებები, ერთში ისინი ყველანი თანხმდებოდნენ: მომავალ გერმანიას მისი სამრეწველო, პოლიტიკური, სამხედრო პოტენციალით არასოდეს აღარ უნდა შესძლებოდა საომარი აქტივობის დაწყება... საამისოდ შესაფერ საშუალებად ზოგს ესახებოდა გერმანიის დაშლა რამდენიმე ურთიერთდამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სანამ სტალინის სიტყვებმა, „ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი კი რჩებაო“[1] ამას ბოლო არ მოუღო (გვ. 244).

3. (იგივე შრომა). „არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დავალება თუ მოთხოვნა მხოლოდ სახელმწიფო-ფილოსოფიური ხასიათისა არ იყო. იგი წარმოადგენს გამარჯვებულთა უშიშროების პოლიტიკის ნაწილის, რადგან ეწადათ ხელი შეეშალათ გერმანიის, როგორც მძლავრი სახელმწიფოს (Machtstaat), აღდგენისათვის. ცენტრალურად შეკრული გერმანია ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობისათვის სახიფათოდ ესახებოდათ. მთლიან გერმანულ სახელმწიფოს, მათის აზრით, ვერ უნდა შესძლებოდა გადაწყვეტილებების მეტისმეტად ადვილად მიღება და გატარება. მიწების (ქვეყნების, „ლანდების“) ნებაზე დამოკიდებულობას... უნდა გაეძნელებინა მისთვის მეტისმეტად ცოცხალი რეაგირება და მეტისმეტად სწრაფი ზრდა“ (გვ. 246).

4. რეალური მდგომარეობა, რომელიც გერმანიაში დამკვიდრდა, ანუ ფედერაციულობის ის ხარისხი, რომელზედაც გერმანიის კონსტიტუცია საბოლოდ (1949) შეჩერდა, იყო ერთი მხრივ მოკავშირეთა, მეორე მხრივ კი გერმანელთა ნების ერთგვარი ტოლქმედი, მათ შორის კომპრომისის შედეგი. იოხენ ჰუნი (Jochen Huhn, Die westdeutsche Föderalismusdiskussion 1945-1949) კრებულში Föderalismus in Deutschland, გამომცემელნი Huhn და Witt, ბადენ-ბადენი, 1992) წერს, რომ უნიტარული გერმანიის მომხრე გერმანელთა ერთობლივი მოთხოვნა, რომ „პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი უნდა მოდიოდეს გერმანულ სახელმწიფოზე მთლიანად, ხოლო ქვეყნები („მიწები“) უნდა იყონ მეორადი ხასიათის წევრი სახელმწიფოები“, რაც შექმნიდა „ჯანსაღსა და გონივრულ საკავშირო ფედერალიზმს“, იყო ერთის მხრივ გერმანელთა მიერ აღიარებული ღირებულებების (ერთიანი ეროვნული სახელმწიფო), მეორე მხრივ კი ობიექტური გარემოებებისადმი (მოკავშირეთა ნებისადმი) დათმობის კომპრომისი (გვ. 43).

5. პეტერ ბოლიც, (Peter Bohl, Chancen und Gefährdungen des Föderalismus „ფედერალიზმის შანსები და ხიფათები“ კრებულში, „Födelalismus“, გამომცემელი Bohr მიუნხენი, 1992) წერს, რომ „ფედერალიზმი და ფინანსური წყობა 1949 წლისა წარმოიშვა, როგორც კომპრომისი დასავლელი მოკავშირეების სურვილებსა და საპარლამენტო საბჭოს უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის“ (გვ.33).

6. ფრიც შარპი (Fritz Scharp, Wege der Entwicklung des bundesstaatlichen Föderalismus in Deutschland გერმანული „სამოკავშირეო-სახელმწიფო ფედერალიზმის განვითარების გზები“) გერმანული ფედერალიზმის შექმნის ფაქტორთა შორის აგრეთვე ასახელებს მოკავშირეთა ნებას. იგი აღნიშნავს ამ ნებისადმი გერმანელების წინააღმდეგობის ფაქტსა და მექანიზმს: თუმცა მოკავშირეთა მიერ ლიცენზირებული „ლანდები“ („მიწები“, ქვეყნები) არსებობდნენ და თუმცა მათი ჩართულობა ერთიან სახელმწიფოში, რომლის ერთიანობა მარტოოდენ სამართლის ერთობაშიღა მდგომარეობდა, სიმბოლურიღა იყო, ისინი მაინც „ვერ არღვევდნენ ეროვნული ერთიანობისმიერ ტაბუს“, ეს მათ „სეპარატიზმის ბრალდებას მოუტანდა“.

7. გერმანელთა პოზიციამ მათი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში, რომელმაც 1949 წლის შემდეგაც განაგრძო გავლენის მოხდენა გერმანიის სახელმწიფოებრივ ევოლუციაზე, ზემოთ აღნიშნული შიმიდის სიტყვით (გვ. 259), ის ნაყოფი გამოიღო, რომ „ნეგატიური შედეგები, რომლის იმედიც, შესაძლოა, ჰქონდათ მოკავშირეებს, გერმანულმა ფედერალიზმმა არ მოიტანა“.

ამგვარად, გერმანიის ფედერალური მოწყობა გამარჯვებულ მოკავშირეთა ნების გამოხატულებაა. ანალოგიურადვე (როგორც ეს ცნობილია საზოგადოებისათვის), საქართველოს ფედერალური მოწყობის გეგმა საქართველოში შეთხზული არაა: იგი რუსეთის მხარის ერთ-ერთი რეკომენდაციაა ჩვენს მიმართ და მისი მიზანიც, გერმანიის ფედერაციული მოწყობის წარმმართველი ერთ-ერთი მიზანივით, ჩვენი ქვეყნის დასუსტებაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს დასუსტება მისი შესაძლო აგრესიის აღკვეთისათვის კი არაა საჭირო, არამედ მისი თავდაცვისუნარიანობის დათრგუნვისათვის, რომელსაც იგი დღეს თავისი ტერიტორიისა და თავისი დამოუკიდებლობის გადარჩენისათვის ბრძოლაში საჭიროებს.

II. <u>გერმანიის მაგალითი (რამდენიმე დეტალი და ანალოგია)</u>

გამარჯვებულ მოკავშირეთა მისწრაფება გერმანიის ფედერალიზაციისაკენ, რომელიც მით უფრო მცირდებოდა, რაც უფრო საჭირო ხდებოდა მათთვის გერმანია დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების გამწვავებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი ფაქტორი იყო გერმანიის მოწყობის პროცესში. თვით გერმანულ საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა განწყობილებები, ოპტიმიზმისა და პესიმიზმის სხვადასხვა ზომა და გართულებების წინაშე შიშის სხვადასხვა ხარისხი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ჯერ გერმანული უნიტარიზმის (სახელმწიფოს ერთგვაროვნების) თუ ფედერალიზმის მომხრეთა არგუმენტები, შემდეგ – მოტივები, რომლებიც საფუძვლად ედო ამ არგუმენტებს, და ბოლოს, საზოგადოების ან მისი ამა თუ იმ ნაწილის მიერ აღიარებულ ღირებულებათა ის სისტემები, რომელთა ფონზეც და წიაღშიც გაჩენილია ეს მოტივები. ამის გათვალისწინება გვმართებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გერმანიის ვითარებას ჩვენსასთან მრავალი ანალოგია აქვს (მაგალითად, გერმანია საქართველოსავით ისტორიულად მრავალი სამეფო-სამთავროებისაგან შემდგარი ქვეყანაა), მეორეც, იმიტომ, რომ გერმანიაში ზემოხსენებული სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესში ჩატარებულია მრავალი ისეთი ანალიზი და გაანალიზებულია პროცესის და მომავლის მრავალი ისეთი მხარე, რომელსაც საქართველოში ანალიტიკური აზრი ჯერ ოდნავადაც არ შეჰხებია, მათ შორის, რა თქმა უნდა, არც კონსტიტუციაზე მომუშავე ჯგუფის აზრი.

გერმანული ფედერალიზმისა და უნიტარიზმის მომხრეთა არგუმენტები შეგვიძლია ურთიერთსაწინააღმდეგოდ ასე დავალაგოთ:

ფედერალიზმის არგუმენტები:

ა)დასავლელი მოკავშირეები არ დაეთანხმებიან გერმანიის უნიტარულ მოწყობას (ეს კონი-

უნიტარული საბუთი უკვე ვახსენეთ ზემოთ);

ბ) გერმანიის უნიტარისტულმა განვითარებამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბისმარკმა 1866-71 წლებში და დააგვირგვინა ჰიტლერმა გერმანიის სრული უნიტარიზაციით, 1945 წლის კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა;

გ) ფედერალური წყობა უნიტარულს სჯობია დემოკრატიულობის მხრივ. მასში უფრო მაღალია საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის მონაწილეობის ხარისხი.

ფედერალისტთა ამ საბუთის წინააღმდეგ, ჯერ ერთი, ის მარტივი მოსაზრება არსებობს, რომ „მიწებიც“ (ქვეყნები, „ლანდები“) გერმანიაში მრავალმილიონიანია და რიგითი მოქალაქის როლი ამით პრინციპულ ზრდას არ განიცდის. უფრო საყურადღებოა ჩვენთვის სხვა არგუმენტი ფედერალისტთა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ: ფედერალისტების მადეცენტრალიზებელი ტენდენცია თურმე „მიწების“ დონეზე ჩერდება. ამ ერთეულების შიგნით ისინი უმრავლეს შემთხვევაში მკაცრი ცენტრალიზმის მომხრენი არიან. (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრომა გვ. 117-118).

დ) ფედერალიზმი ანუ „ქვეყნების“ (მიწების) მაქსიმალური თავისთავადობა ამავე დროს „პასუხისმგებლობის“ სკოლაა და, ამგვარადაც, ხალხის „დემოკრატიული აღზრდის“ საშუალებაა:

ე) ფედერალური მოწყობა უკეთაა მორგებული კონფესიური ჯგუფების დაცვის ინტერესებს;

ვ) ფედერალიზმი საერთაშორისო ასპარეზზე ხელს უწყობს მშვიდობას, უნიტარიზმი (ზოგადეროვნული სახელმწიფოს სიძლიერე) – კონფლიქტებს.

უნიტარული ტენდენციის სასარგებლოდ მიმართული არგუმენტებია:

ა) სამართლისა და მეურნეობის ერთიანობისათვის (ერთი და იგივე კოდექსები, ერთიანი მეურნეობა) უნიტარული სახელმწიფო უფრო მორგებულია;

ბ) უნიტარული სახელმწიფო უფრო მორგებულია გერმანიის გარეთ მყოფ გერმანელებზე ზრუნვისათვის;

გ) მიწები („ლანდები“, „ქვეყნები“), როგორც პოლიტიკური სიდიდეები, ისტორიულად უკვე გადალახული საფეხურია ერის ორგანიზაციისა. სამართლის და მეურნეობის სფეროში ერის ერთიანობის მოთხოვნილება, რაც გარდუვალია, კონსტიტუციის სუბიექტად უნდა ხედავდეს ხალხს მის მთლიანობაში;

დ) მეცნიერება-ტექნიკის და მედიცინის განვითარება, კრიმინალური ხიფათის ზრდა, გერმანიის ჩაბმა მსოფლიო ვალდებულებებში, თავდაცვითის ჩათვლით, პრაქტიკულად ზრდის ბუნდის ამოცანებს (შმიდი, ციტ. შრ. გვ. 254). გარდა ამისა, საჭიროა „ცხოვრების პირობათა ერთგვაროვნობის“ მიღწევა მთელს გერმანიაში, რაც მხოლოდ ბუნდის (ცენტრის) ძლიერების შემთხვევაში შეიძლება;

ე) უმთავრესი არგუმენტი – რომ სახელმწიფოს უნიტარობა მისი ერთობლივი ძლიერების და როგორც პარტიკულარიზმისაგან, ისე სეპარატიზმისაგან მისი დაცვის საშუალებაა – იგულისხმება, მაგრამ მის მკაფიო ექსპლიციტურ ფორმაში გამოთქმას ავტორები ერიდებიან ზემოხსენებულ გარემოებათა გამო. ამ ფაქტორის მონაწილეობას უნიტარიზმის მხარეთა პოზიციის განსაზღვრაში, როგორც ფაქტს, მაინც აღნიშნავენ.

ფედერალიზმისა და უნიტარიზმის მოტივები გერმანიაში თავისი ფესვებით, ერთის მხრივ, ისტორიაში მიდის, მეორეს მხრივ, აწმყო მძიმე ვითარებითაა განსაზღვრული. შმიდის დახასიათებით (ციტ. შრ. გვ. 248), ფედერალიზმის მომხრეთა განწყობილებას, ნაწილობრივ მაინც, ის კვებავდა, რომ მათ გერმანია სხვაგვარად, თუ არა ფედერალურად, არც კი ჰქონდათ წარმოდგენილი (და იგი მართლაც ყოველთვის ფედერალური იყო თავისი ისტორიის მანძილზე გარდა 1933-45 წლებისა), მეორეს მხრივ, ისტორიზმი კვებავს უნიტარისტების განწყობილებასაც. მაგალითად, ზემოთ ციტირებული ჰუნი (გვ. 47) აღნიშნავს, რომ უნიტარიზმის ერთ-ერთ აქტიურ დამცველს „ფინანსურ-ტექნიკური დეტალური საბუთიანების გვერდზე უნიტარისტულად გამიზნული საგადასახადო სისტემის დასაცავად ყოველთვის თანანაგულისხმევი და მომზადებული ჰქონდა ინტენსიური ისტორიული დასაბუთება, რადგან მისი ხედვა ისტორიისა უნიტარისტული იყო“. განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის ისაა, რომ პირველნი ამოდიოდნენ ისტორიის ფაქტოლოგიიდან, ანუ იქიდან, რაც იგი რეალურად იყო, ფედერალურად მოწყობილი გერმანიის სახით, მეორენი კი ტელეოლოგიიდან, ანუ იმ მიზანთსახვიდან, რომელზედაც გერმანული ისტორია იყო აგებული, სახელდობრ, გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ისტორიული მიზნიდან. ეს ვითარება თვალში საცემად ანალოგიურია საქართველოს მდგომარეობისა თავის ისტორიასთან მიმართებაში და ჩვენს ყურადღებას წარმართავს იმ აქსიოლოგიური სისტემებისადმი ანუ ქვეყანაში აღიარებულ ერთიან ან განსხვავებულ ღირებულებათა სისტემებისადმი, რომლებიც ზემოხსენებულ მოტივაციებს საფუძვლად უდევს. აქ, გერმანულსა და ქართულ ვითარებას შორის სიახლოვესთან ერთად, არსებითი განსხვავებაცაა, მაგრამ სანამ ამ უკანასკნელს შევეხებოდეთ, რამდენიმე ნაწყვეტის ციტირება გვინდა იმ მადემორალიზებელი ვითარების შესახებ, რომელიც იწვევს ზოგად პესიმიზმსა და აპათიას, სახელმწიფოს მოწყობის თემისადმი დამოკიდებულების ჩათვლით, და ამ მხრივაც ჩვენი ქვეყნის ვითარების ანალოგს წარმოადგენს

III. <u>საკითხისადმი დამოკიდებულება გერმანიის კატასტროფის ხანაში</u>

მხედველობაში გვაქვს შეერთებული შტატების ერთ-ერთი სპეც-სამსახურის მოხსენება გერმანიის ვითარებაზე 1944 წლის ბოლოს და 1945 წლის პირველ თვეებში (Zwischen Befreiung und Besatzung, Wuppertal, 1976, გვ. 139-144).

აქ სხვათა შორის ვკითხულობთ:

„სხვადასხვა წყაროთა ცნობები გვიჩვენებენ გერმანელთა უმრავლესობის აპათიურ, უინტერესო ან სულაც უარმყოფელ დამოკიდებულებას ყოველგვარი პოლიტიკური საკითხებისადმი. მაგრამ ბოლო დროს ჩნდება იმის ნიშნები, რომ ბევრნი ინტენსიურად ფიქრობენ იმაზე, რა ბედი ელით ომის შემდეგ, ამასთან, საკმაოდ ნათლად იაზრებენ იმასაც, თუ როგორი იქნება ოკუპაცია მოკავშირეთა მიერ და რა ცვლილებებს შეიტანს იგი მათი სახელმწიფოს ზომასა და სტრუქტურაში“...

(ბოლო თვეების გამოკითხვა) „გვიჩვენებს, რომ გერმანელები დამარცხების შედეგად მოელიან, სულ ცოტა, მოკავშირეთა მიერ ოკუპაციას და გეოგრაფიულ ცვლილებებს. ეს განწყობა ყველაზე მეტად გერმანიის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში სუფევს. უფრო დაწვრილებითი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამის უკან სხვადასხვა წარმოდგენათა ნარევი იმალება, მაგ., რომ ოკუპაცია გარდუვალია, ტერიტორიების დაკარგვა აღმოსავლეთში – გარდუვალი და შინაგანი ცვლილებები სამხრეთსა და დასავლეთში – ალბათი. რაიმე ნათელი და კონსტრუქციული პოლიტიკური მიმართულება არ ჩანს. ხსენებული სათუო წარმოდგენები, უფრო, თავდაცვითი მიზნების ამსახველია. მათი საფუძველია იმედი, ეგებ დამარცხების შედეგებს დავუძვრეთო. სხვადასხვა სოციალურ ფენათა და ჯგუფთა შეხედულებები მკაფიოდ განსხვავებულია. საშუალო და ქვედა ფენები პირველ ყოვლისა პირად უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, იმედი აქვთ, რომ შეძლებენ თავისი სამეურნეო და პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნებას.

„...გერმანული ნაციონალიზმის ისტორიის და ნაცისტთა პრეტენზიის შუქში, გერმანიის გაერთიანების ბისმარკის მიერ დაწყებული საქმე დავაგვირგვინეთო, ქვეყანათა (მიწათა) სულისკვეთების და ტომობრივი ცნობიერების ეს გაცოცხლება... მოულოდნელი ჩანს.

„...უდავოა, რომ რეგიონალიზმს ღრმა ფესვები აქვს ცალკეულ მიწათა (ქვეყანათა) ისტორიაში, რომელნიც გერმანელ ერად შეიკრნენ. სამეფო-სამთავროები, რომლებითაც ერთ დროს მოფენილი იყო გერმანული რუკა, ნელ-ნელა გაქრა პრუსიის დიდ სახელმწიფოდ აღზევებისა და მათი სოციალური და სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულობის ზრდის კვალდაკვალ“. (ფედერალური სახელმწიფო ერთიანობის მიღწევის შემდეგ 1871 წელს) „ცალკეულ გერმანულ ქვეყანათა დამოუკიდებელი პოზიცია ცენტრალური სახელმწიფოს (რაიხის) მიმართ უფრო და უფრო სუსტდებოდა <u>საზოგადოებრივი აზრის წყალობით, რომელიც ერთიანობის მომხრე იყო</u> (ხაზი ჩემია. ნ.ნ.) და მზარდი ურთიერთკავშირის გამო, რომელიც მათ ჰქონდათ მართვისა და ეკონომიკის სფეროში. ნაცისტების მიერ ჩატარებული ტოტალიტარული რეფორმების წყალობით მართვისა და ეკონომიკის სფეროში ამ მცირე სახელმწიფოებმა პრაქტიკულად მნიშვნელობა დაკარგეს და ხელოვნურ ოდენობებადღა დარჩნენ“.

მაგრამ რეგიონალური და პარტიკულარისტული შეხედულებები მაინც დარჩა. ისინი, პირველ ყოვლისა, „დინასტიური ტრადიციებიდან მომდინარეობენ, რომლებიც დღეს მიწათა (ქვეყანათა) ბიუროკრატიების კერძო ინტერესებში განაგრძობენ სიცოცხლეს. ამასთანავე, მნიშვნელობა აქვს კულტურისეულ სხვაობებსაც ენაში, წეს-ჩვეულებებში, კერძებში და ა.შ., რაც თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. ამ ფაქტორების კომბინაციამ განსაკუთრებით ძლიერი კერძო რეგიონალური ცნობიერება შექმნა ბავარიასა და რაინის მხარეში, რომელიც ზოგჯერ სახელმწიფოსაგან გამოყოფის საშიშროებასაც კი ქმნიდა...“

მომხსენებელთა აზრით, რეგიონალური განწყობილებები ძირითადად ორი ფორმით არსებობს: დაუნაწევრებელით და დანაწევრებულით.

პირველი „არ შეიცავს ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს გერმანიის შიგნით დამარცხების შემდეგ, იგი, უფრო, იმაზე მეტყველებს მხოლოდ, რომ ადამიანები მოკლებულნი არიან თავისი თავის იდენტიფიკაციას სახელმწიფოსთან (ხალხთან) მის მთლიანობაში და ფატალისტურად არიან შერიგებულნი როგორც ოკუპაციას,ისე ტერიტორიულ დანაკარგებს. „ჩვენ ისე არა ვართ სახელმწიფოს (რაიხის) ცნობიერებით შეპყობილნი, როგორც ამას ნაცისტური პროპაგანდა ან მოკავშირეთა მიერ ჩატარებული დაკითხვები მეტყველებენო. უფრო მეტიც: აღმოსავლეთში ტერიტორიების დაკარგვასთან და სხვა პოლიტიკურ ცვლილებებთან, რაც გერმანიაში შეიძლება მოახდინონ, შერიგებულნი ვართ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ოლქში (Gebiet) პირადი სამეურნეო უსაფრთხოების მინიმუმი დაცული იქნებაო“.

მეორე ფორმა თუმცა ამავე წანამძღვრებიდან ამოდის, მაგრამ გარკვეულ შინაგან ცვლილებებს გერმანიაში სასურველად მიიჩნევს.

„განსხვავება ამ ორ ფორმას შორის ემყარება განსხვავებას იმ ჯგუფთა შორის, რომელთათვისაც ეს განწყობები ტიპიურია. დაუნაწევრებელი ფორმა, ჩვეულებრივ, ახასიათებს ქვედა და საშუალო ფენებს – გერმანელთა იმ ამორფულ უმრავლესობას, რომელიც უნარმოკლებული ჩანს განივითაროს რაიმე პოლიტიკური წარმოდგენები, და სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა თავისი პირადი ბედისა. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა კლასისა და პროფკავშირების პოლიტიკურად შეგნებულ წარმომადგენელთა შეხედულებები არაა ასახული იმ გამოკითხვაში, რომელსაც წინამდებარე განზოგადებები ემყარება“.

„რეგიონალიზმის დანაწევრებულ ფორმას გამოხატავენ მოხელეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები და საქმოსნები დასავლეთსა და სამხრეთ გერმანიაში. ამ ადამიანთა უმრავლესობა თავისთავს უწოდებს ანტინაციისტებს. მაგრამ მათი ნალაპარაკევიდან ცალსახად ჩანს, რომ თავიანთი ოლქების დამოუკიდებლობას ისინი ესწრაფვიან პირველ ყოვლისა გარკვეული პოლიტიკური და სამეურნეო ინტერესების გამო, ისევე როგორც მთელ გერმანიაში შესაძლო რევოლუციური ცვლილებების შიშის გამო, რომლებიც ამ კერძო ინტერესებს დააზარალებენ“...

„სამხრეთის და დასავლეთის გერმანელები მზად არიან ჩამოწერონ მთელი გერმანია ოდერის ჩრდილოეთით, თუ ამით თავს აარიდებენ დამატებით ტვირთს იმის ზევით, რაც მაინც მოელით დამარცხების შედეგად“.

„... გერმანიის სამხრეთი და დასავლეთი ოლქები ტრადიციულად დასავლეთზე იყო ორიენტირებული. მოსახლეობის ახლა ამ ორიენტაციის გაძლიერება უნდა და მზადაა [illegible] გერმანიის გასაყრ[illegible] სჭირდება მათი თავის გადარჩენას“.

„ისინი, ვისაც გერმანიის რეგიონალური მოწყობის დეტალური გეგმა აქვთ შემუშავებული, ასეთივე მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ, მაგრამ არის სხვა საფუძვლებიც, რომელთა გამოც ისინი ამა თუ იმ წარმოდგენებს იცავენ. ერთი უმცირესობა, რომელსაც დინასტიური ტრადიციის აღდგენა ჰსურს, პირდაპირ სეპარატიზმს ემხრობა: სხვები, - ალბათ, უმრავლესობა - ესწრაფვიან ავტონომიურ მმართველობას სახელმწიფოს (რაიხის) ჩარჩოში; კიდევ სხვანი არჩევენ რაინის მხარის (რაინლანდის) ფედერაციულ გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე სამხრეთ მიწასთან“.

ამ აღწერიდან ჩანს, ჯერ ერთი, ის, რომ სოციალური და ზოგადეროვნული უბედურებით გამოწვეული აპათია პოლიტიკური პრობლემებისადმი, რასაც დღეს საქართველოში ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა არ ყოფილა (მაგრამ ეს სხვათა შორის). მეორეც, ჩანს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობა და, მით უმეტეს, სახელმწიფოს უნიტარული ტერიტორიული მოწყობა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების წყარო, ის ღირებულებებია, რომლებსაც განსაცდელის გამო აპათიაში ჩავარდნილი მოქალაქე ერთ-ერთს ყველაზე პირველს თმობს. მესამეც, ჩანს, რომ გერმანიის მიწებში (ქვეყნებში) არის პარტიკულარისტულად განწყობილი ფენა და ამ პარტიკულარიზმს, საქართველოსაგან განსხვავებით, თავისი ლოგიკა (თავისი იდეოლოგია) აქვს. ჩანს აგრეთვე (და ეს მეოთხეა), რომ ფედერალისტურ ცნობიერებას და სოციალურ მდგომარეობას შორის შესაძლებელია კანონზომიერი კავშირი არსებობდეს და შესაძლოა მეორე პირველისათვის განმსაზღვრელი იყოს. ახლა, თქმულის გათვალისწინებით, მივუბრუნდეთ გერმანიაში ფედერალისტური და უნიტარისტული აზროვნების ზემოდასახელებულ მესამე კომპონენტს - აქსიოლოგიურ (ღირებულებრივ) სისტემას, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ მოტივთა და არგუმენტთა ფონს ქმნის.

IV. <u>ღირებულებათა სისტემა, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი (ჩვენს საკითხში)</u>

ზემოხსენებული მკვლევრები და მიმომხილველები იმის ნათელ სურათს ხატავენ, რომ ფედერალისტებისა და უნიტარისტების მიერ გამოყენებული მრავალგვარი არგუმენტაციის უკან მათი მრავალგვარი ღირებულებრივი პოსტულატების განსხვავებულობა დგას. პირველი სხვაობაა ის, თუ რომელია ამ ჯგუფთათვის ღირებულებრივად უპირატესი - სახელმწიფოს ძლიერების და მისი ერთ-ერთი წყაროს, ერთიანობის ინტერესები თუ მიწის (ლანდის) დამოუკიდებლობის ხარისხი? მეორე სხვადასხვაობაა: რომელია პირველი ღირებულებრივი ორიენტირი - პოლიტეიის (გინდ სახელმწიფოს და გინდ ლანდის) ინტერესი თუ მოქალაქეთა სხვადასხვა ინტერესები, მათი დემოკრატიული თავისუფლების ჩათვლით? თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ფედერალ-

ისტების მისწრაფება დეცენტრალიზაციისაკენ ჩერდება ფედერაციის სუბიექტის (ლანდის) დონეზე და მის ქვემოთ აღარ მიდის (თვით ლანდების მაქსიმალურად ცენტრალისტური ორგანიზაციის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ), მაშინ ხსენებული ორი სხვადასხვაობა ერთზე დადის: უმაღლესი ღირებულება ენიჭება ან სახელმწიფოს მის მთლიანობაში, ან ფედერალურ ერთეულს, და ეს უკანასკნელი ინტერესი ფორმულირდება როგორც ლანდის („ქვეყნის") დამოუკიდებლობის ხარისხი, ლანდისათვის „ჩამოყალიბების" შესაძლებლობა და ა.შ.. თუ რამდენად ღრმა არის ღირებულებრივი ორიენტაციის ეს სხვაობა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მსჯელობა (კამათი) ეხება არა მხოლოდ ლანდების „საკუთარი სახელმწიფოებრიობის" ხარისხს ან მისი ქონა-არქონის ფაქტს, მით უმეტეს - არა მართვისათვის ოპტიმალური ზომის ერთეულთა შექმნას, არამედ იმას, თუ ვისია „პირველადი სუვერენობა" და „ორიგინალური" (ანუ ამოსავალი) უფლებამოსილებანი ანუ უფლებათა წყაროდ ყოფნის, ნების პირველად სუბიექტად ყოფნის ფუნქცია. ფედერალისტური თვალსაზრისი ბუნდს ლანდების დაფუძნებულად ხედავს მისთვის თავისი უფლებამოსილებების ერთი ნაწილის გადაცემის გზით, რაც იმას ნიშნავს **ლოგიკურად**, რომ მოქალაქეს თვითინდენტიფიკაცია ჯერ ლანდთან უნდა ჰქონდეს და მერე (მეორადად) - ბუნდთან („ჯერ ბავარიელი ვარ და მერე -გერმანელიო"), მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს ამასვე **რეალურად**, ანუ ადამიანთა ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში ცენტრიდანული და ცენტრისკენული განწყობილებების თვალსაზრისით ან ლანდისა თუ სახელმწიფოსადმი მათი შინაგანი ბმულობის ხარისხის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელთა ბალანსი ან ერთ-ერთის უპირატესობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და თვით საკითხიც კი – ბალანსი გვაქვს ამ ორ ღირებულებას შორის თუ უპირატესობას ვაძლევთ ერთ-ერთს? – ყოველთვის ნათელ გაცნობიერებამდე არ მიდის, ვინაიდან სეპარატიზმის, პარტიკულარიზმის, სახელმწიფოს დასუსტების (თუნდაც მხოლოდ სამხედრო დასუსტებაზე იყოს ლაპარაკი) და სხვა ანალოგიურ ხიფათთა დაძლევის ამოცანა სრულებითაც არაა მიჩნეული - ნათელი ცნობიერების დონეზე -ფედერალიზმთან შეუთავსებელ ამოცანად. ფედერალიზმის მომხრენი არც თუ იშვიათად მიიჩნევენ, რომ ფედერალიზმი არ ნიშნავს სიმპათიას ან დამთმობლობას პარტიკულარიზმისადმი და, მით უმეტეს, სეპარატისტისადმი.

ჩვენთვის საინტერესოა, რა სიძლიერისა და მნიშვნელობისა აღმოჩნდა გერმანიის ის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ვითარება, რომელიც ციტირებულ მოხსენებაშია აღწერილი, ერთის მხრივ, და მოკავშირეთა მტკიცე ფედერაციონალისტური პოლიტიკა, მეორეს მხრივ, გერმანიის მდგომარეობის განსაზღვრაში. ამ კითხვის პასუხი ასეთი გახლავთ: გერმანიის იმ კანონმდებელ კრებაში, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი შეადგინა მოკავშირეთა ზემოხსენებული გავლენის ქვეშ, ფედერალისტურმა განწყობამ გადამწყვეტი გამარჯვება **ვერ** მოიპოვა. ისევ ციტატი: „პარლამენტურ საბჭოში იმის თაობაზე ერთსულოვანნი იყვნენ, რომ საოკუპაციო ძალების გამონათქვამი მხედველობაში კი მიეღოთ, მაგრამ კონსტიტუცია მაინც საკუთარი წარმოდგენების მიხედვით შეემუშავებინათ და მოკავშირეებისათვის შემდეგღა დაეჭერინებინათ ესა თუ ის პოზიცია კონსტიტუციის პროექტისადმი მთლიანად" (ჰუნი, ციტ. შრ. გ. 31). შედეგიც შესაბამისი იყო: „გერმანიის სახელმწიფომ თავისი ქმედუნარიანობა დაამტკიცა და ისეთი პოლიტიკის წარმოება შეძლო, რომელმაც მსოფლიოში პატივისცემა მოუპოვა. ნეგატიური შედეგები, რომელთა იმედიც ჰქონდათ, შესაძლოა, 1949 წელს ზოგ-ზოგ გამარჯვებულ ძალებს, არ დადგა" (შმიდი, ციტ. შრომა, გვ. 259). გერმანიის კონსტიტუციისმდებელმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია, რომლითაც გერმანული სახელმწიფო ჩამოყალიბდა „კოოპერატიული ფედერალიზმის", ინტეგრაციულ-ფედერალისტური სისტემის სახით (რას ნიშნავს ეს ტერმინები, ქვემოთ განვმარტავთ) და გერმანიის როგორც კანონმდებელმა, ისე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ **მოინდომეს** ამ კოოპერაციის განხორციელება". (განახორციელეს კიდეც). თვით კონსტიტუციის ტექსტშივე, ამ ხელისუფალთა სურვილის პარალელურად, ჩადებული იქნა იმის ჩანასახი, რომ გერმანია ცენტრალიზმისკენ განვითარებულიყო და იგი განვითარდა კიდეც ამ მიმართულებით, რის კონსტატაციაშიც ზემოხსენებული მიმომხილველნი და მკვლევარნი (განურჩევლად მათი დამოკიდებულებისა ფედერალიზმისადმი) ერთსულოვანნი არიან. დავიმოწმებთ მათ: „გერმანიის ფედ. რესპუბლიკის განვითარება ადასტურებს თეზისს, რომ ინტეგრალურ-ფედერალური სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა წანამძღვარია ფედერაციული პოლიტიკური სისტემისათვის". ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი გამოკვლევები ფედერალიზმის შესახებ გამუდმებით „მიგვითითებენ დემოკრატიული ინდუსტრიული საზოგადოების გამათანასწორებელ ტენდენციაზე, თანამედროვე საზოგადოების მობილურობაზე, სამეურნეო დინამიკის სიფართესა და ცენტრალიზაციის ტენდენციაზე, სოციალურ-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო-ინტერვენციონისტური პროცესების გამაერთიანებლ და მაცენტრალიზებელ ხასიათზე, ზოგადად - ინდივიდებისა და ჯგუფების ტერიტორიული განსაზღვრულობების დასუსტებაზე მათი საგნობრივ-ფუნქციონალური ბმულობის პირისპირ. თანამედროვე ინდუსტრიულ ერებში ფედერალიზმი აუცილებლობით კარგავს თავის არსს და ფორმალურ-ფედერალურ სტრუქტურებს, თუკი მათ, სულაც, სცნობენ, ის ფუნქციაღა რჩებათ, რომ შეარბილონ „მაცენტრალიზებელი და გამათანაბრებელი გავლენები თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოს მხრიდან", რათა იმგვარად დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, რომ არ გააძნელონ ერთიანი სამეურნეო და საცხოვრებელი პირობების შექმნა მოცემულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში". (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრ. გვ. 120). „თანამედროვე სოციალური სახელმწიფოსკენ განვითარების უნიტარისტულმა ტენდენციამ გფრ-ში ბუნდისა და ლანდების კონკურენტული კანონმდებლობის სფეროში მიგვიყვანა ბუნდის კომპენტენციის მნიშვნელოვან გაფართოებამდე". (იქვე. გვ. 121)

„გფრ-ის საკუთარი დინამიკა ფედერალური სტრუქტურების შესუსტებისაკენ... მიდის. გფრ დიდად ცენტრალიზებულ ძალისმატარებელ სახელმწიფოდ (Machtstaat) ჩამოყალიბდება. ანუ მოხდება სწორედ ის, რისი ხელშეშლაც მოკავშირეებს უნდოდათ". (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრ. გვ. 124). ჰანი და ჰოლშერის აზრით (ციტ. შრ.გვ. 119), „მიუხედავად კონსტიტუციაში ფედერალური წყობის შეცვლის აკრძალვისა, მაინც ცხადია, რომ გფრ სწრაფად მიემართება დეცენტრალიზებულ ფედერალფასადიან ერთიან სახელმწიფოდ ქცევისაკენ".

„კომპეტენციათა გადასვლა ლანდების კანონმდებლობიდან ბუნდისაზე" უმეტეს შემთხვევაში მოხდა ლანდების თანხმობით, რომელთაც თავისი ორიგინალური (პირველადი) უფლებები დათმეს და დაკმაყოფილდნენ „ბუნდესრათის გზით საკანონმდებლო თანამონაწილეობის უფლებით" (G.B. Oschatz, „Föderalismus in Deutschland". კრებულში „Politik und Geseltschaft in Deutschland, კოლნი, 1994).

აღნიშნულ განვითარებას ერთი დიდად მნიშვნელოვანი და დიდად სიმპტომატური შედეგიც აქვს. გერმანიის ფედერალური წყობის პირობებშიც გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის (მით უმეტეს - მასში პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის) ყოველგვარი საშიშროების ფაქტობრივად მოხსნამ განაპირობა ფედერალიზმისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა. თუ კონსტიტუციის მიღების წელს (1949) ფედერალურ წყობას იწონებდა პრინციპში მოსახლეობის 17%, დღეისათვის ეს პროცენტი 70-ზე ავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამშვიდებამ ზემოხსენებული ხიფათის თაობაზე საშუალება მისცა მოსახლეობას, თავისი განსჯა წარმართოს მართვის იმ, ასე ვთქვათ, ტექნიკურ-საგნობრივი პლუსების მიხედვით, რომელსაც იგი ფედერალისტურ სისტემაში ხედავს. ჩვენთვის (ქართველებისათვის) არსებითი ისაა, რომ ეს გამარჯვებულთა - ფიგურალურად რომ ვთქვათ, სამშვიდობოს გასულთა - თვალსაზრისია, რომელიც ჩვენს რეალურ ვითარებას დღეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ შეესაბამება.

V. გერმანიის შესაძლებლობანი და საქართველოს შესაძლებლობანი. პერსპექტივათა შედარებითი ანალიზი

ის დიდმასშტაბიანი ხდომილება ისტორიის პოლიგონზე, რაც განხორციელდა გერმანული ფედერალიზმის შექმნისა და უკვე თითქმის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების სახით, საქართველოსათვის დიდად საყურადღებოა. ამიტომ ზედმეტი არაა, მომავლის შესაძლებლობათა პროგნოზირების ინტერესებში, მდგომარეობის საერთო და განსხვავებული მახასიათებლები გამოვყოთ. ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ პროგნოზირების ეს ამოცანა არამეცნიერული არ არის. იგი მეცნიერულ გათვლაზეა დამოკიდებული. იგი, ისევე როგორც ე.წ. გონისმეცნიერებებთან და, საერთოდ, ჰუმანიტრულ სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკითხთა შემთხვევაში, გულისხმობს ე.წ. **გაგების** მეთოდის მიყენებას, ანუ ადამიანებისათვის (აზროვნებისა და განცდის მათეული წესისათვის) საყოველთაოდ და გარდუვალად („აუცილებლობით") დამახასიათებელი მიზანთსისტემების, ღირებულებათსისტემების, მოთხოვნილებათსისტემების, შიშთა და თავდაცვის მოდელთა სისტემების აღრიცხვას, კონკრეტულ პირობებთან მიყენებას და მათი ურთიერთმოქმედებების გათვლას, რაც, მეტაფორულად რომ ვთქვათ, საშუალებას გვაძლევს, შესასწავლ ადამიანთა და მასათა „ადგილას დაედგეთ", რითაც, საბოლო ჯამში, განვსაზღვრავთ, თუ როდის როგორ მოიქცევიან ისინი. ადამიანთა მასობრივი პოლიტიკური ქცევა წინასწარმეტყველებისათვის ამ პროცედურის ჩატარება ფუფუნების საგანი კი არაა, არამედ აუცილებელია. მათი განხილვა ე.წ. „შავ ყუთებად" ანუ ისეთ ობიექტებად, რომელთა ქცევა ვიცი, მაგრამ შიგნით მის მექანიზმებში ვერ ვიხედები, უპერსპექტივო გახლავთ, სხვა თუ არაფერი, იმ უბრალო მიზეზით მაინც, რომ „შავ ყუთებად" განხილვის ნაყოფიერება მხოლოდ დაკვირვების ობიექტის ქცევის სრული რეგულარობის (კანონზომიერი განმეორებადობის) პირობებშია შესაძლებელი, რაც ისტორიაში არ ხდება.

ჩამოვთვალოთ ზემოხსენებული მსგავსებანი და განსხვავებანი:

ა) არსებითი და გერმანიისათვის სპეციფიკურია, საქართველოსთან მიმართებით, ის, რომ გერმანიაში ლანდების სახელმწიფოებრიობის და მათი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების იდეოლოგია არსებობს, ანუ ეს შესაძლებლობები განიხილება არა მხოლოდ არსის პლანში, როგორც სახეზე მყოფი, არამედ ჯერ-არსის პლანშიც, ანუ როგორც ისეთი რამ, რაც უნდა იყოს, რაც ჯერ-არს, რომ იყოს. საქართველოში არავინ ამბობს დღეს, რომ საქართველოს ისტორიული პროვინციები ან სხვა რამ წესით გამოცალკევებული ტერიტორიები არა მხოლოდ **იყო** ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივად (რასაც პროგრესული ქართველი პოლიტიკოსებიც ებრძოდნენ), არა მარტო **არიან** ან შესაძლოა ოდესმე აღმოჩნდნენ ჩამოყალიბებულნი ამ წესით, არამედ **უნდა** იყონ, **ჯერ არს**, რომ იყონ ასეთად. ამ მხრივ გერმანიის ერვნული ცნობიერება უფრო დეცენტრალიზებულია, ვიდრე ქართული.

ბ) მეორე და თითქოსდა ამავე მიმართულებით მოქმედი განსხვავებაა შემდეგი: როგორც ვიხილეთ ზემოთ, გერმანიაში არსებობს ფენა (ან ფენები), რომლებიც დეცენტრალიზაციას ესწრაფვიან, ლანდების ყოფილი მმართველი ბიუროკრატიის სახით, საქართველოში კი ასეთი ფენა არ არსებობს. მაგრამ იგივე ფაქტი მეტყველებს, რომ დეცენტრალიზაციის მომხრე ფენა საქართველოშიც შეიძლება გაჩნდეს და აუცილებლად გაჩნდება, როგორც კი ფედერაციის მმართველი ადგილობრივი ბიუროკრატია ჩაისახება (ეს პროგნოზი სოციალურ სფეროს ეკუთვნის). ამ ალბათობისა და ამ ბიუროკრატიის შეფარდებითი ძალის შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მისი კორუმპირებულობის ხარისხიც (რომელიც გერმანიაში პრაქტიკულად ნულოვანია) და გერმანიაში დიქტატურის ფორმად დესპოტიის (ანუ ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობისა და ყოვლისწამლეკაობის) არარსებობის, საქართველოში კი მისი ღრმად დამკვიდრებულობის ფაქტიც. (ესეც სოციალური და პოლიტიკური პროგნოზი გახლავთ). ამის იქით უკვე სოციალური ფსიქოლოგიის და აქსიოლოგიის (ღირებულებათმოძღვრების) სფეროსთან (ე.ი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სფეროსთან) დაკავშირებული, მაგრამ ისევ მეცნიერული პროგნოზი იწყება. მართლაც, რას წარმოადგენს ადამიანისათვის მისი ერი და ამ ერის სახელმწიფო? ეს არის ადამიანისათვის **მისიანების** (მასთან სისხლით, ენით, კულტურით, ისტორიით, ერთობლივი მრავალსაუკუნოვანი თავგადასავლითა და მომავლით დაკავშირებული ადამიანების) სამარადისო თვითდამკვიდრების და ამათ სახით - საკუთარი თავის სამარადისო თვითდამკვიდრების გზა, მაგრამ თვითდამკვიდრებისა არა ცარიელ სივრცეში ან უტყვი კოსმოსის პირისპირ, არამედ ისევ თავის მსგავსთა შორის, იმავე ძირითადი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით აღჭურვილ, იმავე ღირებულებებისაკენ მოსწრაფე და იმავე ღირებულებათა დაუფლებისათვის ურთიერთმებრძოლ არსებათა (ადამიანთა) შორის. ამ ადამიანთა კრებული არის კაცობრიობა. შესაბამისად, ადამიანი თავის თვითდამკვიდრებას კაცობრიობის (ანუ ადამიანთა მთელი სიმრავლის) პირისპირ ახდენს (და არა, ვთქვათ, თავისი სოფლის, თავისი ქალაქის, თავისი თანამოქალაქეების ან თუნდაც თავისი ქვეყნის მარტოოდენ უშუალოდ მეზობელი ქვეყნების პირისპირ). ის, თუ რა რაოდენობისა და პოტენციალისანი არიან მოცემული ადამიანის ეს „თავისიანები", განსაზღვრავს იმას, თუ რა მიზანთსახვით, რა განაცხადით, თუ შეიძლება ითქვას - რა „პრეტენზიით" დგება ეს ადამიანი, როგორც „თავისიანების" (თავისი ერის) ერთ-ერთი წარმომადგენელი და განმასახიერებლი, კაცობრიობის პირისპირ (მაგალითად, მისი პრეტენზიები ასეთი შეიძლება იყოს: „ჩვენც ვართ ერთ-ერთი სხვა ერთა შორის" ან: „ჩვენც ვართ ერთ-ერთი მოწინავე ერი სხვა ერთა შორის", „ჩვენ ვართ მეცნიერებისა და ტექნიკის მედროშე ერი", „ვართ დემოკრატიის მედროშე ერი", „ვართ იმპერიის მპყრობელი ერი და უნდა დავრჩეთ ასეთად" და ა.შ. და ა.შ) და პირუკუ – ის, თუ რა განაცხადით დგება ადამიანი თავის „თავისიანთა" ჯგუფითურთ კაცობრიობის პირისპირ, განსაზღვრავს იმას (სხვა ფაქტორებთან ერთად), თუ ვის და ვის, რამდენს და „თავისთან" რა ხარისხის სიახლოვით დაკავშირებულ თავისიანებს ჩათვლის ეს კაცი „თავისიანებად". აქ კი იწყება მესამე და, შესაძლოა, ყველაზე არსებითი განსხვავება გერმანელი ერის სტრუქტურას (და შესაბამისად, ფედერალიზმისადმი მის მიმართებას) და ქართველი ერის სტრუქტურასა (და, შესაბამისად, ფედერალიზმისადმი ჩვენს მიმართებას) შორის. სახელდობრ:

გ) ქართველი ერი თავისი რიცხოვნობით და დღევანდელი ადგილით მსოფლიო სისტემაში მცირე ერთა რიცხვს ეკუთვნის, თავისი ისტორიულად ჩამოყალ-

იბებული თვითცნობიერებით კი, რომელსაც ობიექტური საფუძველი თვით ისტორიაშივე და ისტორიის მიერ შექმნილ კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაშივე აქვს, მაშასადამე – თავისი სამომავლო განაცხადითაც კაცობრიობის პირისპირ – იგი გამორჩეულ ერთა რიცხვს ეკუთვნის. მართლაც, ის ფაქტი, რომ ქართველი ერი იმ მცირეთაგანია, ვისაც ქრისტიანობამდელი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა აქვს, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ფეოდალური ისტორიის პატრონია, ვინც თითქმის ერთადერთი მცირე ერია, რომელმაც დიდი ლიტერატურა შექმნა,ვინც თავისი ყოფითი კულტურითა და ღირსების ტრადიციული ხალხური კოდექსით (რომლის არსებობაც ახლა ბეწვზე კიდია) ერთ-ერთი ჰუმანიტარულად ყველაზე განვითარებული ერია და ვისაც, ამასთანავე, არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ასპარეზზე თავისი პოლიტიკურ-მილიტარული ბუნებრივი მონაცემების მაღალი ხარისხი, სავსებით საკმარისი ფაქტორია ერის თვითცნობიერების ზემოხსენებული მახასიათებლის ობიექტური დაფუძნებისათვის. ამიტომ – და <u>მხოლოდ</u> ამიტომ – არის, რომ თავის უდიდეს შინაგან მრავალფეროვნებას კუთხეთა მიხედვით ქართველი ერი თავის სიმდიდრედ თვლის და არა სისუსტედ, ფიქრობს და გრძნობს რა – სავსებით მართებულად, - რომ ერის ერთიანობას შინაგანი გაუდიფერენცირებულობა (ერთგვაროვნება) კი არ ქმნის, არამედ კაცობრიობის პირისპირ (ანუ მსოფლიოს სისტემაში) მისი ერთობლივი ამოცანის წონა, მასშტაბი და პრესტიჟი საკუთარსა და სხვის თვალში, და ასე იქნება მანამდე, სანამ ქართველ ერს საფუძველი აქვს, რაღაცის გამო, რომ თავისთავით იამაყოს და სამომავლოდ (ვთქვათ, საბოლოო განთავისუფლების შემდეგ) რაღაცა დიდი მიღწევების რეალური იმედი ჰქონდეს. გერმანელი ერის სტრუქტურა (აღნაგობა) სხვაგვარია. გერმანი ტომები ისტორიის მსოფლიო სისტემაში ჩაერთნენ ჯერ რომთან ბრძოლისა და სხვა მრავალგვარი ურთიერთობის პროცესში, შემდეგ, - რომისვე მემკვიდრეობასთან ურთიერთმოქმედებაში, მათ შექმნეს ფეოდალიზმი მისი კლასიკური ფორმით (უახლოესად ანალოგიური ჩვენს ფეოდალურ კულტურასთან), შემდეგ შექმნეს თანამდეროვე სამოქალაქო საზოგადოება და დღეს, როგორც მსოფლიოს მოწინავე ნაწილის (ევროპის) ერთ-ერთი მოწინავე ნაწილი, მსოფლიოს ეკონომიკური, მეცნიერული, ტექნიკური, კულტურული განვითარების ავანგარდში იმყოფებიან. ქართველთაგან განსხვავებით, გერმანელთა ისტორიულ განვითარებას (ანუ ძველიდან არსებობის ახალ-ახალ, პროგრესულ ფორმებზე გადასვლას) წყვეტა არა აქვს, შესაბამისად, მათ წინაშე არ დგას არც შექცევისაგან (უკუსვლისაგან) მათ მიერ უკვე მოპოვებული ისტორიული კაპიტალის დაცვის ამოცანა, თვით მათი ერის, როგორც მთლიანის, არსებობის ჩათვლით. პრობლემატურად მათთვის რჩება მხოლოდ მათი სახელმწიფოსა და მათი ერის ადგილი ზემოხსენებულ მოწინავეთა შორის, დროის მოცემულ მონაკვეთში. ამ აზრით, მათი ზოგად-ეროვნული ცხოვრების წონასწორობა (ისეთ ფასეულობათა და ორიენტირთა მდგრადობის ჩათვლით, როგორიცაა გერმანელობა, გერმანიის ერთგულება, გერმანული და ევროპული კულტუროსნობა, არსებული ზნეობის ერთგულება და მრავალი სხვა), ე.წ. მდგრად წონასწორობათა რიცხვს ეკუთვნის (წონასწორობა სისტემისა, რომელიც გადახრის შემთხვევაში თავისით უბრუნდება ამ წონასწორობას; მაგალითად, ძაფზე ჩამოკიდებული ბურთისა). ამიტომაც კანონზომიერია, რომ ომში დამარცხებული გერმანია, პოლიტიკური ფსიქოლოგიური აღრევის მიუხედავად, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, კვლავ დაუბრუნდა (და უფრო და უფრო უბრუნდება) თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ერთიანობის ტრადიციულ ფორმებს (ამ ფორმებს გერმანია დაუბრუნდებოდა, დიდი ალბათობით, იმ შემთხვევაშიც კი, მისი პოლიტიკური მარცხი რომ მართლაც აბსოლუტური ყოფილიყო, მაგალითად, ერთიანი სახელმწიფოებრიობა რომ გაეუქმებინათ და გერმანია კვლავ სამეფო-სამთავროებად დაეშალათ), ასეთ შემთხვევაში მისი გამაერთიანებელი და მისი პოტენციალის შემნახველი ფაქტორი იქნებოდა მისი კულტურა, რომელიც თავისი ხასიათითა და სულისკვეთებით ზოგადგერმანულია და რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის გაერთიანების ერთსაუკუნოვან პროცესში დღემდეც. (აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს დამაჯერებლად აქვს გამოკვლეული და დასაბუთებული ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოს-ფენომენოლოგს მაქს შელერს თავის შტუდიებში (გამოკვლევებში) ევროპის დიდ ერებში დემოკრატიის იდეის სხვადასხვაგვარი აღქმისა და ინტენპრეტაციის (გაგების) შესახებ, გერმანელთა აღქმაში კულტურული შემოქმედება ტრადიციულად უფრო მაღლა დგას ყოველთვის ღირებულებებისა და პრესტიჟის სკალაზე, ვიდრე პოლიტიკური საქმიანობა და პოლიტიკური წარმატება). საქართველოს მდგომარეობა პრინციპულად სხვაა. საქართველოს ისტორიას <u>წყვეტა აქვს</u> და ზემოხსენებული დისპროპორცია (ქართველი ერის ზოგადეროვნულ მიზანთსახვასა და დღეს რეალიზებულ მიზნებს შორის) იმას განაპირობებს, რომ ჩვენი ეროვნული აღნაგობა (სტუქტურა, შემადგენლობა) დღეს არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება (წონასწორობა სისტემისა, რომელიც, წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, თავისით აგრძელებს დაშორებას ამ წონასწორობისაგან, მაგალითად, წვერზე დაყენებული ფანქრის წონასწორობა). საკმარისია ზოგადეროვნული ამოცანის შესუსტება, დეზაქტუალიზაცია (მისი მიუწვდომლის სფეროში გადასვლის შედეგად) ან დეპრესტიჟიზაცია, რათა გაქრეს ერის მრავალგვარობის ერთიანობად შეკავშირებისათვის არსებული ერთადერთი საფუძველი – კაცობრიობის წინაშე გამარჯვებით დგომის პერსპექტივა. პრაქტიკულად სავსებით შესაძლებელია, რომ ქართველმა ერმა რამდენიმე განჭვრეტადი წლით და ათწლეულითაც კი დაკარგოს ყოველგვარი პოზიტიური ფუნქცია და ინდივიდუალური ადგილი კაცობრიობის სისტემაში და ისტორიის ერთ-ერთ სუბიექტად კი არა, მის მარტოოდენ ობიექტად დარჩეს, როგორც დღესაა: შესაძლებელია, რომ ღატაკმა, დამარცხებულმა და საექსპორტო პროსტიტუციის წყაროდ ქცეულმა ერმა დაკარგოს კაცობრიობის პირისპირ ზოგადეროვნული თვითდამკვიდრების არა მხოლოდ იმედი, არამედ ინტერესიც, და მისი ჰორიზონტი მისი უშუალო გარემოთიღა შემოიფარგლოს, რომლის წინაშეც „ქართველი“, როგორც ათასწლოვანი ისტორიისა და კულტურის პატრონი ერის შვილი, და „ვაკელი“, როგორც თბილისის პრესტიჟულ რაიონში სახლის მფლობელი, ერთი ღირებულების ცნებები და თვითინტენტიფიკაციებია.

ცნობილია, რომ ოფიციალურ ნომენკლატურას და ადმინისტრაციულ დაყოფას, თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვს ადამიანთა თვითინდენტიფიკაციაზე. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს განაწილება ერთიმეორესთან ფედერალურ ურთიერთმიმართობაში მყოფ ტერიტორიულ ერთეულებად – ამ მიკრო - და ქვაზი-სახელმწიფოებად – ძალიან დიდი ალბათობით მოიტანს არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაშლას რამდენსამე ერთეულად, არამედ ქართველი ერის გახლეჩასაც რამდენსამე ერთეულად სულ ორი, მაქსიმუმ - სამი თაობის მანძილზე.

ჩვენი მსჯელობის ამ მონაკვეთში ის ამოცანაღა დაგვრჩა, რომ ხსენებული ხიფათის განხორციელების კონკრეტული შესაძლო მექანიზმები ჩამოვთვალოთ (რა თქმა უნდა, ჩამონათვალი არასრული იქნება):

ა) კონფლიქტი ფედერალურ ერთეულებს შორის აუცილებლად გაჩნდება მათი საზღვრის გადასინჯვის შემთხვევაში (რაც შეიძლება მეურნეობის ან სხვა რამ კონკრეტულმა ინტერესებმა მოიტანოს).

ბ) იგი გაჩნდება თვით ერთეულებად დანაწილების ცვლილებისას (ორი ერთად შეერთდება, გაიყოფა და ა.შ.). ეს რომ შესაძლებელია, ამას მოწმობს თვით გერმანული კონსტიტუცია, რომელშიც მოცემულია ამგვარი შესაძლებლობა. უფრო მეტიც: კონსტიტუცია ითხოვს მას საჭიროების შემთხვევაში. (დღეს შემოთავაზებული სიახლეები გერმანიაში უკმაყოფილებას აწყდება, ბოლო ციტ. შრ. გვ. 37). თუ გადანაწილება აიკრძალა სამეურნეო და ადმინისტრაციული ინტერესების მიუხედავად, ესეც, თავის მხრივ, ადგილობრივი თვითინდენტიფიკაციის გამაძლიერებელი ფაქტორია.

გ) იგი შესაძლოა გაჩნდეს სახსრების განაწილების და გადასახადთა კომპეტენციის განაწილების პროცესში.

დ) ადმინისტრაციიდან და მისი ნომენკლატურიდან გამომდინარე, შესაძლებელია იდენტობის ახალი ცნობიერების გამომუშავება (შდრ. ბოლი, ციტ. შრ. 37-38), მით უფრო, რომ ასეთ იდენტობას აძლიერებს მმართველი ფენა გერმანიაში – დინასტიური (შდრ. ბოლი, ციტ. შრ. 34-35), ჩვენ ქვეყანაში, პერსპექტივაში – ახალი ბიუროკრატია.

<u>VI. ფედერალიზმი მართვის ოპტიმალურ მექანიზმთა თვალსაზრისით</u>

თვალნათლივია, რომ ფედერაციის საკითხის გადაწყვეტაში თავისი ადგილი აქვს ამ მექანიზმთა გათვლასაც სამართავი ერთეულის სიდიდესთან მიმართებაში. ერთი მოხსენებისას ადგილობრივი მართვის თემისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (თბილისში) ვკითხე მომხსენებელს (ვ. ხმალაძე): „სამართავი ერთეულების გამსხვილებას რომ ესწრაფით, გაქვთ თუ არა გათვლილი, რამდენ სულზე უნდა მოდიოდეს ერთი საავადმყოფო? ერთი პოლიციის განყოფილება? ერთი გამომძიებელი? რამდენი გამომძიებელი უნდა იყოს თავმოყრილი ერთ პროკურატურაში? რა მანძილზე უნდა იყოს სამართავი ერთეულის უშორესი სოფელი ადგილობრივი ცენტრისაგან?“. აღმოჩნდა, რომ არცერთი ამ პარამეტრთაგანი გათვლილი არ იყო. დღეს ფედერალიზმის პროპაგანდა საქართველოში მისი ტექნიკური მხარისადმი მიდგომაშიც არასერიოზულობით ანუ საკითხისთვის საჭირო ანალიზის ჩაუტარებლობით ხასიათდება. მაგრამ ცხადია, რომ სახელმწიფო მოწყობის ამ ტექნიკური მხარისადმი სერიოზული მიდგომაც კი მხოლოდ მაშინ ხდება გადაწყვეტილებისათვის განმსაზღვრელი, როცა წინასწარ უკვე გარკვეულია საკითხის აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) და ტელეოლოგიური (მიზნობრივი) მხარე: რისთვის მინდა მე სახელმწიფოს ასეთი ან ისეთი ტერიტორიული მოწყობა – იმისთვის, (ან: მხოლოდ იმისთვის), რომ მართვა ოპტიმალური (ანუ ადვილი და მოქალაქეთა ინტერესების მაქსიმალურად მომსახურე) იყოს ,თუ იმისთვის (ან: იმისთვისაც), რომ ცენტრის მიმართ ფედერაციული ერთეულების ან, პირიქით, ერთეულების მიმართ ცენტრის უფლებამოსილებების გაფართოება ან დაცვა მოხდეს? მარტივი ანალიზი გამოაჩენს, რომ ხსენებული აქსიოლოგიური და ტელეოლოგიური საკითხი, თავის მხრივ, დადის მონაწილე პიროვნებათა (მმართველთა და სამართავთა) <u>**თვითიდენტიფიკაციის**</u>, მათ მიერ ტერიტორიასთან თავის თავის იდენტიფიკაციის და მოცემული ტერიტორიის სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციის მიმართულებასა და ინტენსივობის ხარისხზე.

სახელმწიფოს ნაწილის მართვა საერთოდ მართვის – ანუ პროცესთა წინასწარდასახული გეგმისა და ღირებულებათა წინასწარმოცემული სკალის შესაბამისად წაყვანის – ერთ-ერთი კერძო სახეა და მართვის მთლიანი სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. ნაწილის მართვის ცნება გულისხმობს ადგილობრივი მმართველის (ან მმართველი ჯგუფის) გარკვეულ დამოუკიდებლობას მოცემული რეგიონის გარეთ მდებარე საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრის მიმართ როგორც თვით მართვის განხორციელებაში, ისე თავის მმართველობით ფუნქციებთან მისვლაში (მაგალითად, თუ მისი თანამდებობა არჩევითია). მართვის ფუნქციათა განაწილებას ცენტრსა და ადგილს ანუ ადგილობრივ მმართველს შორის ორგვარი შესაძლო საფუძველი აქვს: ერთია საკურატორო (საზრუნავ) თემათა განსხვავებულობა (მაგალითად, ცენტრი არ განაგებს ნაგვის გატანას რეგიონში და ადგილობრივი მმართველი არ მონაწილეობს გზათა მშენებლობის სტრატეგიის დაგეგმვაში) ანუ ხსენებულ მართვათა მიერ ურთიერთშევსება; მეორეა ამ ორის მიზანთა და ამ მიზნების საფუძვლად მდებარე ღირებულებრივ-ენტაციათა განსხვავებულობა, რასაც სხვა წყარო ვერა ექნება რა, თუ არა ერთის მხრივ რეგიონის, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს, როგორც მთელის, ინტერესთა სხვაობა, ანუ ესაა მართვათა ურთიერთკომპრომისი. იმისთვის, რომ რეგიონს ადგილობრივი მმართველიც ჰყავდეს, გარდა ცენტრალურისა, საფუძვლად კმარა ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების მიერ ერთმანეთის შევსების საჭიროება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. მაგრამ იმისათვის, რომ ადგილობრივი მმართველი თვითონ ადგილობრივი იყოს და, მით უფრო, ადგილობრივად არჩეული ანუ ადგილობრივთა წარმომადგენელი იყოს, ეს საფუძვლად არ კმარა. ამისათვის ბუნებრივია, რომ საფუძვლად ინტერესთა განსხვავების ფაქტორიც ანუ ზემოხსენებული კომპრომისის საჭიროების ფაქტორიც გავითვალისწინოთ.

ამ უკანასკნელ კონსტატაციას ერთი შემარბილებელი შენიშვნა დავურთოთ. შესაძლებელია, რეგიონის მოსახელობის არჩევანი ემყარებოდეს არა მმართველის მიერ მისი სპეციფიკური ინტერესების დაცვას, არამედ მის მიერ ადგილობრივი და ზოგადსახელმწიფოებრივი ურთიერთჰარმონიაში მყოფი ინტერესების **<u>კარგად</u>** დაცვას, ანუ კარგ მართვას, როგორც ასეთს. არის თუ არა რეალიზებული ამგვარი მართვის ანუ იდეალური მართვის ეს შესაძლებლობა, ეს დამოკიდებულია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მმართველის თვითიდენტიფიკაციაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო მიმართებაში (თანხმობისაში ან წინააღმდეგობისაში) დგას რეგიონის მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციასთან. მმართველისა და მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციის ცნებაში იგულისხმება ის, თუ ვის (ადამიანთა რომელ მაკროჯგუფს) და რამდენად აკუთვნებენ ისინი თავის თავს, როგორ განსაზღვრავენ თავის შიდა-ჯგუფს (in-group) ანუ თავის ძირეულ „ჩვენ“-ს, ვის წარმომადგენლად და ელემენტად თვლის ეს მმართველი თავისთავს და ვის წინაშე პასუხისმგებლად. ეს თვითიდენტიფიკაცია არის მუდმივმოქმედი ფაქტორი, რომელიც თანაგანსაზღვრავს ადგილობრივი მმართველის ღირებულებრივ ორიენტაციას და, აქედან გამომდინარე, მის მიზანთსახვას. ამ განზომილებაში რეგიონალური მმართველისათვის - თუნდ ცენტრიდან დაყენებული მოხელისათვის და თუნდ ადგილზე არჩეულისათვის - <u>ოთხი</u> ძირითადი შესაძლებლობა არსებობს.

ა) მმართველი ადგილობრივი საზოგადოების (მოსახლეობის) ნაწილად თვლის თავს. იგი თავის (ერთ-ერთ) ვალად თვლის, ამ საზოგადოების (მოსახლეობის) და ამ რეგიონის კერძო ინტერესები დაიცვას:

ბ) მმართველი არაადგილობრივია. იგი ცენტრალური მმართველი აპარატის ნაწილად თვლის თავს. მისი შიდა-ჯგუფი არის სახელმწიფოს მოსახლეობა (ერი) მთლიანობაში, უფრო მცირე მაკროჯგუფებთან თვითიდენტიფიკაცია მისთვის უცხოა.

გ) მმართველი არის რობოტი, იგი თავს აკუთვნებს მხოლოდ თავის ოჯახს, რომლის რჩენაც ჰმართებს, და შეუხრელად ას-

რულებს ამ რჩენის ერთადერთი მეთოდის - სწორად მართვის - მოთხოვნებს:

დ) მმართველი შემოქმედია, მისი ყველაზე ძირითადი ღირებულებაა საერთო სიკეთე. იგი ამოდის ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, რომლებიც, სხვათა შორის, ცენტრისა და ადგილობრივი საზოგადოების ჰარმონიასაც გულისხმობენ.

თვალსაჩინოა, რომ იმ ურთიერთშევსების მიღწევა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, წმინდა ტექნიკურ ამოცანად იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრსა და რეგიონს შორის ინტერესთა ჰარმონია არსებობს. დაზუსტებისათვის დავძენთ, რომ აქ არსებითია არა იმდენად ობიექტური ინტერესები (ვთქვათ, ამა და ამ პროდუქტის ფასები), რამდენადაც მათი სუბიექტური აღქმა (მაგალითად, ნაკლებად ალბათია, რეგიონი დაინტერესებული იყოს მოუსავლიანობაში ქვეყნის მასშტაბით, რათა საკუთარი უხვი მოსავლის ნაყოფი სარფიანად გაყიდოს). თუ ცენტრის მმართველობითი ფუნქციები განსხვავდება მხოლოდ მართვის საგნით (ნაგვის გატანა რეგიონის კომპეტენციაშია, სტრატეგიულ გზათა მშენებლობა - ცენტრისაში და ა. შ.), მაგრამ არა მიმართულებით, ანუ მართვის მიზნებით, მაშინ კონფლიქტისათვის საფუძვლის გაჩენა ნაკლებ ალბათია. მაგრამ თუ ცენტრალური და რეგიონალური მმართველის ფუნქციები სხვადასხვაა არა საგნით, არამედ ერთი და იმავე (ან დაახლოებით ერთი და იმავე) უფლებამოსილება-პასუხისმგებლობათა განაწილებით ამ ორ მხარეს შორის, მაშინ კონფლიქტის საფუძველი უკვე არსებობს. მართლაც, თუ ცენტრისა და რეგიონის მმართველობითი უფლებმოსილებები ერთსა და იმავე სფეროში განაწილებულია რაღაც გარკვეული პროპორციით, ანუ რეგიონისათვის ავტონომიის ამა თუ იმ დოზის განსაზღვრის სახით, ეს ნიშნავს ერთი და იმავე სფეროს რეგულირებაში ორი ურთიერთგანსხვავებული ან ურთიერთდაპირისპირებული **ნების** თანამოქმედებას, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიგვიყვანს კონფლიქტთან, თუ ადგილი ექნება შეგნებულ კომპრომისს მათ შორის. კომპრომისი, როგორც ცნობილია, ჰარმონია არ არის, იგი ნელი მოქმედების ბომბია, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყოველდღიურ საგანგებო ზრუნვას მოითხოვს. სსრკ-ს ავტონომიზმის პრაქტიკაში ურთიერთდაპირისპირებულ ნებათა, კერძოდ - ურთიერთდაპირისპირებულ ეროვნულ და ეთნიკურ ნებათა ასეთი კომპრომისი თითქმის მიღებული იყო, მაგრამ ეს კომპრომისი არ იყო არა თუ ჰარმონია, არამედ თვით რეალური კომპრომისიც კი. იგი ძალთა რეალური თანაფარდობის ასახვად კი არ ითვლებოდა და მხარეთა ცნობიერ შეთანხმებას კი არ ემყარებოდა, არამედ იგი განისაზღვრებოდა მხოლოდ „დიდი ცენტრის“ სტრატეგიული ნებით და (სრულებით დემაგოგიურად) ითვლებოდა (საღდებოდა) ყველას (ამ შემთხვევაში - ორივე მხარის) ურთიერთჰარმონიულ ინტერესთა ერთობლივ დაცვად, - ყველასათვის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების მიცემად, - არა ურთიერთშეზღუდვის, არამედ ერთობლივი ჰარმონიული გაშლა-აყვავების გამოხატულებად. ამ გარედან განსაზღვრული „ჰარმონიის“ შედეგები ცნობილია: ბუნებრივია, რომ არაფორმალიზებული, ანუ ექსპლიციტური ურთიერთშეთანხმების გარეშე განხორციელებული ამ ურთიერთშეზღუდვის პირობებში კონფლიქტი კი არ ქრებოდა, არამედ ლატენტურ (ფარულ) მდგომარეობაში გადადიოდა და მან კიდეც იფეთქა იმ ფორმებით, რომელიც ენახეთ.

როგორც უკვე ითქვა, ადგილობრივი მმართველობა მისი ყველა მასშტაბით (ფედერაციის სუბიექტის დონის ჩათვლით) და მისი ოპტიმალური მოწყობა (თვით სამართავი რეგიონის ზომის და განლაგების ოპტიმალური განსაზღვრის ჩათვლით) ტექნიკურ ამოცანად რჩება მხოლოდ მანამდე, სანამ იგულისხმება ფუნდამენტურ ინტერესთა იგივეობა რეგიონის მოსახლეობასა და მთლიანად სახელმწიფოს მოსახლეობას შორის. აქ – და სწორედ აქ – შემოდის განხილვაში მმართველის და მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციის ფაქტორი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. თუ თვითიდენტიფიკაცია ძირეულად ერთია, მაშინ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ამოცანა მართლაც წყდება იმის მიხედვით, თუ რამდენს სულ მოსახლეობაზე უნდა მოდიოდეს ერთი პროკურატურა ან საავადყოფო, რა მანძილზე შეიძლება იყოს რეგიონის მმართველის რეზიდენცია უშორესი სოფლისაგან და ა.შ.. ასეთ იდეალურ ვითარებაში უპრობლემოდ დაიძლევა რეალურ ინტერესთა სხვაობა, ვთქვათ, მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რეგიონსა და სახელმწიფოს დანარჩენ მწირ ნაწილს შორის. მაგრამ თუ თვითიდენტიფიკაცია სხვადასხვაა – და, მაშასადამე, მაკროჯგუფთა მაკროჯგუფური სპეციფიკური ინტერესებიც სხვადასხვა – მაშინ რეგიონული თვითმმართველობის ოპტიმალური ხარისხისა და ხასიათის განსაზღვრაში მისი ზემოხსენებული ტექნიკური მხარე უკანა პლანზე გადადის უფრო მძიმე ამოცანასთან – მაკროჯგუფთა შორისი რეგულირების ამოცანასთან – შედარებით. მაშინ დამგეგმავს ჰმართებს, შეიმუშაოს განსხვავებულ (ურთიერთდაპირისპირებულ) მაკროჯგუფურ ნებათა ცნობიერი ურთიერთმორგების მოდელი – რა თქმა უნდა, მოსალოდნელ ხიფათთა განჭვრეტით, – რომელიც ინტერესთა და ზრახვათა რაღაცა სხვა კლასის ან კლასების რეალიზაციის აკრძალვასაც მოიცავს, როგორც უსამართლოსას ან პერსპექტივაში სახიფათოსას.

გასათვალისწინებელი ხიფათები, პირველ ყოვლისა, შემდეგია:

ა) თუ მაკროჯგუფის თვითიდენტიფიკაცია სხვაა, ვიდრე სახელმწიფოს მოსახლეობისა მთლიანობაში, მაშინ მისი და მისი სულისკვეთების მიმდევარი ადგილობრივი მმართველის ერთ-ერთი მიზანი, რომელსაც იგი ჩათვლის თავის მოვალეობად მაკროჯგუფის წინაშე, იქნება ცენტრის ერთ-ერთი მიზნის საწინააღმდეგო, ანუ მიმართული იქნება დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისაკენ თვით სახელმწიფოდან გამოყოფამდე იმ ტერიტორიითურთ, რომელიც მას (ამ მოსახლეობას) უკავია. დამოუკიდებლობის ხარისხის ყოველი გადიდება, თავისი მხრივ, იწვევს არა ღია კონფლიქტის ალბათობის შემცირებას, არამედ, პირუკუ, მისი პოტენციის გადიდებას გარდაუვალი აფეთქების პერსპექტივით. ამ კონტექსტში არ შემიძლია არ გავიხსენო ეუთო-ს, ჩემის აზრით, სრულებით უპერსპექტივო გეგმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა ოსებისათვის მაქსიმალურად ფართო ტერიტორიული ავტონომიის დაწესების გზით, „სამხრეთ ოსეთის“ სახელით, და ერთი და იმავე ფუნქცია-პასუხისმგებლობების, მათ შორის პოლიციური ფუნქციების წინასწარგანსაზღვრული პროცენტული განწილებით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიამეტრულად მოპირდაპირე ინტერესების მქონე ოსურ მხარეს შორის. ეს გეგმა პერსპექტივაში მხოლოდ კონფლიქტის განვითარების მომტანია ხსენებული ტერიტორიის საქართველოსაგან გამოყოფის ლოზუნგით და ოსი ერისათვის ამ ამოცანის პირველ ნომერ სართოეროვნულ ამოცანად ქცევით, ან, პირუკუ, ამ კონფლიქტში ზოგადსახელმწიფო პოზიციის ძირეული გამარჯვების გზით.

ბ) თუ მაკროჯგუფის უფლება და შანსი, რომ ქვეყანაში მოიპოვოს და გაიფართოვოს ტერიტორიული თვითმმართველობის სპეციფიკური სტატუსი, განპირობებულია არა მხოლოდ ზემოხსენებული ტექნიკური მოტივებით, არამედ ადგილობრივი უმრავლესობა ასეთ სტატუსს ეძებს თავისი სპეციფიკური მაკროჯგუფური (ამ შემთხვევაში – ეთნიკური) ნიშანთვისებების გამოც, ეს გარდუვალად ქმნის იმ ეთნიკური წმენდისა და მისი მეთოდის – გენოციდის და დეპარტაციის – გამოყენების პერსპექტივას, რომლის მაგალითებიც მრავლად ვიხილეთ ამ ბოლო წლებში. მართლაც, თუ ტერიტორიის სტატუსი და იმ მოსახლეობის სტატუსი, რომელიც თავს სხვად თვლის, დამოკიდებულია დემოგრაფიულ დინამიკაზე, ეს ქმნის ბუნებრივ მოტივაციას, რომ მხარეებმა ხელოვნური ზემოქმედება მოახდინონ ამ დინამიკაზე ზემოხსენებული უმართებულო მეთოდების გამოყენებით, თუნდაც პროფილაქტიკური მიზნით. ამგვარად. ეუთო-ს ზემოხსენებული გეგმა მომაკვდინებლად სახიფათოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, მისი განზოგადების შემთხვევაში, კაცობრიობასთვისაც საერთოდ. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა თვითიდენტიფიკაციის მქონე მაკროჯგუფთა ურთიერთობის დარეგულირების ამოცანა დგას, თვითმმართველობის ფორმისა და ხარისხის განსაზღვრა აღარაა ტექნიკური პრობლემა. აქ აუცილებელი ხდება რეგულირების სხვა, უფრო ზოგადი და ღრმა სახელმძღვანელო პრინციპების არჩევა, როგორც, მაგალითად,პრინციპისა,რომ არა მხოლოდ გარე საზღვრებია ხელშეუხებელი შიდა–არაგაუქმებადი, არამედ დაუშვებელია ახალი შიდა საზღვრების შექმნაც, აგრეთვე მაკროჯგუფებისთვის ე.წ. „ისტორიული მეხსიერების“ უფლების აღიარების პრინციპისა და სხვა. სხვა მიდგომა არა მხოლოდ არარეალისტური იქნება ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, არამედ. ანალიტიკური მიდგომის თვალსაზრისით, ანტიმეცნიერულიც.

გამოსაყოფი დაგვრჩა ვითარების ერთი მომენტიც. როგორც უკვე ითქვა ზემოთ, მაკროჯგუფის თვითიდენტიფიკაცია ემყარება გარემოებათა გავლენას, თვით ადმინისტრაციულ ერთეულთა ნომენკლატურის ფაქტორის ჩათვლით. ყველაზე კანონზომიერი და გავრცელებულია ის თვითიდენტიფიკაცია, რომელიც ფაქტობრივად სახელმწიფოებს ქმნის – ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ანუ მაკროჯგუფის მიერ თავისთავის გაიგივება: ა) ბუნებისა და ენის ერთობის ან ქვაზი-ერთობის მიხედვით და ბ) კაცობრიობის, როგორც მთელის, წინაშე და ისტორიის წინაშე ცალკე ერთეულად დგომისუნარიანობის, კაცობრიობისა და მისი ისტორიის წინაშე საკუთარი გამოკვეთილი სახის, საკუთარი ვინაობის ქონის უნარის მიხედვით. პირველი მოტივის შესუსტება, შეცვლა და გაყალბება შესაძლებელია ცნობიერების მანიპულებით დეზინფორმაციის მიწოდების და სწორი ინფორმაციის დამალვის გზით (მაგალითად, ერს შეიძლება ხელისუფალნი უმალავდნენ მის ისტორიას). მეორე მოტივის დათრგუნვა, როგორც ზემოთ ვთქვით, შეიძლება ერის ზოგადეროვნული საკაცობრიო ფუნქციის შესუსტებით, მისი ზოგადი დათრგუნვით, პლანეტის საერთო სისტემაში მისი სახელმწიფოებრივი ადგილის გაუფერულებით, გაზედმეტებით, – მისი, ასე ვთქვათ, საკაცობრიო განაცხადის დაპატარავებით, რაც ბუნებრივად იწვევს მოქალაქის ყურადღების გადატანას არა იმაზე, რაც რეალურად თავის თანამემამულეებთან საერთო აქვს – ერთობლივ ეროვნულ ამოცანებზე და როლზე კაცობრიობის კონტექსტში, – არამედ კერძო განსხვავებებზე ერის შემადგენელ ადგილობრივ მაკროჯგუფებსა და ქვეყნის შემადგენელ პროვინციებს (მით უმეტეს – ისტორიულ პროვინციებს) შორის. სოციოლოგიის ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ რაგინდარა ერთგვაროვან სოციუმში გარდუვალად ჩნდება მიზიდულობის ერთგვარი მრავლობითი ცენტრები, უბნები, ე.წ. „კლასტერები“, „კონები“, რომელთა შიგნითაც კავშირურთიერთობები უფრო ინტენსიურია, ვიდრე ამ უბნებს შორის. სიტყვამ, სახელმა, ისტორიულმა ასოციაციამ ან ტრადიციამ, მით უმეტეს – ადმინისტრაციულმა დაყოფამ შესაძლოა ის როლი ითამაშოს ტერიტორიული რეგიონების ამ განსხვავე ჩამოყალიბება–დაკრისტალებაში სხვადასხვა ფუნდამენტურ ერთეულებად, რასაც ნაჯერ ხსნარში ჩაშვებული კრისტალი ასრულებს.

ამრიგად, მართვის ოპტიმალური მექანიზმების ძიების ფაქტორთა ანალიზმა, რომლებიც ღირებულებათა სისტემაზე და იდენტიფიკაციათა სისტემაზე ფუნდამენტურად დამოკიდებული აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ მიგვიყვანა იმავე დასკვნამდე, რითაც წინამდებარე მსჯელობის ამისწინა მონაკვეთი დავამთავრეთ. თქმულიდან კიდევ ერთხელ ჩანს საქართველოს მთლიანი ფედერალიზაციის არსებული გეგმის ან პროექტურად ანტიმეცნიერული, ან მეცნიერულად ანტიქართული ხასიათი, განსაკუთრებით იმ ზოგადეროვნული დამარცხებების ფონზე, რომელთა გასწორებისათვის ჩვენს ქვეყანას ჯერ-ჯერობისთ ვერ მიუღწევია.

წარმოდგენილი [illegible] ჩვენთვის უფრო [illegible] ქვემორე ციტირებულ ახსნასაც გერმანული ფედერალიზმის მიერ განვლილი განვითარების ხაზისთვის: გერმანიაში დღეს ფედერალიზმის შესუსტების პროცესი იმიტომ მიდის, რომ გერმანიაში „არ ადმოჩნდა საკმარისი ძალით ფედერალური სახელმწიფოსათვის საჭირო წანამძღვრები: თანასწორუფლებიანი, სოციო-კულტურულად ჰომოგენური წევრი-სახელმწიფოები დაახლოებით თანაბარი სამეურნეო ძალით, რომელთაც შეეძლებოდათ ავტონომიური სახელმწიფოებრივი ცნობიერების და საკუთარი პოლიტიკური იდენტების გამომუშავება“ (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრომა გვ. 120). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანელთა ზოგადგერმანულმა თვითიდენტიფიკაციამ მოსახლეობის უმრავლესობაში და ერთიანი სახელმწიფოს მაღალმა ადგილმა მოსახლეობის და პოლიტიკოსების ღირებულებათა სისტემაში განსაზღვრა ის, რომ ფედერალიზმი სეპარტიზმის გზით კი არ წარიმართა, არამედ შესუსტების გზით. როგორც შეეცადეთ გვეჩვენებინა ზემოთ, საქართველოს პირობები დღეს იმგვარია, რომ ზემოხსენებული „ავტონომიური ცნობიერების“ გაჩენისა და განვითარებისთვის პოზიერი ნიადაგი არსებობს.

VII. უცხო სეპარატისტების ფაქტორი

ზემოთ დავახასიათეთ ის მრავალრიცხოვანი იურიდიული და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლითაც გერმანიის პოლიტიკოსებმა შეძლეს ფედერალურ მოწყობაში ჩადებულ საშიშროებათა აცილება, სახელდობრ: ა) სახელმწიფო ერთიანობის დაშლისა და ბ) მართვის პარალიზაციის საშიშროებისა.

გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში არსებობს სახელმწიფოსადმი და მისი დამოუკიდებლობისადმი არაკეთილგანწყობილი მოსახლეობის მასები, რომლებიც მოინდომებენ ფედერალური წყობის გამოყენებას ორივე მიმართულებით – როგორც ცენტრისაგან ფედერალური ერთეულის მაქსიმალური ჩამოშორების მიმართულებით, ისე თვით მართვის მაქსიმალური პარალიზაციის მიმართულებით, – რადგან ეს, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენებს მართვის პროცესისაგან ცენტრის უფრო და უფრო ჩამოცილების საკითხის დასმას. შეეცადოთ თქმულის დასაბუთებას, ასე ვთქვათ, ზოგადი შემთხვევისათვის.

თუ ფედერალიზმი ნამდვილად ფედერალიზმია, ანუ ისეთ სუბიექტთა გაერთიანებაა გარკვეული პირობებით, ვისაც ყველა სხვა თვითიდენტიფიკაციისაგან დამოუკიდებლად ან მათთან ერთად თავ-თავისი თვითიდენტიფიკაციაც აქვთ, და თუ ეს თვითიდენტიფიკაცია დადებითი ღირებულებრივი ინდექსის მატარებელია (ანუ მე მიღირს ის ერთეული, რომელთანაც ვაიგივებთ თავს), – თუ, მაშასადამე, ეს ფედერალობა არაა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკური საშუალება (იარაღი) იმისათვის, რომ ერთი მიზანთსახვის, ერთი ამოსავალი კოლექტიური მენტალობის (ანუ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითიდენტიფიკაციის) მქონე ადამიანთა მასის მართვაში შრომის განაწილების ოპტიმალური წესი იქნას გამოყენებული, – მაშინ ეს ფედერალიზმი გულისხმობს სხვადასხვა ნებათა კომპრომისს და, მაშასადამე, მათს დაპირისპირებულობასაც ამა თუ იმ სფეროში. ცხადია, კომპრომისს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ნებათა დაპირისპირებულობა არსებობს. სახელმწიფოში ასპარეზის შექმნა მეორე, მესამე და შემდგომ ნებათათვის, რომლებიც ერთსა და იმავე საგანზე არიან მიმართული, მაგრამ სხვადასხვა მხრისკენ (ამ შემთხვევაში ეს საგანია ტერიტორია და უფლებები მის მიმართ), გარდუვალად განაპირობებს თვით ამ ნებათა გაჩენას (თუ აქამდე არ არსებობენ), გაძლიერებას და აქტუალიზაციას, რის შედეგადაც იწყება მათი კომპრომისის ანუ (დროებითი) ურთიერთგარიგების ძიება. ამ ზოგადი შემთხვევის ერთი კერძო ქვეტიპი - ძირითადად ერთი სულისკვეთების მქონე მოსახლეობაში ახალი ტერიტორიული დიფერენცირების შემოტანა - ზემოთ უკვე ვახსენეთ. მაგალითად, თუ საქართველოში შეიქმნა კახეთის პროვინცია და მოხდა მის მიმართ უფლებათა განაწილება თელავსა და თბილისს შორის, ეს შექმნის თელავურ ნებას, რომელიც შევა ან არ შევა კომპრომისში თბილისურთან. მაგრამ თუ იგივე მოხდა არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე (ანუ ისეთ მოსახლეობასთან, რომლის თვითიდენტფიკაციის ძირითად ნიშანს არა აქვს შეხვედრის წერტილები ქართველებისასთან), მაშინ იმავე მექანიზმით გაჩენილი ან აქტუალიზებული ადგილობრივი ნება (ვთქვათ, წალკის რაიონისა) გაცნობიერდება არა როგორც „წალკური ნება“, არამედ როგორც „ბერძნული ნება“ (რაკი წალკაში მოსახლეობის უმრავლესობა ბერძნულია), ანუ როგორც საქართველოსათვის გარე ძალაზე ორიენტირებული, ან იმ გარე ძალისადმი კერძო მიდრეკილების მქონე, ან მის მიერ რაღაცა ზომით თანაგანსაზღვრული ნება, რაც, რა თქმა უნდა, გზას უხსნის სახელმწიფოს ქმედუნარიანობის შემცირებას.

VIII. ევროპული ფედერალიზმის ფაქტორი

დასასრულ, უნდა გავითვალისწინოთ როგორც გერმანული ფედერალიზმის ევოლუციის, ისე საქართველოს ფედერალიზაციის გეგმის გაჩენის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – ევროპის ტენდენცია ინტეგრაციისაკენ და მის ქვეყანათა ურთიერთობის განვითარებისაკენ ფედერალიზმის მიმართულებით. ევროპის ევოლუციას ფედერალიზმისაკენ განაპირობებს ამ კონტინენტისათვის შინაგანი ფაქტორიც, კერძოდ, მისი დიდი ერთიანობა კულტურის, ცხოვრების წესის, ღირებულებათა სისტემის და მსოფლიოს მიმართ ლიდერული პოზიციის ქონის მხრივ, და გარეგანი ფაქტორიც, კერძოდ, მისი მშვიდობიანი თავდაცვა რესურსებით უფრო მდიდარი ოკეანისგაღმური ინდუსტრიული ცივილიზაციების მეტოქეობისაგან. მისი ანალოგიური შეიძლება იყოს, ვთქვათ, კავკასიური ფედერალიზმი. რაც შეეხება საქართველოს ფედერალიზაციის გეგმას, იგი ევროპის ამ სიახლესთან დაკავშირებულია არაპირდაპირი გზით. კერძოდ, რუსულ იმპერიას, რომელმაც მონარქიის დანგრევის შემდეგ ერთხელ უკვე გადაირჩინა თავი იმ დროს მზარდი და პერსპექტიული კომუნისტური წყობისა და იდეოლოგიის გამოყენებით, ამჯერადაც, კომუნიზმის გაკოტრების შემდეგ, კიდევ ერთხელ სურს თავის გადარჩენა დღეს პერსპექტიული ახალი პრინციპის – სახელმწიფოთშორისი მრავალმხრივი ეკონომიკური, ადმინისტრაციული და ყოფითი ინტეგრაციის პრინციპის – გამოყენებით. რუსეთის პოლიტიკის მგეგმავებს ამ საბაბით უნდათ საბჭოთა კავშირის აღდგენა ყოფილი კოლონიების (რესპუბლიკების) ურთიერთფედერირების ფორმით, რაც ნათლადაა გამოკვეთილი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ დასაბუთების ყველა ცდაში, რაც კი გამოქვეყნებულია დღემდე (და რაც, რაღა თქმა უნდა, აბსურდია, რადგან ყოფილ სსრკ ქვეყნებს არც ინტერესები აქვთ საერთო, არც ლიდერული მდგომარეობა, რომელსაც დაცვა სჭირდება, არც პოზიტიური ღირებულებათა სისტემა. ერთმანეთში საერთო მათ მხოლოდ უარყოფითი ღირებულებები აქვთ, როგორიცაა სიღარიბე, საუკუნოვანი დიქტატურის გამოცდილება და სხვა). მაგრამ, გარდა ამისა, გარეგნულად თითქოსდა უძალადო (არაძალადობითი) სახელმწიფოთშორისი ფედერირების ბაზად რუსეთის მიერ დაგეგმილია თვით იმ ერთეულთა (ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა) შინაგანი ფედერალიზაციაც, რომელთა „თანამეგობრობის“ შექმნასაც იგი ესწრაფვის. ასე რომ, საქართველოს ფედერალიზაციის რუსულ გეგმის ერთი მიზანი კი არა აქვს, არამედ ორი - საქართველოს დასუსტება და მის ყელზე რუსეთის ხელის დადება, ერთის მხრივ, და მისი შინაგანი მომზადება ახალ იმპერიულ „ფედერაციაში“ მონაწილეობისათვის მეორეს მხრივ.

რით არის დაკავშირებული ქვეყნის შინაგანი ფედერალურობა მისი მონაწილეობის შესაძლებლობებთან ქვეყანათა ახალი, დიდი ურთიერთფედერირების პროცესში, ეს აპრიორულად ნათელი არ არის. ფედერალიზმის გერმანელ მომხრეებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ შინაგანი ფედერალიზაცია არა თუ ხელშემწყობი ფაქტორია, არამედ პირობაცაა წარმატებული მონაწილეობისათვის გარე ფედერირების პროცესში (თუმცა ევროპის ფედერაციაში მონაწილეობისაკენ სხვა, არაფედერირებული ქვეყნებიც, მაგ. საფრანგეთი წარმატებით მიდიან (საერთო ბაზარი, საბაჟო თავისუფლება, ევროპარლამენტის შექმნა) და თუმცა თვით გერმანიაში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ფედერალიზმის პრინციპის მოქმედება ლანდების („მიწების“, „ქვეყნების“) დონეზე დაბლა არ ჩამოდის, რომელთა უმეტესობა თავისი მასშტაბით საქართველოს ტოლია ან მასზე დიდია.

გერმანელი პოლიტიკოსების ზემოხსენებული ნაწილის თეზისს (რომელსაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ხალისით ღებულობს შეიარაღებაზე რუსული იმპერიული პოლიტიკა) – რომ ქვეყნის ფედერალურობა შიგნით ხელს უწყობს მის მონაწილეობას ფედერირების პროცესში გარეთ – თავისი ლოგიკური ინფრასტრუქტურა აქვს, რაც თუნდაც იმ ფაქტიდან ჩანს, რომ გერმანიაში ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ხმების ყველაზე დიდი პროცენტი მიიღო გეგმამ, რომ ევროპარლამენტის არჩევა ხდებოდეს პირდაპირი ხმისმიცემით და არა პარლამენტთაგან დელეგატთა გაგზავნის ფორმით. არც ისაა საეჭვო, რომ ევროპაში ქვეყანათა ფედერირების პროცესის განვითარების შემთხვევაში გერმანიის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა პოტენციალი მძლავრად წამოწევს წინ მის როლს ამ კონტინენტზე. აქვს თუ არა აქვს მოყვანილ თეზისს საკმარისი ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სტრატეგიული თუ სოციოლოგიური არგუმენტაცია, რუსეთის ზემოხსენებული გეგმისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ პრეცედენტი დემოკრატიული ქვეყნების ამ წესით ურთიერთინტეგრირებისა, რათა იგი საბაბად ჰქონდეს იმპერიის აღდგენისა და რეინტეგრაციისათვის. საქართველოსათვის ჯერ ღიაა როგორც საკითხი, ენდომება თუ არა მას ოდესმე ფედერირება სხვასთან (ვთქვათ, იმავე ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებულ ქვეყნებთან), ისე საკითხი, არის თუ არა შინაგანი ფედერირება ხელშემწყობი ფაქტორი გარეგანისათვის. საერთოდ, ამ კავშირის რაიმე მექანიზმი, ვიმეორებ, არ ჩანს. ასე რომ, გერმანელ ფედერალისტთა ერთი ძირითადი არგუმენტი თავისი ქვეყნის ფედერალური მოწყობის სასარგებლოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის არ მუშაობს. ამ მიმართულებითაც საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა ემყარება, რბილად რომ ვთქვათ, არამეცნიერულ (ანუ ანალიზს მოკლებულ), არსებითად კი ანტიმეცნიერულ საფუძველს (ანუ მეცნიერების საშუალებათა გამოუყენებლად ისეთი საკითხის გადაჭრას, რომლის გადაწყვეტასაც მეცნიერული ანალიზი სჭირდება).

IX დამატება „კოოპერატიული“ ფედერალიზმი გერმანიაში

გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, მისი დებულება, რომ „გფრ არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო (Bundesstaat)“ მარადიულია. მისი შეცვლა დაშვებული არ არის. უმაღლესი ორგანოა ბუნდესთაგი (ფედერაციის პარლამეტი), რომლის კანონთა გარკვეული კატეგორიისათვის საჭიროა მათი მიღება ბუნდესრათის (ფედერაციის საბჭოს) მიერაც. ეს უკანასკნელი დგება არა პირდაპირი არჩევნებით ფედერაციის სუბიექტთა მოსახლეობის მიერ ან დელეგირებით ქვეყნების პარლამენტთა (ლანდთაგთა) მიერ, არამედ იგი კომპლექტდება მთავრობათა წარმომადგენლებით. ბუნდსა და წევრებს (ანუ ფედერაციასა და მის სუბიექტებს) შორის არის დავალებათა განაწილება - ე.წ. „ვერტიკალური განაწილება ხელისუფლებისა“. ფუნქციათა ამდაგვარი განაწილება „მართვის ფედერალიზმის“ სახელით აღინიშნება. რამდენადაც ბუნდი და „ქვეყნები“ ამ გზით ავსებენ ერთმანეთს და შეწყობილ ურთიერთთანამშრომლობას (Zusammenarbeit) აღწევენ, ამას ანალიტიკოსები „კოოპერაციულ ფედერალიზმს“ უწოდებენ. გერმანიის ეს სპეციფიკა – ცენტრის და ფედერაციის სუბიექტების უფლებამოსილებათა დანაწილება ფუნქციათა სახეობის მიხედვით და არა დონეების მიხედვით – ჩანს თუნდაც აშშ ფედერალიზმის ფონზე. მას ანალიტიკოსები „კონკურენციული“ ფედერალიზმის სახელით აღნიშნავენ. მასში უფლებამოსილება გარჩეულია სხვადასხვა დონეებისათვის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების განაწილების პრინციპით (ოშაცი, ციტ: შრ. გვ. 111-112).

უფლებამოსილებათა და ფუნქციათა ზემოაღწერილი განაწილება თითქოს ლოგიკურად აიძულებს თვითონ მდგომარეობას, რომ ნაყოფიერი კოოპერაციისაკენ განვითარდეს (როგორც ეს გერმანიაში მოხდა). მაგრამ ამ მოჩვენებითმა ავტომატიზმმა არ უნდა შეგვიქმნას იმის ილუზია, თითქოს ანალოგიური საკანონმდებლო სვლებით შეიძლებოდეს საქართველოშიც ავიცილოთ ფედერალიზმით გამოწვეული სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაციის ის გარდუვალი ხიფათი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. აღწერილი საკანონმდებლო ვითარების რამდენიმე დეტალის გათვალისწინება ნათლად გვიჩვენებს, რომ ღირებულებრივი ორიენტაციები, მათი მოშლა-მოუშლელობის ფაქტორები და მათი გადამწყვეტი როლი ქვეყნისა და ერის მთლიანობის შენარჩუნებაში ამით არ იცვლება.

კერძოდ:

- ზემოთ ვთქვით, რომ ბუნდის საკანონმდებლო უფლებათა რაციონალური გაფართოება „მიწების“ თანადგომით მოხდა. ეს ქვეყნის ინტერესებისაკენ მიმართულ იმავე ღირებულებათსისტემას გულისხმობს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

- ვინაიდან ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლები ქმნიან ფედერაციის საბჭოს (ბუნდესრათს) საკანონმდებლო ფუნქციებით, რომლის გარეშეც კანონების გარკვეული კატეგორია ვერ მიიღება, მას შეუძლია კანონმდებლობის პარალიზება: ვინაიდან კანონის გატარება (ანუ მართვა) ფედერაციის სუბიექტთა ხელშია, მათ შეუძლიათ აგრეთვე მართვის (ან: ცენტრისათვის სასურველად, მისი კანონების სულისკვეთების შესაბამისად მართვის) პარალიზება. თუნდ არ შეეძლოთ, პარალიზების მცდელობა, როგორც მინიმუმი, მაინც გამოიწვევს შეუსრულებელი ამოცანის - კანონში ყველა შესაძლო წინააღმდეგობის და საბოტაჟის ყველა შესაძლო ფორმის გათვალისწინების ამოცანის - გაჩენას.

- დასასრულ, მათ შეუძლიათ კოოპერაციის ყოველდღიური პროცესის მოშლაც. ზემოთ ციტირებული შმიდი (ციტ. შრ. გვ. 259), აღწერს რა ფუნქციათა რეალურ განაწილებას „კოოპერაციული ფედერალიზმის“ სისტემაში, წერს: „ამ ნორმების ჯიუტი დაცვა შეუძლებელს გახდიდა ზოგ რამეს, რაც აუცილებელია. ბუნდი დაკარგავდა ზოგ ქმედუნარიანობას, რომელიც მისი არსებობისათვის და ერის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელია. სინამდვილეში კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე განვითარდა აქა-იქ ხერხთა სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუნდესთაგისთვის, რომ იფუნქციოს, ზოგჯერ ლეგალობის გვერდის ავლითაც კი“.

X საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალური სახე

დღეს ქართველი ერი საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე ოდნავ მეტს (69%) შედგენს. ბუნებრივია, რომ საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების სამსახურის ტვირთი, ანუ ქართველი ერისათვის, როგორც საკუთარი ტერიტორიის მფლობელი ერისათვის, ამ სტატუსის შენარჩუნების ამოცანა ძირითადად ამ 69 პროცენტის მხრებს აწევს. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრაში, ისევე როგორც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა სხვა პრობლემის გადაჭრის გეზის განსაზღვრაში, ვალდებულნი ვართ ვიხელმძღვანელოთ, ყველა სხვა მოტივებთან ერთად, იმ ამოცანითაც, რომ დაუზარალებლად დაცულ იქნას და განვითარებულ იქნას ქართველი ერის მონოლითური პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ქმედუნარიანობა, მის მიერ ზოგადეროვნული მიზნების დასახვისა და მიღწევის უნარი. როგორც ნაჩვენები იქნა ზემოთ, საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა (უფრო ზუსტად - საქართველოს სრული ფედერალიზაციის გეგმა, რომელიც შემოთავაზებულია ე. შევარდნაძის ხელისუფლებისა და რიგი პოლიტიკური ჯგუფების მიერ) გარდუვალად შეიცავს ამ ეროვნული მთლიანობის დარღვევის პერსპექტივას. ამგვარად, იგი სტრატეგიულად მიუღებელია ჩვენი სახელმწიფოსათვის განურჩევლად იმისა, თუ როგორი ტაქტიკური ეფექტი ექნება ქართველი ერის ნებაყოფლობითი თვითდანაწევრებისაკენ მიმართულ ამ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობისათვის იმ კონკრეტულ სეპარატისტულ ძალებთან, რომლებიც დღეს მის მთლიანობას ებრძვიან (ზემოთ ისიც ვთქვით, რომ ეს ეფექტი მოჩვენებითია). ამგვარად, კითხვა დგას: როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ოპტიმალური ფორმა,

– რათა დაცულ იქნას საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი სახელმწიფოებრივი ინტერესები.

- რათა დაცულ იქნას საქართველოს ყველა მოქალაქის ადამიანური უფლებები ეროვნულის ჩათვლის და

- რათა საქართველოში არსებული ვითარება შეესაბამებოდეს კაცობრიობის პოლიტიკური და ჰუმანიტარული განვითარების გეზს (რომელსაც - შევნიშნოთ აქვე - ქართველი ერის მენტალიტეტი დღემდე არაფერში გადასცდომია)?

იგი ვერ იქნება ვერც მარტივად უნიტარული (ვინაიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სახელმწიფოებრიობა გვაქვს) და (როგორც ითქვა) ვერც ფედერალური, ანუ თანასწორუფლებიან ერთეულთა შეთანხმებაზე დამყარებული, რომელნიც (ეს ერთეულები) თავისი უფლებამოსილებების ნაწილს გადასცემენ (უდელეგირებენ) „ცენტრს“. იგი აგებული უნდა იყოს „იერარქიული უნიტარიზმის“ პრინციპებზე. სახელდობრ,

საქართველო უნდა განიხილებოდეს არა როგორც ამ დელეგირებულ უფლებამოსილებათაგან შემდგარი უფლებამოსილებით აღჭურვილი ახალი (მეორადი) პოლიტიკური სუბიექტი, არამედ როგორც პირველადი, თავისთავად არსებული ტერიტორიული და პოლიტიკური ერთეული - როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ქვეყანა და სახელმწიფო - რომელშიც შედის, სხვა ნაწილებთან ერთად, ისეთი ნაწილებიც, რომლებიც თავისი მთელი რიგი სპეციფიკური მახასიათებლების გამო საჭიროებენ სპეციფიკურ სტატუსს (სახელდობრ, ავტონომიური სახელმწიფოებრიობის სტატუსს), რის გამოც მათ ეს სტატუსი აქვთ კიდეც და შესაბამისი უფლებამოსილებებიც მინიჭებული (დელეგირებული) აქვთ „ცენტრის" მიერ, ანუ საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, მიერ. სპეციფიკური მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს საქართველოს სახელწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ამ სიმეტრიულობას, აფხაზეთის შემთხვევაში ისაა, რომ

ა) აფხაზეთში სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების გარდა (სომხები, ბერძნები, რუსები..), რომელნიც დიასპორები არიან (თავისი ერის ეროვნული სახელმწიფო სხვაგან აქვთ), ცხოვრობს არა ერთი, არამედ ორი მკვიდრი ხალხი, რომელთაც არსად სხვაგან თავისი ეთნიკური ტერიტორია არ გააჩნიათ, - ქართველები და აფსუები „აფხაზები".

ბ) რომ, ამგვარად, აფხაზეთის ტერიტორია, რომელზედაც ეს ხალხები და მათი წინაპრები ისტორიულად სახლობდნენ (ამა და ამ განლაგებით) და დღესაც სახლობენ, დღეს ქართველების და აფსუების („აფხაზების") ეთნიკური ტერიტორიაა და რომ

გ) ეს ტერიტორია ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა საქართველოს გარეთ და სახელმწიფოებრიობა, რომელსაც ამ ტერიტორიის ისტორია იცნობს, მხოლოდ ქართული და ქართულენოვანი სახელმწიფოებრიობაა.

ეს სპეციფიკა კმარა იმისთვის, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთ ნაწილს – აფხაზეთს – შინაგანი მიმართებების განსაკუთრებული სისტემა, განსაკუთრებული ყაიდის შინაგანი მართვა ჰქონდეს, და ეს ორივე გარემოება ერთად – ზემოხსენებული სპეციფიკა და მისგან გამომდინარე განსაკუთრებული მართვის აუცილებლობა – კმარა იმისთვის, რომ საქართველოს ამ ნაწილს საქართველოს ერთიან სახელმწიფოში განსაკუთრებული სტატუსი, სახელდობრ, მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსთან ამა და ამ წესით ფუნქციაგაყოფილი და უფლებაგაჯოფილი სახელმწიფოებრიობა ანუ ავტონომიური სახელმწიფოებრიობა ჰქონდეს. საქართველოს ერთი ან ერთზე მეტი ნაწილის განსაკუთრებული სტატუსი და ამ სტატუსის ამღნიშვნელი განსაკუთრებული ტერმინოლოგია სრულებითაც არ ქმნის იმის ვალდებულებას ან საჭიროებას, რომ იგივე ან ანალოგიური სტატუსი სათანადო ტერმინოლოგიითურთ სახელმწიფოს სხვა ნაწილებზეც გავრცელდეს და ამით თავისი განსაკუთრებულობა დაკარგოს, ისევე როგორც, მაგალითად, ესპანეთის სახელმწიფოსთვის არაა არც სავალდებულო, არც საჭირო, რომ, რაკი მასში განსაკუთრებული სტატუსის ნაწილები არსებობს, იგივე ტერმინი და იგივე სტატუსი ამავე ქვეჯნის სხვა ნაწილებსაც მიეცეს და მთლიანად ესპანეთი მოეწყოს ფედერალური პრინციპით.

ანალოგიურადვე – მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა არგუმენტებით – შეიძლება განიმარტოს, თუ რატომაა დღეს მართებული ან მიზანშეწონილი აჭარის ავტონომიის არსებობა. ვიმეორებ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურობა არც ლოგიკურად,არც იურიდიულად არ განაპირობებს მთლიანად საქართველოს ამავე წესით მოწყობის აუცილებლობას, ისევე როგორც ესპანეთში განსაკუთრებული სტატუსის მქონე ერთეულთა არსებობა არ განაპირობებს მთლიანად ესპანეთის მოწყობას ამავე წესით.

ტერმინი „იერარქიული უნიტარიზმი" ადეკვატურად ასახავს აღწერილ იურიდიულ ვითარებას (და უნდა შევნიშნოთ, რომ, თუნდაც არსებულ ტერმინოლოგიაში ამ ვითარების გამომხატველი ტერმინი არ მოიპოვებოდეს, ეს ვერ იქნებოდა არგუმენტი თვით ამგვარი ვითარების მიუღებლობის ან შეუძლებლობის სასარგებლოდ). სიტყვა „უნიტარიზმი" იმას გამოხატავს, რომ საქართველო არ არის რამდენიმე ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შეთანხმების შედეგი, არამედ იგი ერთიანი, ისტორიის მანძილზე ორგანულად გაზრდილი სახელმწიფოა. სიტყვა „იერარქიული" კი იმას გამოხატავს, რომ საქართველოს აქვს სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ნაწილები, რომლებსაც, ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, მისდამი იერარქიულად დაქვემდებარებული შეზღუდული სახელმწიფოებრიობა აქვთ.

ტერმინი „ფედერალური" აფხაზეთის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ პირობითად (გადატანითი აზრით) და მხოლოდ მისი შინაგანი მოწყობის მიმართ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ გეოგრაფიული „აფხაზეთი" არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელით აღნიშნული ტერიტორია მხოლოდ იმ ერის კუთვნილებაა, რომელიც თავისთავს „აფსუას" უწოდებს, სხვები კი დღეს „აფხაზს" უწოდებენ. ეს ტერიტორია ქართველი ერის ეთნიკური სამშობლოცაა, ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიის ერთი ნაწილია. მაშასადამე, ბუნებრივია, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური სახელმწიფოებრიობა, რომელზეც ზემოთ გქონდა მსჯელობა, აფხაზურიც იყოს და ქართულიც (ანუ, რაც იგივეა, ქართულიც და აფხაზურიც). ბუნებრივია აგრეთვე, რომ ამ ტერიტორიაზე გამიჯნული იყოს ის ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულები (ოლქები...) , რომელშიც, ისტორიული და დღევანდელი განსახლებიდან გამომდინარე, აფსუური („აფხაზური") თემის უფლებამოსილებები სჭარბობს ქართულისას, და ის ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულები, სადაც, იმავე ფაქტორებიდან გამომდინარე, ქართულისა სჭარბობს აფსუურისას („აფხაზურისას"). სწორედ ამ ერთეულთა ურთიერთმიმართებას – რამდენადაც ისინი პრინციპულად თანასწორუფლებიანნი არიან – შეიძლება მიუდგეს (პირობითად) ტერმინი „ფედერალური", რადგან თვით ის ფაქტი, რომ ეს ორი თემი არ სვამს საკითხს ტერიტორიის გაყოფის შესახებ, არამედ საკითხს სვამს მხოლოდ მთელი ტერიტორიის მიმართ უფლებების შესახებ, მეტყველებს, რომ მათ თავ–თავიანთი უპირატესი სახლობისა და უპირატესი უფლებამოსილების ზონები თავ-თავის ერთეულებად მიაჩნიათ.

თვით აფხაზეთის ოპტიმალური შინაგანი მოწყობა ცალკე თემაა და მას ცალკე შევეხებით.

(Footnotes)

1 სტალინის სიტყვები იყო 'გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო კი რჩება" (ავტორის შენ).

2 საქართველოს ტელემაყურებელს არაერთხელ უნახავს და მუსმენია რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ საქართველოს ფედერალური მოწყობის ხსენება

რედაქციისაგან

საქართველოში ფედერალური სახელმწიფო მოწყობის შემოღების იდეა ადგილობრივი წარმოშობის არ არის. ქართველი „ფედერალისტების" პარტია XX საუკუნის დასაწყისში (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების ერთ-ერთი პარტია) მოცემულ დროის მონაკვეთში მოითხოვდა საქართველოს ყოფნას რუსეთის იმპერიაში ფედერალური ერთეულის სტატუსით (რაც მის მიერ მოიაზრებოდა, როგორც ერთ-ერთი შუალედური ნაბიჯი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე), და არა თვით საქართველოს ფედერალიზაციას). საქართველოს ფედერალიზაციის იდეა სუკის მიერ ფრთხილად „შემოცურებულ" იქნა ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში ერთ-ერთი პარტიის ავტორობით 1980-იანი წლების დამდეგს, მაგრამ, არსებითად, დასაბუთების გარეშე. იგი იყო რუსეთის მხრიდან ზეწოლის ერთ-ერთი საგანი რუსეთში ელცინის ლიდერობის დროს (ამ ფაქტის ილუსტრაციისთვის საინტერესოა თ. სიგუას მემუარი) და, სავარაუდოა, ასეთად რჩება დღესაც. ამ კონტექსტში ფედერალიზმის მოთხოვნა დამყარებულია მხოლოდ საქართველოში არაქართველი მოსახლეობის პოლიტიკური სტატუსის ამაღლების სურვილზე, და არა სახელმწიფოს ინტერესებზე (მისი დასაბუთება იმ მოტივით, რომ იგი ეფექტიანია სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით, ნაცადი არ არის). 1992 წლიდან დღემდე საქართველოს მიმართ მისი ფედერალიზაციის პირდაპირი მოთხოვნის წამოყენება (თუნდ „რეკომენდაციის" სახით) დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან არ მოხდარა, მაგრამ ცნობილია და მკაფიოდ საგრძნობია ამ მხრივ ინტენსიური ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე უცხოეთიდან დაფინანსებული „ენ-ჯიოების" („არასამთავრობო ორგანიზაციების") საშუალებით. პოლიტიკურ ჯგუფთა შორის საქართველოს ფედერალიზაციის მქადაგებელნი არიან ე.წ. „ტრადიციონალისტები" (ლიდერი –ა. ასათიანი) და „რესპუბლიკური პარტია". ორივე ეს ჯგუფი, ითვალისწინებს რა ეროვნული პასუხისმგებლობის ცნობიერებით აღჭურვილი საზოგადოებრიობის მკვეთრ ანტიპათიას „ფედერალიზმის" ცნებისადმი, ამ უკანასკნელს ცვლის ცნებით „რეგიონალიზმი", თუმცა, არსებითად, მასში იმავე შინაარსს დებს. ამ „პოზიციის" დასაბუთება ორივე ჯგუფის მხრიდან, თავისი აკადემიური დონით, პრაქტიკულად ნაკლებ ნიშნულზე დგას.

„რესპუბლიკური პარტიის" დაფინანსება საქართველოს გარედან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძალიან დიდია (არგუმენტაცია თავისი თეზისის სასარგებლოდ, როგორც უკვე ვთქვით, – ფაქტობრივად ნულოვანი). მეტ-ნაკლებად სერიოზული არგუმენტაცია არც სხვა ჯგუფებსა და ავტორებს გააჩნიათ. ამ უკანასკნელთა რიცხვი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ორს შეადგენს. ერთი გახლავთ გ. ხუბუა, სქელტანიანი, მაგრამ გაუაზრებელი მასალით გატენილი წიგნის (გრანტით გამოცემული) ავტორი (რომელიც თავის ფედერალისტობისთვის უნივერსიტეტის რექტორობით დააჯილდოვდა), მეორე ბატონი ჯანრი კაშია. სავარაუდოა რომ ფედერალიზმის იდეისათვის რაღაცა, თუნდაც მინიმალური დასაბუთების მოპოვების მსურველნი არიან ის უკვე მრავალგზის სამშობლოს მოღალატე პარლამენტარები, რომელთაც არც თუ შორეულ მომავალში – მას შემდეგ, რაც უკვე დაადგინეს მიწის გაყიდვა უცხოელებზე, რუსეთის ბაზების დაკანონება რამდენიმე წლით და სხვა - მოუწევთ ხელის იძულებით აწევა საქართველოს ფედერალიზაციისკენ მიმართულ ნაბიჯებზე უახლოეს ხანში.

ჩვენ ამ უმეცრებს პაექრობაში არ ვიწვევთ (ეს მათთვის მეტისმეტად დიდი პატივი იქნებოდა). ჩვენ ვატყობინებთ მათ და საზოგადოებას, რომ საქართველოს ფედერალიზაციის თემაზე ჩვენ ღია დისკუსიას **მოვაწყობთ** (მალე) და მათ ბედნიერება ექნებათ (თუკი ისურვებენ) მობრძანდნენ და მხილებულ იქნენ, როგორც უმეცარნი და სახელმწიფოს მოღალატენი.